ProCredit Bank
Georgia

# წლიური ანგარიში

# 2023

# ჩვენი მისია

*ჩვენ ვცდილობთ, მდგრადი და გავლენაზე ორიენტირებული საბანკო პრაქტიკის გატარებით ვიყოთ წამყვანი SME ბანკი ბაზარზე. რითიც გვსურს მივიღოთ გრძელვადიანი სტაბილური უკუგება და შევქმნათ დადებითი გავლენა ეკონომიკასა და საზოგადოებაზე.*

# Fitch-ის რეიტინგი BB+ (პოზიტიური)

## აქცენტი მდგრად განვითარებაზე

- ბოლო 12 წლის მანძილზე, 2300-ზე მეტი ეკო-სესხი გავეცით, რაც სულ 230 მილიონ ევროს შეადგენს. ამ სესხების მიზანი ძირითადად ენერგოეფექტურობასა და განახლებად ენერგიაში ინვესტირება იყო. 2019 წლიდან 800 ეკო სესხი გავეცით, რაც სულ 125 მილიონ ევროს შეადგენს.
- ბანკმა მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ელექტრომობილების ინფრასტრუქტურა 27 ელექტროდამტენების მოწყობით საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, რაც საზოგადოებისთვის უფასოა.
- სათავო ოფისი იყენებს ენერგიის დამზოგ ტექნოლოგიებს, როგორიცაა წვიმის წყლის შემკრები სისტემა და მზის ელექტროსადგური. 2003 წელს მზის ელექტროსადგურმა გამოიმუშავა დაახლოებით 116,000 კვტ.სთ ელექტროენერგია, რამაც შესაბამისად 9.6 ტონა CO2 ემისია შეამცირა.
- პროკრედიტ ჯგუფმა, როგორც ნახშირბად-ნეიტრალობის საბანკო ალიანსის წევრმა, კომპლექსური სტრატეგია შეიმუშავა 2050 წლამდე ემისიების წმინდა ნულოვანი დონის მისაღწევად, მეცნიერებაზე დაფუძნებული მიზნების ინიციატივის (SBTI) შესაბამისად. უახლოესი მიზნები მოიცავს 2022 წლიდან 2030 წლამდე ემისიების 42%-იან შემცირებას.

## დადებითი ფინანსური მაჩვენებლები

- ბანკმა მიიღო 46.2 მილიონი ლარის მოგება და ROE სტაბილურად 15.5%-ზე შეინარჩუნა
- წმინდა საპროცენტო მარჟა ინარჩუნებს სტაბილურ 4.4%-იან მაჩვენებელს
- დეპოზიტების სესხებთან თანაფარდობა 4.6 პროცენტული პუნქტით გაუმჯობესდა წინა წელთან შედარებით და 88.5% შეადგინა
- ხარჯებისა და შემოსავლების თანაფარდობა 50.9%
- პრობლემური სესხების კოეფიციენტი 3.1%
- მთლიანი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი 22.3% (მინიმალური მოთხოვნა 18.2%)
- საკრედიტო რისკის ღირებულება - -0.6%

# სარჩევი:


## პროკრედიტ ბანკი, საქართველო

ბანკის მისია ..... 6
ვინ ვართ ჩვენ: ..... 7
- პროკრედიტი დღეს ..... 7

ბიზნეს ეთიკა ..... 10
საერთაშორისო რეიტინგები ..... 11

## სტრატეგია და მუშაობის შედეგები 12

მაკროეკონომიკური გარემო ..... 12
პროკრედიტ ბანკი საქართველოს ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები ..... 24
ძირითადი ბიზნეს სეგმენტები ..... 26
კორპორაციული მმართველობა ..... 31

## რისკების მართვა 35

რისკების სტრატეგია ..... 35
ინდივიდუალური რისკების მართვა ..... 40

## გარემოსდაცვითი მართვა 56

## ჩვენი მიდგომა თანამშრომელთა მიმართ 66

## ფინანსური ანგარიშგება 70

ProCredit Bank

# ბანკის მისია

პროკრედიტ ბანკი არის განვითარებაზე ორიენტირებული კომერციული ბანკი. ჩვენ მაღალი დონის მომსახურებას ვთავაზობთ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებსა და ფიზიკურ პირებს, ვისაც დაზოგვის შესაძლებლობა აქვს და ვინც საბანკო ოპერაციების შესრულებას ელექტრონული სერვისების გამოყენებით ამჯობინებს. ჩვენი საქმიანობისას, რამდენიმე ძირითად პრინციპს ვიცავთ: უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ მომხმარებელთან გამჭვირვალე ურთიერთობას, არ ვართ ორიენტირებული სამომხმარებლო სესხებზე, ვცდილობთ, ჩვენი ბიზნეს საქმიანობით შევამციროთ გარემოზე უარყოფითი გავლენა და უზრუნველვყოფთ მომსახურებას, რომელიც ჯანსაღ ფინანსურ ანალიზს ეფუძნება და თითოეული კლიენტის მდგომარეობაზეა მორგებული.

ჩვენი საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა მცირე და საშუალო საწარმოების დაფინანსება, რადგან გვჯერა, სწორედ ეს საწარმოები ქმნიან ყველაზე მეტ სამუშაო ადგილს და შესაბამისად, მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში. მარტივად გამოყენებადი დეპოზიტებისა და ონლაინ საბანკო მომსახურების შეთავაზებით, აგრეთვე ფინანსურ განათლებაში მნიშვნელოვანი ინვესტიციის განხორციელებით, მიზნად ვისახავთ, ხელი შევუწყოთ დაზოგვისა და ფინანსური პასუხისმგებლობის კულტურის განვითარებას.

ჩვენი აქციონერები საკუთარი ინვესტიციებისაგან გრძელვადიან სტაბილურ შემოსავლებს ელიან, მათი ძირითადი ინტერესი მოკლევადიანი მოგების მაქსიმიზაცია არ არის. ჩვენ მნიშვნელოვან ინვესტიციებს ვდებთ კადრების მომზადებასა და განვითარებაში, რათა შევქმნათ ღია და პროდუქტიული სამუშაო გარემო, ასევე ჩვენს კლიენტებს შევთავაზოთ მაქსიმალურად მეგობრული და კომპეტენტური მომსახურება.

## ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲑᲐᲜᲙᲔᲑᲘᲡ ᲯᲒᲣᲤᲘ

პროკრედიტ ბანკი საქართველო საერთაშორისო პროკრედიტ ჯგუფის წევრია, რომელიც ძირითადად წარმოდგენილია აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებსა და გერმანიაში. პროკრედიტ ჯგუფის დამფუძნებელი არის გერმანიის ქალაქ ფრანკფურტში მდებარე პროკრედიტ ჰოლდინგი (ProCredit Holding AG). ჯგუფი განვითარებაზეა ორიენტირებული და შედგება კომერციული ბანკებისგან, რომლებიც მცირე და საშუალო საწარმოებს და იმ ფიზიკურ პირებს ემსახურებიან, რომლებიც თანამედროვე საბანკო მომსახურებას აფასებენ, დანაზოგის გაკეთების პოტენციალი აქვთ და მზად არიან, გამოიყენონ ელექტრონული საშუალებები ბანკთან ურთიერთობისთვის. პროკრედიტ ჰოლდინგის აქციებით ვაჭრობა ხდება ფრანკფურტის ბირჟის Prime Standard სეგმენტში.

საბანკო ინდუსტრიაში მრავალწლიანი საქმიანობის პერიოდში, ჯგუფმა განვითარების სხვადასხვა ეტაპები გაიარა, რომელთა უმეტესობა გარკვეულ სტრატეგიულ ცვლილებებთან იყო დაკავშირებული. ჯგუფის ძირითად მიზნობრივ სეგმენტს განვითარების კარგი პერსპექტივის მქონე მცირე და საშუალო საწარმოები წარმოადგენენ. ბიზნესის ამ სექტორს პროკრედიტ ბანკი “House Bank”-ის პრინციპზე დაფუძნებულ სრულყოფილ საბანკო მომსახურებას სთავაზობს.

პროკრედიტ ჯგუფი პასუხისმგებლობას იღებს ყველა სამოქმედო ქვეყანაში გაწიოს საბანკო საქმიანობა სოციალური, ეთიკური და გარემოსდაცვითი სტანდარტების შესაბამისად. საერთაშორისო ჯგუფის წევრობა, პროკრედიტის მომხმარებლებს საშუალებას აძლევს, ისარგებლონ გამჭირვალე და საუკეთესო პირობებით ყველაზე მოთხოვნად საბანკო მომსახურებებზე.

# ვინ ვართ ჩვენ: პროკრედიტი დღეს

## პროკრედიტ ბანკი საქართველო

პროკრედიტ ბანკი საქართველო, ქართულ საბანკო სექტორში 1999 წლიდან ფუნქციონირებს. ბანკის საქმიანობის ძირითადი მიზანი იმ მცირე და საშუალო ბიზნესების დაფინანსებაა, რომლებსაც განვითარების გრძელვადიანი გეგმა აქვთ. ბიზნეს დაკრედიტების პარალელურად, პროკრედიტ ბანკი ასევე ორიენტირებულია ფიზიკური პირებისთვის თანამედროვე საბანკო მომსახურების მიწოდებაზე.

გარემოზე ზრუნვა ბანკის სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელოვანი ასპექტია. ამისათვის ბანკში დანერგილია გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემა, ეკო პროდუქტები და შედეგად, პროკრედიტი პირველი ბანკია საქართველოში, რომელმაც ISO 14001 სერტიფიკატი მოიპოვა.

ბანკის სათავო ოფისი მდებარეობს თბილისში. ეს არის პირველი მწვანე საოფისე შენობა საქართველოში, რომელმაც საერთაშორისო EDGE სერთიფიკატი მიიღო ენერგოეფექტურობის კუთხით. პროკრედიტი ერთადერთი ბანკია ქვეყანაში, რომელსაც საკუთარი მზის ელექტროსადგური და წვიმის წყლის სისტემა აქვს.

იგი თავის კლიენტებს საბანკო მომსახურებას სთავაზობს 4 ფილიალის, 1 სერვის პუნქტის და 7 თვითმომსახურების ზონის საშუალებით. პროკრედიტ ბანკი წარმოდგენილია საქართველოს შემდეგ დიდ ქალაქებში - თბილისი, ქუთაისი, ბათუმი და ზუგდიდი.

პროკრედიტ ბანკი სრულად ფლობს შვილობილ კომპანიას - შპს „პროკრედიტ ფროფერთი“, აღნიშნული კომპანია დაფუძნებულ იქნა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, 2007 წლის 23 ივლისს. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს, ბანკის კლიენტების დეფოლტის შედეგად, აუქციონზე წარმოდგენილი უძრავი და მოძრავი ქონების შეძენა და შემდგომი მართვა. პროკრედიტ ფროფერთის აქტივები, პროკრედიტ ბანკის მთლიანი აქტივების 0.73%-ს შეადგენს.

# ბიზნეს ეთიკა

პროკრედიტ ჯგუფის მისიის ნაწილია გარკვეული სტანდარტების დამკვიდრება იმ ფინანსურ სექტორებში, რომლებშიც ჯგუფი საქმიანობს. ჩვენ გვსურს გამორჩეულები ვიყოთ არა მარტო სამიზნე ჯგუფისა და ჩვენ მიერ მიწოდებული ფინანსური მომსახურების ხარისხის თვალსაზრისით, არამედ ასევე ბიზნეს ეთიკითაც. ამ მხრივ, ჩვენი მტკიცე კორპორაციული ღირებულებები გადამწყვეტ როლს თამაშობს. ჩვენ შევიმუშავეთ ხუთი ძირითადი პრინციპი, რომლებიც წარმართავს პროკრედიტ ბანკების საქმიანობას:

**გამჭვირვალობა:** ჩვენ ვიცავთ როგორც ჩვენი კლიენტებისა და ფართო საზოგადოებისათვის, ისე ჩვენი თანამშრომლებისათვის ინფორმაციის გამჭვირვალედ მიწოდების პრინციპს. მაგალითისათვის, ჩვენ უზრუნველვყოფთ, რომ კლიენტებმა სრულად გაიგონ კონტრაქტის პირობები, რომლებსაც ჩვენთან აფორმებენ, და ჩართული ვართ ფინანსური განათლების გავრცელების ღონისძიებებში იმ მიზნით, რომ ავამაღლოთ არაგამჭვირვალე ფინანსური პროდუქტების საფრთხეების შესახებ საზოგადოების ცნობიერება.

**ღია კომუნიკაციის კულტურა:** ჩვენ ერთმანეთთან ვურთიერთობთ ღიად, სამართლიანად და კონსტრუქციულად, სამსახურში კონფლიქტებს ვუდგებით პროფესიონალურად და ურთიერთთანამშრომლობით ვცდილობთ მათ გადაჭრას.

**სოციალური პასუხისმგებლობა და ტოლერანტობა:** კლიენტებს ვაძლევთ ჯანსაღ და არგუმენტირებულ რჩევებს; მომხმარებლისთვის სესხების შეთავაზებამდე, ჩვენ ვაფასებთ მათ ეკონომიკურ და ფინანსურ მდგომარეობას, მათი ბიზნესის პოტენციალს და გადახდისუნარიანობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ მათ ვეხმარებით მათზე მორგებული სესხის პირობების არჩევაში, საიდანაც ისინი რეალურად მიიღებენ სარგებელს და თავიდან ვაცილებთ ჭარბვალიანობას. დაზოგვის კულტურის ხელშეწყობა ჩვენი მისიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია, რადგან ვფიქრობთ, რომ კერძო დანაზოგები განსაკუთრებით სასიცოცხლო როლს ასრულებს იმ საზოგადოებებში, სადაც სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სოციალური კეთილდღეობა შედარებით დაბალია.

ჩვენი ურთიერთობა კლიენტებსა და თანამშრომლებთან ყოველთვის ეფუძნება პატივისცემასა და სამართლიანობას მათი წარმომავლობის, კანის ფერის, ენის, სქესის ან რელიგიური თუ პოლიტიკური მრწამსის მიუხედავად.

**მაღალი პროფესიონალური სტანდარტები:** ყოველი თანამშრომელი იღებს პასუხისმგებლობას მის მიერ გაწეული საქმიანობის ხარისხზე და მუდმივად მუშაობს პროფესიული განვითარების კუთხით.

**პატიოსნებისა და ძალისხმევის მაღალი ხარისხი:** პროკრედიტ ჯგუფის ყველა თანამშრომელი ვალდებულია აბსოლუტური პატიოსნება შეინარჩუნოს ნებისმიერ დროს; მკაცრ და დაუყოვნებელ განხილვას ექვემდებარება ამ პრინციპის ნებისმიერი დარღვევა.

პროკრედიტ ბანკის აღნიშნული ხუთი ღირებულება ჩვენი კორპორაციული კულტურის საფუძველია და განიხილება და აქტიურად გამოიყენება ყოველდღიურ საქმიანობაში.

# საერთაშორისო რეიტინგები

ნაბიჯით წინ უსწრებს ქვეყნის სუვერენულ რეიტინგს. აღნიშნული რეიტინგი ბანკის აქტივების ისტორიულად საუკეთესო ხარისხზე, ძლიერ კორპორატიულ მართვასა და კარგ რისკ-მენეჯმენტზე მიუთითებს.

**პროკრედიტ ბანკის რეიტინგებია:**

| | | |
|---|---|---|
| გრძელვადიანი უცხოური და ეროვნული ვალუტის IDR (ემიტენტის დეფოლტის რეიტინგი), პოზიტიური პერსპექტივით | BB+ | დადასტურებული |
| მოკლევადიანი უცხოური და ეროვნული ვალუტა IDR | B | დადასტურებული |
| მდგრადობის რეიტინგი | bb- | დადასტურებული |
| მხარდაჭერის რეიტინგი | 3 | დადასტურებული |

# სტრატეგია და მუშაობის შედეგები

## მაკროეკონომიკური გარემო

2023 წელს საქართველოში ეკონომიკური ზრდა 7,5%-იან[1] წლიურ მაჩვენებელზე შენარჩუნდა. წინა ორი წლის ორნიშნა ზრდასთან შედარებით ეს მაჩვენებელი დაბალია, თუმცა, 2023 წელს ის წინასწარ საპროგნოზო მაჩვენებელს მაინც აღემატებოდა. მოთხოვნის[2] მხრიდან, ზრდა, ძირითადად, ინვესტიციებით იყო განპირობებული, რომლის წვლილმაც 5.8 პროცენტული პუნქტი შეადგინა. მიუხედავად იმისა, რომ მოხმარება მთლიანი მოთხოვნის მნიშვნელოვან წილს შეადგენდა, მისი წვლილი ზრდაში შედარებით მოკრძალებული აღმოჩნდა და 2.9 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ტურიზმის კუთხით პანდემიამდელ დონეზე დაბრუნების მზარდი ტენდენცია გრძელდება, თუმცა, წინა წლის საბაზო ეფექტი ძალიან ძლიერი იყო და, შესაბამისად, წმინდა ექსპორტმა 2024 წლის ეკონომიკურ ზრდაში უარყოფითი წვლილი შეიტანა. წარმოების კუთხით, ზრდაში ძირითადი წვლილი ეკუთვნის ვაჭრობის (1.74 პპ), საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციის (1,64 პპ), ასევე სატრანსპორტო და სასაწყობე მეურნეობის (1,23 პპ) სექტორებს, ხოლო ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების (-0,44 პპ), უძრავი ქონების (-0,19 პპ) და სოფლის მეურნეობის (-0,17 პპ) წვლილები უარყოფითია. მთლიანობაში, მომსახურების სექტორი ზრდის მთავარი განმსაზღვრელი იყო, ძლიერი შიდა მოთხოვნის, ტურისტული ინდუსტრიისა და რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად ქვეყანაში შემოსული მიგრანტების მნიშვნელოვანი რაოდენობის გამო.

მშპ-ის რეალური ზრდა წლების მიხედვით (%)




*სურათი 1. მშპ-ის რეალური ზრდა (წყარო: საქსტატი, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)*

*1. ექვემდებარება გადახედვას 2024 წლის ნოემბერში.*

*2. საქსტატი ცალ-ცალკე არ აქვეყნებს სახელმწიფო ხარჯების, როგორც მოთხოვნის კომპონენტის მონაცემებს. ამის ნაცვლად, სახელმწიფო ხარჯების მაჩვენებლები შედის შესაბამის კომპონენტებში.*

დარგობრივი ზრდის თვალსაზრისით, მაღალი ზრდა სამშენებლო (17.2%) და საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციის (27.4%) სექტორებში შეიძლება მიგრანტების გავლენას მივაწეროთ, რადგან საცხოვრებელზე მოთხოვნა გაიზარდა და მიგრანტთა საზოგადოებაში საინფორმაციო ტექნოლოგიების პროფესიონალები ჭარბობდნენ.

საქონლის სავაჭრო ბალანსი კვლავ უარყოფითი და მზარდია, თუმცა არა როგორც მშპ-ის წილი (2023 წელს 31.1%, ხოლო 2022 წელს 31.9%). სავაჭრო დეფიციტის ზრდა დაკავშირებულია როგორც იმპორტის ზრდასთან, ასევე ადგილობრივ საქონელზე უცხოური მოთხოვნის ვარდნასთან, რომელიც 2023 წლის განმავლობაში მცირდებოდა. შედეგად, ადგილობრივი ექსპორტის წილი პირველად ჩამოცდა მთლიანი ექსპორტის 50%-ს. რეექსპორტი ძირითადად ავტომობილებზე მოდის, თუმცა მათზე მოთხოვნაც ბოლო თვეების განმავლობაში შემცირდა. იმპორტზე მოთხოვნის ზრდა შეიძლება მივაწეროთ გაცვლითი კურსის რეალურ გამყარებას, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ იმპორტის მოცულობის ზრდასთან ერთად, იმპორტის ღირებულება აშშ დოლარში მე-4 კვარტალში წლიურად შემცირდა, გლობალურ დონეზე ფასების ვარდნის გამო.




*სურათი 2. საქონლით ვაჭრობა*

საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში პირველად, დსთ-ის ქვეყნები საქართველოს მთავარი საექსპორტო მიმართულება გახდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ ექსპორტში ლომის წილი ავტომანქანების რეექსპორტია, თავად ტენდენცია გარკვეულწილად აღსანიშნავია. მთლიანი ექსპორტის 61% გავიდა აზერბაიჯანში (14%), სომხეთში (13%), ყაზახეთში (12%), ყირგიზეთში (11%) და რუსეთში (11%). ავტომობილებმა მთლიანი ექსპორტის 35% შეადგინა, შემდეგ მოდის სპილენძი (8%), ღვინო (4%), სპირტიანი სასმელები (3%) და ფეროშენადნობები (3%).

რაც შეეხება იმპორტს, ძირითად იმპორტიორად თურქეთი რჩება (სულ 17%), შემდეგ მოდის აშშ (13%), რუსეთი (11%), ჩინეთი (9%) და გერმანია (6%). ისევე, როგორც ექსპორტის შემთხვევაში, იმპორტში დომინირებს ავტომობილები (21%), შემდეგ მოდის ნავთობი (7%), ბუნებრივი აირი (3%) და მედიკამენტები (3%).




*სურათი 3. ექსპორტის (მწვანე) და იმპორტის (ნარინჯისფერი) ანალიზი*

2022 წელთან შედარებით, საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავლებიც შედარებით გაიზარდა, თუმცა, ბოლო კვარტალში წლიური კლება დაფიქსირდა. ამავდროულად, საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა კვლავ ჩამოუვარდება 2019 წლის მაჩვენებელს. შესაბამისად, შემოსავლების ზრდა შეიძლება მივაწეროთ როგორც ფასების დონის ზრდას, ასევე ლარის გამყარებას ამ დროის განმავლობაში. საერთაშორისო ვიზიტორები ძირითადად ჩამოდიან რუსეთიდან, თურქეთიდან და სომხეთიდან (სულ 62%), ევროკავშირი კი მეოთხე ადგილზეა მთლიანი ვიზიტორების მხოლოდ 7%-ით. თუმცა, როგორც ჩანს, ვიზიტორი ევროკავშირიდან თითქმის ორჯერ მეტს ხარჯავს, ვიდრე რუსი, თუ გავითვალისწინებთ ევროკავშირის ვიზიტორების წილს ტურიზმიდან მთლიან შემოსავალში (13%).







*სურათი 4. საერთაშორისო ვიზიტორები წლების მიხედვით (ზედა გრაფიკი) და ანალიზი მოქალაქეობის ქვეყნების მიხედვით 2023 წელს (ქვედა გრაფიკი). წყარო: საქსტატი და სებ*







*სურათი 5. ტურიზმიდან შემოსავალი წლების მიხედვით (ზედა გრაფიკი) და ანალიზი მოქალაქეობის ქვეყნების მიხედვით 2023 წელს (ქვედა გრაფიკი). წყარო: საქსტატი, სებ*




*სურათი 6. ფულადი გზავნილები*




*სურათი 7. ფულადი გზავნილები ქვეყნების მიხედვით 2023 წელს*

სწრაფი ფულადი გზავნილების მოცულობა 2023 წელს შემცირდა, თუმცა ის მაინც მნიშვნელოვნად აღემატება წინა წლების მაჩვენებლებს. 2022 წელი ამ მხრივ ერთჯერადი შემთხვევაა, როდესაც ფულადი გზავნილების დიდი ნაწილი, ფაქტობრივად, მიგრანტების საკუთარი სახსრების გადარიცხვა იყო, ფულადი გზავნილების კლასიკური განმარტებისგან განსხვავებით. 2023 წელს მიგრანტების ტალღები მიილია და 2024 წლისთვის ეს ერთჯერადი ეფექტი შეგვიძლია აღარ გავითვალისწინოთ. რაც შეეხება ფულადი გზავნილების ქვეყნებს, ძირითად წყაროდ რუსეთის ფედერაცია რჩება, მთლიანის 37%-ით, შემდეგ იტალია (13%) და აშშ (11%).




*სურათი 8. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები*

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 2023 წელს 2022 წელთან შედარებით 23.9%-ით შემცირდა, უმეტესად ძლიერი საბაზო ეფექტის გამო. 2023 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ძირითადად გაერთიანებული სამეფოსა და ნიდერლანდებიდან შემოვიდა, შესაბამისად 392 და 260.5 მლნ აშშ დოლარით. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნახევარზე მეტი ფინანსურ და სადაზღვევო კომპანიებზე (39.5%) და გადამამუშავებელ მრეწველობაზე (18.3%) მოდიოდა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 38.8% მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორზე[3] მოდიოდა.

*3. უნდა აღინიშნოს, რომ საქსტატის მიერ გამოყენებული მცირე და საშუალო ბიზნესის განსაზღვრება შეიძლება განსხვავდებოდეს პროკრედიტ ჯგუფის განსაზღვრებისგან.*




| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2022 | 538 | 141 | 90 | 189 | 327 | 141 | 169 | 401 |
| 2023 | 630 | 297 | 138 | 117 | 108 | 86 | 72 | 63 |
| წილი | 39.5% | 18.6% | 8.7% | 7.3% | 6.7% | 5.4% | 4.5% | 3.9% |
| ზრდა | 17% | 111% | 53% | -38% | -67% | -39% | -57% | -84% |

*სურათი 9. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის დარგების და შესაბამისი ზრდის ტემპების მიხედვით*

2023 წლის აპრილში, პირველად 2021 წლის იანვრის შემდეგ, წლიური ინფლაცია 3%-იან მიზნობრივ დონეზე ქვემოთ დაეცა და მას შემდეგ მიზნობრივ მაჩვენებელზე დაბალია. 2023 წლის დეკემბერში მთლიანი ინფლაცია 0.4% იყო, ხოლო საბაზო ინფლაცია (ინფლაცია საკვების, ენერგიისა და თამბაქოს მერყევი ფასების გამოკლებით) 1.9%-ს შეადგენდა. ინფლაცია მცირდება 2022 წლის მაისიდან (იმავე წლის აგვისტოში დაფიქსირებული ერთადერთი გამონაკლისის გარდა) ეროვნული ბანკის მკაცრი მონეტარული პოლიტიკის, ასევე სურსათის, საწვავის და ტრანსპორტირების გლობალური ფასების თანდათანობით ნორმალიზებისა და ფისკალური კონსოლიდაციის წყალობით. იმპორტირებული ინფლაცია კლებულობს, აგრეთვე, რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის მნიშვნელოვანი გამყარების შედეგად. იმპორტირებული ინფლაციის უახლესი შოკები მოიცავს წითელი ზღვის რეგიონში ბოლოდროინდელ არეულობას, რამაც შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ტრანსპორტის ფასებზე და ხელი შეუწყოს რეგიონში ინფლაციის ზრდას.

შიდა ინფლაცია, იმპორტირებულისგან განსხვავებით, რომელიც 2023 წლის მარტიდან უარყოფითი იყო, საკმაოდ ნელა მცირდებოდა და დეკემბერში კვლავ აჭარბებდა 3%-იან მიზნობრივ მაჩვენებელს (3.6%). ეს გამოწვეული იყო მომსახურების გაძვირებით (წლიური 6.6%).




*სურათი 10. სამომხმარებლო ფასების ინდექსი (ინფლაცია)*

**მწარმოებელთა ფასების ინდექსის დინამიკა, როგორც მოსალოდნელი იყო, გარკვეულწილად ასახავს სამომხმარებლო ფასების ინდექსს, თუმცა, უფრო მაღალი ცვალებადობით. ამავდროულად, შესაბამისი ინფლაციები უფრო მოკლე დროით ნულს ქვემოთ რჩებოდა და წლის ბოლოს დადებითი გახდა.**




*მონაცემები ხელმისაწვდომია იანვარი 2022-დან

*სურათი 11. მწარმოებელთა ფასების ინდექსი (ინფლაცია)*

საქართველომ თანმიმდევრული მაკროეკონომიკური შოკების სერია განიცადა და ამ ყველაფერმა ინფლაციაზე აღმავალი ზეწოლა კიდევ უფრო გაზარდა. შესაბამისად, 2019 წლის აგვისტოდან მონეტარული პოლიტიკა გამკაცრდა (2020 წლის მოკლე პერიოდში პოლიტიკის განაკვეთის სულ 1 პროცენტული პუნქტით შემცირების მიუხედავად, მონეტარული პოლიტიკა მაინც გამკაცრებული დარჩა). 2022 წლის აპრილში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთმა პიკს - 11%-ს - მიაღწია და ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ამ დონეზე დარჩა. 2023 წლის ბოლოსთვის ის 10%-მდე შემცირდა 2024 წელს შემდგომი შემცირების მინიშნებით.  იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიენიჭა, ქვეყნის რისკის პრემია უნდა შემცირდეს, რაც შეამცირებს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ნეიტრალურ დონეს. თუმცა, ჯერ კიდევ არსებობს ინფლაციური რისკები - ძლიერი შიდა მოთხოვნა, ტრანსპორტირების ხარჯების სამომავლო დინამიკის გაურკვევლობა, ხელფასების მდგრადი ზრდა ბოლო პერიოდში.




*სურათი 12. სებ-ის მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (წყარო: სებ)*

საქართველომ თანმიმდევრული მაკროეკონომიკური შოკების სერია განიცადა და ამ ყველაფერმა ინფლაციაზე აღმავალი ზეწოლა კიდევ უფრო გაზარდა. შესაბამისად, 2019 წლის აგვისტოდან მონეტარული პოლიტიკა გამკაცრდა (2020 წლის მოკლე პერიოდში პოლიტიკის განაკვეთის სულ 1 პროცენტული პუნქტით შემცირების მიუხედავად, მონეტარული პოლიტიკა მაინც გამკაცრებული დარჩა). 2022 წლის აპრილში მონეტარული პოლიტიკის განაკვეთმა პიკს - 11%-ს - მიაღწია და ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ამ დონეზე დარჩა. 2023 წლის ბოლოსთვის ის 10%-მდე შემცირდა 2024 წელს შემდგომი შემცირების მინიშნებით.  იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიენიჭა, ქვეყნის რისკის პრემია უნდა შემცირდეს, რაც შეამცირებს მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის ნეიტრალურ დონეს. თუმცა, ჯერ კიდევ არსებობს ინფლაციური რისკები - ძლიერი შიდა მოთხოვნა, ტრანსპორტირების ხარჯების სამომავლო დინამიკის გაურკვევლობა, ხელფასების მდგრადი ზრდა ბოლო პერიოდში.

*4.  აღსანიშნავია, რომ 2024 წელს უკვე განხორციელებული ფაქტობრივი შემცირება დაგეგმილზე/მოსალოდნელზე უფრო მკვეთრი ჩანს.*




*სურათი 13. ნომინალური გაცვლითი კურსები (წყარო: სებ)*




*სურათი 14. რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (წყარო: სებ)*

## საბანკო სექტორი

საბანკო სექტორმა უწყვეტი ზრდა განაგრძო ნომინალური ეკონომიკური ზრდის შესაბამისად და სტაბილურად მაღალი მომგებიანობის დონე შეინარჩუნა 2023 წელს 26.1%-იანი კაპიტალის უკუგებით. 2023 წელს საბანკო სექტორის მთლიანი საკრედიტო პორტფელი 17.1%-ით, ხოლო კლიენტების სახსრები 14.1%-ით გაიზარდა (სავალუტო კურსების ცვლილებების გამოკლებით).

2023 წელს ფიზიკური პირების საკრედიტო პორტფელი 15.1%-ით, ხოლო იურიდიული პირების საკრედიტო პორტფელი 20.4%-ით გაიზარდა. რაც შეეხება სადეპოზიტო სტრუქტურას, კლიენტთა სახსრების წილი, რომელიც ფიზიკურ პირებს და იურიდიულ კომპანიებს ეკუთვნოდა, შესაბამისად 14.7% და 13.8% იყო.

2023 წლის 1 იანვრიდან ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებმა (ფასს) საქართველოს ფინანსურ სისტემაში ანგარიშგების ადგილობრივი სტანდარტები ჩაანაცვლა. ამრიგად, საბანკო ინდუსტრიის საჯარო და საზედამხედველო ანგარიშგება კიდევ უფრო მიუახლოვდება ინდუსტრიული ქვეყნების გლობალურ სტანდარტს.

ფინანსური სისტემა კვლავ მდგრადია და სტაბილურ კაპიტალის ბუფერებს ფლობს რეგიონში დაძაბული გეოპოლიტიკური სიტუაციით გამოწვეული პოტენციური რისკების წინააღმდეგ. საბანკო ინდუსტრია კარგად კაპიტალიზებულია, რაც ხელს უწყობს ეკონომიკის შეუფერხებელ დაკრედიტებას ყოველგვარი დაბრკოლებების გარეშე. მიუხედავად იმისა, რომ დოლარიზაცია შესამჩნევად შემცირდა, ის ფინანსური სექტორისთვის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება. მიუხედავად ამისა, მოსალოდნელია, რომ დოლარიზაცია კვლავ შემცირდება და შესაბამისად, თანმდევი რისკები შემსუბუქდება.




*წყარო: სებ-ის სტატისტიკური მონაცემები*

# პროკრედიტ ბანკი საქართველოს ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები (ფასს-ის მიხედვით)

| ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება ('000 ლარი) | 31.12.2023 | 31.12.2022 |
|---|---|---|
| ფულადი სახსრები და სებ-ში არსებული ნაშთები | 176,536 | 162,437 |
| სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტები სებ-ში | 170,304 | 199,513 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები | 1,197,607 | 1,156,358 |
| კლიენტებზე გაცემულ სესხებსა და ავანსებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვი | (29,287) | (30,290) |
| აქტივები, ზემოაღნიშნული აქტივების გარდა | 278,230 | 226,604 |
| სულ აქტივები | 1,793,391 | 1,714,621 |
| ვალდებულებები კლიენტების მიმართ | 1,059,767 | 970,388 |
| სხვა ნასესხები სახსრები | 407,742 | 424,023 |
| სულ კაპიტალი | 300,793 | 297,331 |
| | | |
| **ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლები** | | |
| დეპოზიტებისა და სესხების თანაფარდობა | 88.5% | 83.9% |
| უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROAE) | 15.5% | 15.2% |
| უკუგება საშუალო აქტივებზე (ROAA) | 2.6% | 2.4% |
| წმინდა საპროცენტო მარჟა | 4.4% | 4.4% |
| | | |
| **მოგების ან ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება ('000 ლარი)** | | |
| სულ საპროცენტო შემოსავალი | 117,490 | 113,251 |
| სულ საპროცენტო ხარჯები | (41,045) | (35,861) |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი | 76,445 | 77,390 |
| სესხებზე აღიარებული გაუფასურების ზარალის აღდგენა | 6,972 | 1,385 |
| წმინდა საოპერაციო შემოსავალი | 2,151 | 1,678 |
| უცხოურ ვალუტაში ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლები ხარჯების გამოკლებით | 13,961 | 17,767 |
| საოპერაციო შემოსავალი | 102,372 | 99,615 |
| საოპერაციო ხარჯები | 48,580 | 47,171 |
| მოგება მითითებულ პერიოდში | 46,244 | 42,991 |
| | | |
| **დამატებითი მაჩვენებლები** | | |
| ხარჯებისა და შემოსავლების თანაფარდობა | 50.9% | 48.0% |
| საკრედიტო რისკის ხარჯი | -0.6% | -0.1% |
| (ბაზელ III) პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი/სებ-ის მოთხოვნა | 21.4%/14.6% | 19.6%/11.9% |
| (ბაზელ III) სულ კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი/სებ-ის მოთხოვნა | 22.3%/18.2% | 21.7%/15.4% |

ბანკისა და ჯგუფის 2023 წლის საერთო სტრატეგიული მიზნები იყო დეპოზიტებისა და სესხების თანაფარდობის გაზრდა და დაფინანსების დამოუკიდებლობის გაუმჯობესება. ამ სტრატეგიის გამოყენებით ბანკმა აქცენტი ანაბრებზე გადაიტანა და საგრძნობლად გაზარდა სადეპოზიტო პორტფელი. 2023 წლის ბოლოს დეპოზიტებისა და სესხების თანაფარდობა 88.5% იყო, რაც 2022 წლის ბოლოს დაფიქსირებულ 83.9%-იან მაჩვენებელზე მეტია.

**ROAE** - ბანკმა 2023 წელს 46.2 მილიონი ლარის მოგება მიიღო, რაც წინა წელთან შედარებით 7.6%-ით მეტია, 15.5% სტაბილური ROAE-ით.

**წმინდა საპროცენტო მარჟა** - წმინდა საპროცენტო მარჟა (NIM) აჩვენებს სტაბილურ 4.4%-იან განაკვეთს ინარჩუნებს.

**საოპერაციო შემოსავალი** - სტრატეგიული მიზნების შესაბამისად, ბანკმა განაგრძო მარკეტინგული და საინფორმაციო ტექნოლოგიებთან დაკავშირებული რესურსების დაფინანსება და დიგიტალიზაცია გრძელვადიან პერსპექტივაში ოპერაციების ოპტიმიზაციის მიზნით. გაიზარდა ხელფასების ბიუჯეტიც.

**მინიმალური კაპიტალის მოთხოვნები** - ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები კომფორტულად დარჩა მინიმალურ მარეგულირებელ მოთხოვნებზე. კაპიტალის სტაბილური განვითარება გასული წლების პანდემიური სტრესის შემდეგაც, ნათლად მიუთითებს ბანკის ფინანსურ სტაბილურობაზე.

**საოპერაციო ხარჯები** - ბანკი განაგრძობს ინვესტირებას IT ტექნოლოგიებთან დაკავშირებულ რესურსებსა და გაციფრულებაში, გრძელვადიან პერსპექტივაში ოპერაციების ოპტიმიზაციის მიზნით; ასევე, სტრატეგიული პრიორიტეტების შესაბამისად იზრდება ინვესტიციები მარკეტინგში. გარდა ამისა, გაიზარდა სახელფასო ბიუჯეტი.

**კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები** - ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები კვლავ სტაბილურად მაღალია და თავისუფლად ფარავს მინიმალურ ნორმატიულ მოთხოვნებს. კაპიტალის სტაბილური განვითარება, გასული წლების პანდემიით გამოწვეული სტრესის მიუხედავად, ნათლად მიუთითებს ბანკის ფინანსურ სტაბილურობაზე.

## ძირითადი ბიზნეს სეგმენტები

### ბიზნეს კლიენტები

პროკრედიტ ბანკი საქართველოს არჩევანი, კლიენტთა სამიზნე ჯგუფთან მიმართებაში, ეფუძნება ბანკის გადაწყვეტილებას, რომ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას აქტიურად შეუწყოს ხელი. ჩვენ გვსურს ჩვენი კლიენტებისთვის ვიყოთ „Hausbank“ და მათთან გრძელვადიანი პარტნიორული ურთიერთობის დამყარებას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ.

ჩვენი ბიზნეს კლიენტებისთვის, როგორც წესი, დამახასიათებელია მფლობელთა მკაფიოდ ჩამოყალიბებული სტრუქტურა, ბიზნესის მდგრადი მოდელი, მენეჯმენტის სწორი და გრძელვადიანი ხედვა. ჩვენ განსაკუთრებით გვაინტერესებს ადგილობრივი საწარმოები და ინოვაციური, პროგრესზე ორიენტირებული კომპანიები ზრდის მძლავრი პოტენციალით. კომპანიებს აღნიშნული მახასიათებლებით, შეუძლიათ სამუშაო ადგილების შექმნა და ზრდა, შესაბამისად პოზიტიურ გავლენას ახდენენ ქვეყნის სოციალურ ფონსა და ეკონომიკურ განვითარებაზე.

ბანკი მიიჩნევს, რომ ის არის ფინანსური მომსახურების სანდო და პროფესიული მიმწოდებელი, რომელიც მცირე და საშუალო კომპანიებს გრძელვადიან მხარდაჭერას სთავაზობს და ამგვარად, საკუთარი წვლილი შეაქვს სამუშაო ადგილების შექმნაში, ინოვაციების პოტენციალის გამოყენებაში, გარემოს დაცვის შესახებ ინფორმირებულობის გაუმჯობესებასა და სოციალური პასუხისმგებლობის აღებაში.

ჩვენი მიზანია, პროფესიონალი ბიზნეს კლიენტთა მრჩეველების დახმარებით, განვავითაროთ სტაბილური და გრძელვადიანი საბანკო ურთიერთობები ბანკსა და მის ბიზნეს კლიენტებს შორის. შესაბამისად, ბანკის მიერ გაწეული საკონსულტაციო მომსახურება თუ შეთავაზება ეფუძნება ბიზნესის სრულფასოვან ანალიზს და მორგებულია ჩვენი კლიენტების საჭიროებებზე. საბანკო მომსახურების პასუხისმგებლობით და ეფექტურად გაწევა პროკრედიტ ბანკის უმნიშვნელოვანესი პრინციპია.

ჩვენი მიზანია ისეთ კლიენტებთან მუშაობა, რომლებიც აფასებენ გამჭვირვალე, ფართო სპექტრის მომცველ საბანკო ურთიერთობებს და სურთ, ითანამშრომლონ ისეთ ბანკთან, რომელიც მათ მაღალი ხარისხის პროფესიულ მომსახურებას სთავაზობს. როგორც სანდო საბანკო პარტნიორი, ჩვენ კლიენტებს ბიზნესის მშენებლობაში ვეხმარებით კარგად სტრუქტურირებული საკრედიტო ინსტრუმენტების მეშვეობით. მათი გადახდისუნარიანობისა და რესურსების გამოყენების საფუძვლიანი ანალიზის საშუალებით, ჩვენ მათ ვიცავთ ჭარბავალიანობის რისკისგან და ბიზნესის მდგრად გაფართოებასა და სამუშაო ადგილების შექმნას ვუწყობთ ხელს. ამიტომ, ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ისტორიულად, გვაქვს საბანკო სისტემაზე უკეთესი საკრედიტო პორტფელის ხარისხი. 2023 წლის განმავლობაში, პროკრედიტ ბანკი საქართველოს მთლიანი საკრედიტო პორტფელი 3.6%-ით გაიზარდა და 1.19 მლრდ. ლარი შეადგინა. საკრედიტო პორტფელის მცირედ გაზრდა განპირობებულია 2023 წელს ბანკის დეპოზიტების კუთხით განვითარებაზე ორიენტირებით. 2023 წლის განმავლობაში, ბანკის პრიორიტეტი იყო დეპოზიტებისა და სესხების თანაფარდობის კოეფიციენტის ზრდა, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან მოზიდულ სახსრებზე დამოკიდებულების შესამცირებლად. შედეგად, ბანკმა მოახერხა დეპოზიტებისა და სესხების თანაფარდობის კოეფიციენტის თითქმის 4.4 პროცენტული პუნქტით გაზრდა (84.1% - 2022 წელს, 88.5% - 2023 წელს). თუმცა, მომდევნო წლებში, ბანკი ბიზნეს სესხების პორტფელის მკვეთრ ზრდას და სესხებისა და დეპოზიტების კოეფიციენტის გაუმჯობესებას გეგმავს.

პროკრედიტ ბანკი საქართველოს ძირითადი სამიზნე ჯგუფი მცირე და საშუალო საწარმოებია. ბიზნეს სესხების მთლიანი პორტფელის ოდენობამ 1.09 მილიარდი ლარი შეადგინა.

პროკრედიტ ბანკი საქართველოს მთლიანი სადეპოზიტო პორტფელის 9.0%-ით გაიზარდა შესაბამისობაშია ბანკების დეპოზიტებისა და სესხების კოეფიციენტის გაზრდის სტრატეგიასთან და 1.05 მლრდ. ლარს შეადგენს, საიდანაც ბიზნეს და ინსტიტუციონალური კლიენტების დეპოზიტები 564 მლნ. ლარი იყო. გაცვლითი კურსის ცვლილებებით გამოწვეული გავლენის მიუხედავად, ბანკი მუშაობას აგრძელებს კლიენტთა სახსრების ზრდის მიმართულებით. ბანკის მიზანია ჰქონდეს ბიზნეს კლიენტთა დეპოზიტების მინიმუმ 12%-იანი ზრდა 2024 წლისთვის.

ჩვენი საკრედიტო პორტფელის ხარისხი ყოველთვის გამორჩეულად მაღალი იყო, 2022 წელს, მაჩვენებელი PAR›30, მთლიანი საკრედიტო პორტფელის 2.69%-ს შეადგენდა. აღნიშნული კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად ფასეულია ჯანსაღი ფინანსური ანალიზი და რამდენად მნიშვნელოვანია ისეთ მცირე და საშუალო საწარმოებთან მუშაობა, რომლებიც ბიზნესის განვითარებაზე ზრუნავენ და პროკრედიტ ბანკი საქართველოსთან გრძელვადიან, სანდო პარტნიორობას აფასებენ.

პროკრედიტ ბანკის მიზანია, ცვალებადი ეკონომიკური ვითარების მიუხედავად უწყვეტი ფინანსური მომსახურების მიწოდება პარტნიორებისთვის.

## ფიზიკური პირები

ბანკი თანამშრომლობს ისეთ ფიზიკურ პირებთან, რომლებიც თანამედროვე საბანკო მომსახურებას აფასებენ, დაზოგვის სურვილი აქვთ და ურჩევნიათ დამოუკიდებლად განახორციელონ საბანკო ოპერაციები თანამედროვე ელექტრონული არხების გამოყენებით. ჩვენი სამიზნე ჯგუფი მოიცავს ისეთ კლიენტებს, რომლებიც ჩვენი ბიზნეს კლიენტების აქციონერები, თვითდასაქმებული კერძო პირები, ანაბრის მფლობელები და რეგულარული შემოსავლის მიმღები არიან. ბანკი ხელს უწყობს დაირექთ ბანკინგის კონცეფციას და კლიენტებს სთავაზობს თანამედროვე ციფრულ მომსახურებას, რომელიც პასუხისმგებლობლიან მიდგომაზეა დაფუძნებული.

საცალო კლიენტებს შეუძლიათ ისარგებლონ განვითარებაზე ორიენტირებული ბანკების ჯგუფის ძლიერი საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილებით. საცალო კლიენტებისთვის შეთავაზებული ჩვენი მომსახურება აერთიანებს მოწინავე ტექნოლოგიებს, ყოველდღიური საბანკო ტრანზაქციებისადმი პროაქტიულ მიდგომას და საკრედიტო საშუალებების გაცემის თვალსაზრისით პასუხისმგებლიან დამოკიდებულებას. ბანკი ცდილობს პოზიტიურ შედეგებს მიაღწიოს თავის საცალო კლიენტებთან პარტნიორულ ურთიერთობაში ფართო სპექტრის საკრედიტო საშუალებების, საკრედიტო პროდუქტებზე სამართლიანი საპროცენტო განაკვეთების და დანაზოგებისთვის სტაბილური გარემოს, ასევე გამჭვირვალე მიდგომის უზრუნველყოფით.

აქედან გამომდინარე, ბანკმა გრძელვადიანი და სტაბილური ურთიერთობა დაამყარა თავის საცალო კლიენტებთან, რომლებიც სადეპოზიტო ბაზის დაახლოებით 46.4%-ს შეადგენენ. ეს პარტნიორობა ბიზნეს სტრატეგიის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია. მომავალში ბანკი აპირებს კიდევ უფრო გაზარდოს საცალო კლიენტების წილი, ამავდროულად გააფართოოს სადეპოზიტო პორტფელი. ბანკის მიზანია გახდეს სანდო და სასურველი ფინანსური პარტნიორი კლიენტებისთვის. ამ მიზნის მისაღწევად, ბანკი კვლავ ისეთი საცალო კლიენტების მოზიდვაზე ორიენტირდება, რომლებიც სანდო ინვესტიციების და დაზოგვის შესაძლებლობებს ეძებენ და რომლებთანაც ბანკი გრძელვადიან ურთიერთობებს განავითარებს.

პროკრედიტ ბანკი ახორციელებს დაირექთ ბანკინგის სტრატეგიას საცალო კლიენტებისთვის. ეს სრულიად განსხვავებული საბანკო გამოცდილებაა, რომელიც ფიზიკურ პირებს საბანკო მომსახურების სრულ პაკეტს ელექტრონული არხების მეშვეობით სთავაზობს. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებაში ინვესტირებით ბანკი თავის კლიენტებს შესაძლებლობას აძლევს დამოუკიდებლად აწარმოონ ყოველდღიური ტრანზაქციები დისტანციური არხებით. მარტივი სერვისები, ფიქსირებული გადასახადი, საბანკო სერვისებზე და მრავალფუნქციურ 24/7 თვითმომსახურების ზონებზე მარტივი წვდომა, ონლაინ პლატფორმების საშუალებით, იმ უპირატესობებს წარმოადგენს, რომლითაც მომხმარებელს შეუძლია ისარგებლოს. დისტანციური არხების მრავალფეროვნება საშუალებას აძლევს კლიენტებს საბანკო ოპერაციების თითქმის 99% დამოუკიდებლად აწარმოონ, ნებისმიერ დროს და ადგილას.

ჩვენი ბანკი, არა მხოლოდ სტაბილურ და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფს იმ პირებისთვის, რომლებსაც ფულის დაზოგვა სურთ, არამედ, ასევე საკრედიტო პროდუქტებს სთავაზობს გრძელვადიანი ინვესტიციების დასაფინანსებლად, როგორიცაა იპოთეკური და საინვესტიციო სესხები სახლის რემონტისთვის და ცხოვრების დონის გასაუმჯობესებლად. გარდა ამისა, ბანკი ხელს უწყობს ისეთი ეკომეგობრული ინვესტიციების დაფინანსებას, როგორიცაა ელექტრო მანქანების შეძენა ან მცირე მზის ელექტროსადგურის დაყენება.

ამრიგად, გრძელვადიანი თანამშრომლობის დამყარება, რომელიც ნდობაზე და სრულფასოვან სერვისებზეა დაფუძნებული, წარმატების გარანტი და ჩვენი საცალო ბიზნეს სტრატეგიის ძირითადი საყრდენია.



# კორპორაციული მმართველობა

აქციონერთა საერთო კრება გადაწყვეტილებების მიმღები უმაღლესი ორგანოა. პროკრედიტ ბანკის ხელმძღვანელობის უფლებები, ამოცანები და მოვალეობები განსაზღვრულია წესდებით. მასში შეტანილი უკანასკნელი ცვლილებები დაამტკიცა აქციონერთა საერთო კრებამ 2021 წლის 12 ნოემბერს.

## აქციონერთა სტრუქტურა

პროკრედიტ ჰოლდინგი (ProCredit Holding AG) პროკრედიტ ბანკის აქციების 100%-ს ფლობს.

პროკრედიტ ჰოლდინგის, პროკრედიტ ჯგუფის მშობელი კომპანიის, იურიდიული ფორმა არის „სააქციო საზოგადოება".

ბანკის აქციონერები საკუთარ აღმასრულებელ უფლებებს ახორციელებენ და გადაწყვეტილებებს იღებენ აქციონერთა საერთო კრებაზე. აქციონერთა საერთო კრება მსჯელობს და განიხილავს ბანკის საქმიანობის შესახებ ანგარიშებს, რომლებსაც მათ ბანკის სამეთვალყურეო საბჭო აწვდის, ამტკიცებს აუდიტორის მიერ შემოწმებულ ბანკის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას, იღებს გადაწყვეტილებებს მოგების განაწილებასთან, რეზერვების შექმნასთან, კაპიტალის გაზრდა/შემცირებასთან და აქტივების გასხვისებასთან დაკავშირებით.

ქვემოთ მოცემულია იმ აქციონერთა სია, რომლებიც პროკრედიტ ჰოლდინგის და ბანკის აქციების 5%-ზე მეტს ფლობენ:

| **საწესდებო კაპიტალის 1%-ის და მეტი წილის მფლობელი აქციონერების ჩამონათვალი, წილების მითითებით** | |
|---|---|
| პროკრედიტ ჰოლდინგი AG | 100% |

| **ბანკის ბენეფიციარების ჩამონათვალი, რომლებიც პირდაპირ და არაპირდაპირ ფლობენ აქციების 5%–ს ან მეტს წილების მითითებით** | |
|---|---|
| Zeitinger Invest GmbH | 18.3% |
| KfW - Kreditanstalt für Wiederaufbau | 13.2% |
| DOEN Paticipaties BV | 12.5% |
| EBRD - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი | 8.7% |
| TIAA -მასწავლებელთა დაზღვევის და ანუიტეტის ასოციაცია | 8.6% |
| სხვა | 38.7% |

## ბანკის სამეთვალყურეო საბჭო

სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრებსაც აქციონერთა საერთო კრება (საიდანაც სულ მცირე ორი წევრი დამოუკიდებელ წევრს წარმოადგენს) ნიშნავს, ბანკის ბიზნეს საქმიანობას უწევს მეთვალყურეობას. სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს პარალელურად ბანკში მუშაობის უფლება არ აქვთ.

დამსწრე წევრთა ხმების სამი მეოთხედით, სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს ბანკის ბიზნეს სტრატეგიას, ამტკიცებს პოლიტიკებს, ამტკიცებს ბიზნესის განვითარების ყოველწლიურ გეგმას (მათ შორის წლიურ საოპერაციო ბიუჯეტს), რომელსაც ბანკის დირექტორთა საბჭო წარადგენს, განიხილავს და ამტკიცებს დირექტორთა საბჭოს მიერ ფინანსური წლის განმავლობაში წარდგენილ ბიზნეს ოპერაციების ანგარიშს და აქციონერთა საერთო კრებისთვის წარსადგენად ამზადებს ბანკის წლიურ ანგარიშს.

სამეთვალყურეო საბჭოს აქვს დისკრეციული უფლება, ნებისმიერ დროს დანიშნოს ან გაათავისუფლოს ბანკის დირექტორთა საბჭოს წევრები. სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს და ათავისუფლებს აუდიტის კომიტეტის წევრებს.

სამეთვალყურეო საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს ბანკის დაფინანსების წყაროებთან, ფასიანი ქაღალდების გამოშვებასა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებისგან სესხების აღებასთან დაკავშირებით. სამეთვალყურეო საბჭო სესხებთან დაკავშირებული შესაბამისი გადაწყვეტილებების დელეგირებას ბანკის დირექტორთა საბჭოზე ახდენს.

სამეთვალყურეო საბჭო ამტკიცებს პოლიტიკას ინტერესთა კონფლიქტის შესახებ და ცვლილებებს ამ პოლიტიკაში. სამეთვალყურეო საბჭო ამტკიცებს ნებისმიერ ტრანზაქციას, რომელიც დაშვებულია საქართველოს კანონდებლობით ბანკსა და მასთან დაკავშირებულ მხარეებს შორის.

***სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობა 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:***

*მარსელ ცაიტინგერი (თავმჯდომარე)*
*ჯან მარკო ფელიჩე*
*სანდრინ მასიანი*
*ნინო დადუნაშვილი (დამოუკიდებელი წევრი)*
*რაინერ პიტერ ოტენშტაინი (დამოუკიდებელ წევრი)*

სამეთვალყურეო საბჭო იკრიბება სულ მცირე კვარტალში ერთხელ. სამეთვალყურეო საბჭოს კრებაზე, ქვორუმი შედგება სამეთვალყურეო საბჭოს წევრების სულ მცირე ორი მესამედისგან. სამეთვალყურეო საბჭოს კრების გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას მხარი დამსწრე წევრთა უბრალო უმრავლესობამ დაუჭირა.

# ბანკის დირექტორთა საბჭო

***დირექტორთა საბჭოს შემადგენლობა 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:***

*ზეინაბ ლომაშვილი (დირექტორი)*
*ალექს მატუა (გენერალური დირექტორი)*

ბანკის დირექტორთა საბჭო ხელმძღვანელობს და ახორციელებს ბანკის ყოველდღიურ ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საქმიანობას სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრული ბიზნეს სტრატეგიის შესაბამისად. დირექტორთა საბჭოს წევრებს ნიშნავს და ათავისუფლებს სამეთვალყურეო საბჭო.

დირექტორთა საბჭო გადაწყვეტილებებს დამსწრე წევრების ხმათა უბრალო უმრავლესობით იღებს.

პირველ კვარტალში სამეთვალყურეო საბჭოსთან შეთანხმებული იქნა დირექტორთა საბჭოს წევრების ოთხამდე გაზრდა - საქართველოს ეროვნული ბანკის თანხმობისა და სამეწარმეო რეესტრში შესაბამისი რეგისტრაციის პროცედურების წარმატებით დასრულების შემდეგ.

რაც შეეხება კანონის მოთხოვნებს, დირექტორთა საბჭოს წევრები აკმაყოფილებენ ყველა იმ კრიტერიუმს, რომელიც განსაზღვრულია საბანკო რეგულაციებით და დამტკიცებულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. დირექტორთა საბჭოს წევრებს ბანკის სხვადასხვა განყოფილებაში მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ. თითოეულმა დირექტორმა პროკრედიტის მენეჯმენტის აკადემიის (გერმანიის ქალაქ ფიურტში) სრული კურსი გაიარა.

კანონმდებლობასთან შესაბამისობის გათვალისწინებით, შესაძლებელია ბანკის თანამშრომლებისთვის, შესაბამისი კომპეტენციის ფარგლებში, გარკვეული ამოცანების დელეგირება. ბანკში მოქმედებს პასუხისმგებლობის დელეგირების სისტემა, რომლის რეგულარული მონიტორინგი ხორციელდება ბანკში მოქმედი კომიტეტების მეშვეობით. კომიტეტების ყველა სხდომას დირექტორთა საბჭოს სულ მცირე ორი წევრი ესწრება. დირექტორთა საბჭოს იმ წევრის დასწრება, რომელიც კონკრეტულ სფეროზეა პასუხისმგებელი, სავალდებულოა.



# რისკების მართვა

## რისკების სტრატეგია

რისკების მართვასთან ინფორმირებული და გამჭვირვალე მიდგომა პროკრედიტის სოციალურ პასუხისმგებლობაზე დაფუძნებული ბიზნეს მოდელის ცენტრალური კომპონენტია. ეს, ასევე, გათვალისწინებულია ჩვენს რისკების კულტურაში, რის შედეგადაც გადაწყვეტილების მიღების პროცესი კარგად არის დაბალანსებული რისკების მართვის კუთხით. ქცევის კოდექსი, რომელიც სავალდებულოა ყველა თანამშრომლისთვის, ამ თვალსაზრისით გადამწყვეტ როლს ასრულებს, რადგან ამ პრინციპებს მოიცავს.

ჩვენი მარტივი, გამჭვირვალე და მდგრადი ბიზნეს სტრატეგიის შესაბამისად, ჩვენი რისკების სტრატეგია კონსერვატიულია. ჩვენი მიზანია, პროკრედიტის ჯგუფის რისკების მართვის თანმიმდევრული მიდგომის შესაბამისად, ბანკს მუდმივად ჰქონდეს როგორც საკმარისი ლიკვიდური სახსრები და კაპიტალი, მიუხედავად არასტაბილური გარე ფაქტორებისა, ასევე - მდგრადი შედეგები ბიზნესის განვითარების კუთხით. ბანკის საერთო რისკის პროფილი დაბალია, რაც პასუხობს ბანკის რისკ-აპეტიტს. ეს ეფუძნება ცალკეული რისკების საერთო რისკის პროფილის შეფასებას.

ბანკი ბიზნესის, რისკების და ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიების განახლებას ყოველწლიურად ახდენს. ბიზნესის სტრატეგია შეიცავს ბანკის მიზნების ჩამონათვალს ყველა არსებით ბიზნეს საქმიანობასთან და ოპერირების რეგიონებთან დაკავშირებით და წარმოადგენს ამ მიზნების მისაღწევად განსახორციელებელ ზომებს, ხოლო ბანკის რისკების სტრატეგია განიხილავს იმ არსებით რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ბიზნეს სტრატეგიის განხორციელებასთან, და განსაზღვრავს რისკების მართვის მიზნებსა და ზომებს. რისკების სტრატეგია მოიცავს ბანკის ყველა არსებით რისკის მართვის მიდგომას. ჯგუფის რისკებისა და ბიზნესის სტრატეგიებს ამტკიცებს პროკრედიტ ჰოლდინგის ხელმძღვანელობა სამეთვალყურეო საბჭოსთან ერთობლივი განხილვის შემდეგ. ბანკის სტრატეგიის დოკუმენტები ჯგუფის სტრატეგიებს ეფუძნება და დამატებით ადგილობრივ სპეციფიკას წარმოადგენს. ამ დოკუმენტებს ბანკის სამეთვალყურეო საბჭო ამტკიცებს.

ჩვენი ბიზნეს საქმიანობის პრინციპები, რომლებიც ქვემოთ არის ჩამოთვლილი, ჩვენი რისკების მართვის საფუძველს ქმნის. ამ პრინციპების თანმიმდევრული გამოყენება მნიშვნელოვნად ამცირებს იმ რისკებს, რომლებიც ბანკის წინაშე დგას.

## ძირითად საქმიანობაზე ორიენტირება

პროკრედიტ ბანკი საქართველოს, ისევე როგორც პროკრედიტის ჯგუფის სხვა ინსტიტუტების, ძირითად საქმიანობას მცირე და საშუალო ბიზნესის და, აგრეთვე, ფიზიკური პირების ფინანსური მომსახურება წარმოადგენს. შესაბამისად, შემოსავლის გენერირების ძირითადი ფორმებია კლიენტების სესხებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და ანგარიშების ოპერირებისა და გადარიცხვებისგან მიღებული საკომისიო შემოსავალი. ბანკის ყველა სხვა ოპერაცია ხორციელდება უმთავრესად ძირითადი საქმიანობის მხარდასაჭერად. ყოველდღიური ოპერაციების განხორციელებისას, პროკრედიტი ძირითადად ითვალისწინებს საკრედიტო, სავალუტო, საპროცენტო განაკვეთის, ლიკვიდურობისა და საოპერაციო რისკებს. ამავე დროს, ბანკი თავს არიდებს ან მკაცრად ზღუდავს საბანკო ოპერაციებთან დაკავშირებულ ყველა სხვა სახის რისკს.

## გამჭვირვალობის, სიმარტივისა და დივერსიფიცირების მაღალი ხარისხი

პროკრედიტის მიერ მცირე და საშუალო ბიზნესზე ორიენტირება, როგორც კლიენტების სესხების, ისე მათი დეპოზიტების დივერსიფიცირების ძალიან მაღალ ხარისხს გულისხმობს. კლიეტთა ჯგუფების თვალსაზრისით, დივერსიფიცირება ეხება ეკონომიკის სექტორებს და კლიენტთა ჯგუფებს (მცირე და საშუალო საწარმოები და ფიზიკური პირები). საკრედიტო პორტფელის დივერსიფიცირება ბანკის საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკის მთავარი საყრდენია. ჩვენი მიდგომის კიდევ ერთი დამახასიათებელი არის ის, რომ ჩვენ ვცდილობთ კლიენტებს მარტივი და ადვილად გასაგები მომსახურება შევთავაზოთ. აღნიშნულის შედეგია მაღალი დონის გამჭვირვალობა არა მხოლოდ კონკრეტული კლიენტისთვის, არამედ რისკების მართვის თვალსაზრისითაც. დივერსიფიცირების მაღალი ხარისხის და ჩვენი მარტივი, გამჭვირვალე მომსახურებისა და პროცესების შედეგად მნიშვნელოვნად მცირდება ბანკის რისკების პროფილი.

## თანამშრომლების საფუძვლიანი შერჩევა და ინტენსიური ტრენინგი

პასუხისმგებლიანი საბანკო საქმიანობა ხასიათდება გრძელვადიანი ურთიერთობებით არა მხოლოდ კლიენტებთან, არამედ - თანამშრომლებთანაც. ამიტომ, ჩვენ ყურადღებით ვარჩევთ ჩვენს თანამშრომლებს და მრავალი მიზეზის გამო, მათ ტრენინგში მნიშვნელოვანი ინვესტიციები გვაქვს ჩადებული. ინტენსიური ტრენინგების კუთხით ჩვენი ძალისხმევის შედეგია არა მხოლოდ პროფესიული კომპეტენციის მაღალი დონე, არამედ ის, რომ ტრენინგი ხელს უწყობს ღია და გამჭვირვალე კომუნიკაციის კულტურას, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია. კარგად დატრენინგებული თანამშრომლები, რომლებიც მიჩვეულები არიან საკუთარი აზრის ღიად გამოთქმას, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ რისკების სათანადო მართვასა და შემცირებაში, განსაკუთრებით საოპერაციო და თაღლითობასთან დაკავშირებული რისკების მხრივ.

## რისკების მართვის ორგანიზება

რისკების მართვა პროკრედიტ ბანკის მენეჯმენტის საერთო პასუხისმგებლობაა; მენეჯმენტი ბანკის რისკების პროფილს რეგულარულად აანალიზებს და შესაბამისი ზომების მიღებაზე იღებს გადაწყვეტილებებს.

პროკრედიტ ბანკის ხელმძღვანელობას საქმიანობაში სხვადასხვა კომიტეტი ეხმარება.

- **რისკების კომიტეტი**, რომელიც ბანკის სამეთვალყურეო საბჭოში შეიქმნა და პასუხისმგებელია ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წარუდგინოს შესაბამისი რეკომენდაციები და შეთავაზებები ბანკის მიმდინარე და სამომავლო რისკებთან დაკავშირებით.

- **აუდიტის კომიტეტი**, რომელიც ბანკის სამეთვალყურეო საბჭოში შეიქმნა და კონსულტაციას უწევს ხელმძღვანელობას ყოველწლიური შიდა აუდიტის გეგმების დამტკიცებაში და შიდა და გარე აუდიტორების მიერ გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად ზომების დროული განხორციელების მონიტორინგში. გარდა ამისა, ეს განყოფილება შიდა აუდიტორული პოლიტიკის მუდმივ გაუმჯობესებას ისახავს მიზნად.

- **საკრედიტო პორტფელის ანალიზისა და მართვის კომიტეტი**, რომლის პასუხისმგებლობა მოიცავს ბანკის საკრედიტო პორტფელის ხარისხის საფუძვლიან და ყოვლისმომცველ ანალიზს საკრედიტო რისკის სწორად მართვის უზრუნველსაყოფად.

- **სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვის (IFRS) კომიტეტი** პასუხისმგებელია ბანკისთვის სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვირების შესაბამისი სტრატეგიის შემუშავების კოორდინაციასა და მართვაზე, საკრედიტო პორტფელის მომავალი და მოსალოდნელი დინამიკის, რისკის ქვეშ მყოფი პორტფელის განვითარების და სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვებში ცვლილებების გათვალისწინებით.

- **საკრედიტო მართვის კომიტეტი** განიხილავს ანალიზს, გირაოს შეფასებას და შემადგენლობას, იურიდიულ და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის დასკვნებს, აფასებს კლიენტის კრედიტუნარიანობას და გადაწყვეტილებებს იღებს საკრედიტო საშუალებების შესახებ შესაბამისი პირობებით და შეთანხმებებით. გადაწყვეტილებას იღებს საკრედიტო საშუალებებთან დაკავშირებით შემწყნარებლური ზომების გატარებაზე.

- **ზოგადი რისკების მართვის კომიტეტი** აკონტროლებს ბანკის საერთო რისკის პროფილს, ლიმიტის შესაბამისობას და შიდა და მარეგულირებელი კაპიტალის ადეკვატურობას. კომიტეტი განსაზღვრავს რისკის ტოლერანტობის ლიმიტებს რისკის მართვის ჩარჩოსა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ლიმიტების ფარგლებში. კომიტეტი ეხმარება და რჩევებს აძლევს მენეჯმენტს საბაზრო რისკებთან, საოპერაციო რისკებთან, მათ შორის თაღლითობის პრევენციის, ინფორმაციისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების უსაფრთხოების რისკებთან დაკავშირებით.

- **აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი (ALCO)** პასუხისმგებელია ბანკის ლიკვიდური აქტივების მართვასა და შესაბამისი რეზერვების მონიტორინგზე, სესხებსა და ანაბრებზე საპროცენტო განაკვეთის დადგენაზე, იმ ქმედებების კოორდინირებაზე, რომელთა მიზანია პროკრედიტ ბანკისთვის დაფინანსების მოპოვება და ფინანსურ ბაზარზე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ ანგარიშების წარდგენაზე.

- **შესაბამისობისა და ფულის გათეთრებასთან ბრძოლის კომიტეტი** ეხმარება და კონსულტაციას უწევს მენეჯმენტს იმ რისკებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოიშვება ფულის გათეთრებასთან და მოთხოვნების შესაბამისობასთან დაკავშირებით. ამასთანავე, საქმის კურსში აყენებს მენეჯმენტს იმ შესაბამის ზომებთან დაკავშირებით, რომლებიც ფულის გათეთრების რისკების თავიდან ასაცილებლად არის განსახორციელებელი. კომიტეტი წარმოადგენს სივრცეს, სადაც ხდება შესაბამისობის

რისკების შეფასება, საკანონმდებლო ცვლილებების განხილვა და გამოვლენილი შესაბამისობის რისკების პრიორიტეტულობის განსაზღვრა.

- **ადამიანური რესურსების მართვის კომიტეტის** პასუხისმგებლობაში შედის ყოველწლიური საკადრო და ტრენინგების გეგმის დამტკიცება, საკადრო სტრუქტურის განვითარების, კადრების დენადობისა და სამსახურში აყვანის პროცესის ანალიზი, თანამშრომლების შეფასების პროცესის მონიტორინგი და, შედეგებზე დაყრდნობით შესაბამისი ზომების მიღება, ხელფასების ყოველწლიური გადახედვა და ცვლილებებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება, თანამშრომლების გადაყვანის, პოზიციის შეცვლის, დაწინაურების, გაფრთხილების წერილების დამტკიცება და ბანკის ანაზღაურების პრაქტიკის პერიოდულად გადახედვა.

- **გარემოსდაცვითი კომიტეტი** მენეჯმენტს ეხმარება და კონსულტაციას უწევს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: სესხების გაცემის ზეგავლენა გარემოზე; ბანკის, როგორც გარემოს დაცვის კუთხით პასუხისმგებლიანი ორგანიზაციის პოზიციონირება და ამ რეპუტაციის განმტკიცება, ბანკის ენერგოეფექტურობის დონის გაზრდა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენების ხელშეწყობა, რის შედეგადაც მცირდება ხარჯები, ხდება უარყოფითი ეკოლოგიური ზეგავლენით გამოწვეული რისკების შემცირება, იზრდება ბანკის თანამშრომლებისა და კლიენტების ინფორმირებულობა გარემოს დაცვისა და ენერგოეფექტურობის საკითხების შესახებ.

ბანკს აქვს შესაბამისობის მართვის ეფექტური სისტემა, რომელიც ეფუძნება ჩვენს ქცევის კოდექსს და კადრების შერჩევასა და ტრენინგს. ქცევის კოდექსთან შესაბამისობა სავალდებულოა ყველა თანამშრომლისთვის. შესაბამისობის და რისკების მართვის განყოფილებები, რომლებიც ეროვნული საბანკო რეგულაციების შესრულებაზე არიან პასუხისმგებელი, რეგულარულად და საჭიროების შემთხვევაში, კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით ანგარიშებს ბანკის ხელმძღვანელობასა და პროკრედიტ ჯგუფის შესაბამის განყოფილებებს წარუდგენენ. ნებისმიერი ქმედების შესახებ, რომელიც არ შეესაბამება დადგენილ წესებს, შესაძლებელია ანონიმური შეტყობინების გაგზავნა ბანკში სპეციალურად შექმნილი ელექტრონული ფოსტის მისამართზე.

შიდა აუდიტი არის დამოუკიდებელი ფუნქციური მიმართულება ბანკში, რომელიც ანგარიშვალდებულია ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე აუდიტის კომიტეტის მეშვეობით, რომელიც დაქვემდებარებულია და ინიშნება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. მისი დახმარებით განისაზღვრება, თუ როგორი უნდა იყოს რისკების სათანადო მართვა და შესაბამისი შიდა კონტროლის სისტემა ბანკში. წელიწადში ერთხელ, პროკრედიტ ბანკის შიდა აუდიტის განყოფილება ახორციელებს ბანკის საქმიანობის რისკიანობის შეფასებას, წლიური რისკებზე დაფუძნებული აუდიტორული გეგმის შემუშავების მიზნით.

პროკრედიტ ჯგუფის აუდიტორული გუნდი ახორციელებს პროკრედიტ ბანკის მიერ ჩატარებული აუდიტის ხარისხის მონიტორინგს და უწევს ტექნიკურ დახმარებას.

საბანკო კანონმდებლობის შესაბამისად, ბანკს ყოველწლიურად გარე აუდიტორული შემოწმება უტარდება. გარე აუდიტორის შერჩევა ტენდერის პროცედურის მეშვეობით ხდება. სატენდერო კომიტეტის მიერ მომზადებული რეკომენდაციების საფუძველზე, სამეთვალყურეო საბჭო გარე აუდიტორის დანიშნვასთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს.

გარე აუდიტის პროცესს ყოველთვის გამოცდილი აუდიტორული ფირმები ახორციელებენ, რომლებსაც, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, აქვთ სათანადო კომპეტენცია და უფლება ჩაატარონ ფინანსური ინსტიტუტების აუდიტი. ამასთან, აუდიტორთა მიუკერძოებლობის შენარჩუნების მიზნით, ბანკი პერიოდულად იყენებს აუდიტორული ფირმების როტაციის პრაქტიკას.

EXIT

# ინდივიდუალური რისკების მართვა

## საკრედიტო რისკი - PMAG

პროკრედიტ ბანკი საქართველო, პროკრედიტ ჯგუფთან ერთად, განსაზღვრავს საკრედიტო რისკებს როგორც ზარალს, რომელიც ბანკს დაუდგება, თუ ტრანზაქციაში მონაწილე მხარე საერთოდ ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს ან შეასრულებს მათ არასრულად ან დაგვიანებით. საკრედიტო რისკებში ჩვენ გამოვყოფთ კლიენტის საკრედიტო რისკს, კონტრაგენტის რისკს (მათ შორის, ემიტენტის რისკს) და ქვეყნის რისკს. ბანკისთვის საკრედიტო რისკები ყველაზე მნიშვნელოვანი რისკის კატეგორიაა, ხოლო კლიენტების სასესხო ვალდებულებები ამ რისკის ყველაზე დიდ წილს შეადგენს.

## კლიენტის საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკების მართვის მთავარი ამოცანებია საკრედიტო პორტფელის მაღალი ხარისხის მიღწევა, საკრედიტო პორტფელში რისკების დაბალი კონცენტრაცია და საკრედიტო რისკების სათანადო დაფარვა სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვებით. ბიზნესის სექტორების მრავალფეროვნების გათვალისწინებით, რომლებთანაც ბანკი თანამშრომლობს, და იმ გამოცდილების საფუძველზე, რომელიც პროკრედიტ ბანკი საქართველომ ბაზარზე ოპერირების 24 წლის მანძილზე დააგროვა, მას აქვს ფართო პროფესიული ცოდნა, რათა ეფექტურად მართოს კლიენტის საკრედიტო რისკი.

პროკრედიტ ბანკი საქართველო, კლიენტების ფართო სპექტრს ემსახურება, როგორც - შედარებით მცირე ბიზნეს კლიენტებს, რომელთა სტრუქტურა დროთა განმავლობაში სულ უფრო ფორმალიზებული ხდება, ასევე - უფრო დიდი ზომის მცირე და საშუალო საწარმოებს. სესხების გაცემისას, ჩვენ შემდეგი პრინციპებით ვხელმძღვანელობთ:

- ჩვენი სასესხო კლიენტების გადახდისუნარიანობის ინტენსიური გაანალიზება (ბანკი არ იყენებს ქულების მინიჭებაზე დაფუძნებულ მოდელს “scoring model”);
- სესხის გაცემის ოპერაციების დროს განხორციელებული საკრედიტო რისკების ანალიზისა და პროცესების ზუსტი დოკუმენტირება, რათა განხორციელებული ანალიზი გასაგები იყოს მცოდნე მესამე მხარეებისთვის;
- კლიენტების ჭარბვალიანობის მკაცრად თავიდან არიდება;
- კლიენტთან პერსონალური და გრძელვადიანი ურთიერთობის დამყარება, რეგულარული კონტაქტის შენარჩუნება;
- საკრედიტო ვალდებულებების დაფარვის მკაცრი მონიტორინგი;
- გადახდის ვადაგადაცილების შემთხვევაში, სესხის უშუალოდ კლიენტზე ორიენტირებული ინტენსიური მართვის გამოყენება;
- გადახდისუუნარობის შემთხვევაში, გირაოს რეალიზაცია.

კლიენტის საკრედიტო რისკების მართვის სქემა მოცემულია შესაბამის პოლიტიკებსა და სტანდარტებში, რომლებიც პროკრედიტ ჯგუფის დონეზეა შემუშავებული. პოლიტიკები, სხვა საკითხებთან ერთად, განსაზღვრავს ბანკში საკრედიტო რისკების მართვასთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობებს, საკრედიტო საქმიანობის ორგანიზებისა და სესხების გაცემის პრინციპებს, და სასესხო ვალდებულებების შესაბამისი გირაოს შეფასების სისტემას. სტანდარტებში მოცემულია ბანკის ბიზნეს კლიენტებთან და ფიზიკურ პირებთან სასესხო ოპერაციების განხორციელების დეტალური განმარტება და ბანკის მიერ შეთავაზებული სესხების სახეობები. ისინი, ასევე, მოიცავენ წესებს რესტრუქტურიზაციის, რისკების უზრუნველყოფისა და ჩამოწერების შესახებ. ამგვარად, პოლიტიკები და სტანდარტები განსაზღვრავენ რისკის შემცირების ზომებს სესხების გაცემამდე (საკრედიტო რისკების შეფასება) და გაცემის შემდგომი ეტაპებისთვის (მაგ. ფინანსური მდგომარეობის რეგულარული მონიტორინგი, რისკის ადრეული იდენტიფიცირების მაჩვენებლების მიმოხილვა, სესხების ინტენსიური მენეჯმენტი და პრობლემური სესხების მართვა).

საკრედიტო რისკების მართვასთან პროკრედიტ ბანკის მიდგომის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი არის ბანკის კლიენტების გადახდისუნარიანობის ინტენსიური ანალიზი და მათ მიერ ჭარბვალიანობის მკაცრად თავიდან აცილება. არსებითი მნიშვნელობა ენიჭება სავალუტო რისკის შეფასებას იმ კლიენტებისთვის, ვისაც სესხი უცხოურ ვალუტაში აქვთ აღებული და/ან აქვთ აქტივები/ვალდებულებები, რომლებიც უცხოურ ვალუტაშია დენომინირებული ან ინდექსირებული. უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ძლიერმა მერყეობამ შეიძლება კლიენტის გადახდისუნარიანობაზე უარყოფითი გავლენა მოახდინოს. ამისათვის, ბანკი იყენებს სავალუტო რისკის სტრესის სპეციალურ მოდელს, რომელიც განკუთვნილია ინდივიდუალური კლიენტის რისკის შეფასებისთვის. ამგვარად, ნებისმიერი სესხის გაცემასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში, საკრედიტო კომიტეტი ითვალისწინებს გაცვლითი კურსის მერყეობასთან დაკავშირებული სტრესული სიტუაციებისთვის ბუფერის არსებობას.

პროკრედიტ ბანკში, სესხებთან დაკავშირებულ ყველა გადაწყვეტილებას იღებს საკრედიტო კომიტეტი. მის წევრებს აქვთ დამტკიცების ლიმიტები, რომლებიც დამოკიდებულია მათ ექსპერტულ ცოდნასა და გამოცდილებაზე. ყველა ზედა საშუალო სასესხო ვალდებულებას ამტკიცებს ბანკის დირექტორთა საბჭო. ტოპ ხუთეული სესხის გაცემისთვის საჭიროა პროკრედიტ ჰოლდინგის პასუხისმგებელი გუნდის ყველა წევრის მხარდაჭერა.

ბანკის საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკა ზღუდავს არაუზრუნველყოფილი საკრედიტო ოპერაციების წარმოების შესაძლებლობას. კლიენტის რისკის პროფილისა და სესხის ვადის გათვალისწინებით, სესხი შეიძლება გაიცეს ნაწილობრივი გირაოს არსებობის პირობებში. თუმცა, როგორც წესი, მაღალი რისკის პროფილის მქონე სასესხო ვალდებულებები გარანტირებულია სოლიდური გირაოს, ძირითადად უძრავი ქონების მეშვეობით.

გირაოს შეფასება გარე, დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ ხორციელდება. ბანკი გირავნობის ყველა საგნის ფასის მონიტორინგს რეგულარულად აწარმოებს. გარე შეფასებების გადამოწმებასა და რეგულარულ მონიტორინგს პროკრედიტ ბანკი საქართველოს გირაოს შეფასების ექსპერტები ახორციელებენ.

გირაოს მთლიან მოცულობაში, ძირითადი წილი უძრავ ქონებას, ფინანსურ გარანტიებს და ფულად უზრუნველყოფას უკავია, რამაც დაახლოებით 93% შეადგინა 2023 წლის მდგომარეობით.

## საკრედიტო პორტფელის ხარისხი

საკრედიტო რისკის ეფექტიანი მონიტორინგისა და საკრედიტო ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების მიზნით, ბანკმა დანერგა შესაბამისი შიდა პროცედურები და ანგარიშგების წესები, საკრედიტო რისკის პოტენციური ზრდის მქონე კლიენტების ადრეულ ეტაპზე იდენტიფიცირებისა და მართვის მიზნით. რაც უფრო ადრე იქნება ბანკი ინფორმირებული საკრედიტო რისკის პოტენციურ გაუარესებაზე, მით უფრო მაღალი იქნება იმის ალბათობა, რომ ბანკი შეძლებს დროული ზომების მიღებას, რათა თავიდან აიცილოს კრედიტის დეფოლტი ან მინიმუმამდე დაიყვანოს ნეგატიური ფინანსურ გავლენა. რისკის ადრეული გამოვლენის პროცესი შექმნილია სტანდარტული საკრედიტო პორტფელის მართვის მხარდაჭერის მიზნით. აღნიშნული ხორციელდება პოტენციური საკრედიტო რისკების ადრეულ ეტაპზე გამოვლენით, მათი შეფასებით და საჭირო ქმედებების განხორციელებით. ადრეული გამაფრთხილებელი ნიშნები სულაც არ მიუთითებს საკრედიტო რისკის რეალურ ზრდაზე, მაგრამ ისინი ხელს უწყობს იმ მახასიათებლების იდენტიფიცირებას, რომლებსაც ჩვეულებრივ ავლენენ გაზრდილი საკრედიტო რისკის მქონე სესხები.

მთლიანი საკრედიტო პორტფელის საკრედიტო ხარისხის შეფასება ხორციელდება ყოველთვიურად და, საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხშირად, რაც მოიცავს პორტფელის სტრუქტურისა და ხარისხის, რესტრუქტურიზებული სესხების, ჩამოწერების, ჩამოწერილი სესხების დაფარვის და გადაფარვის კოეფიციენტის (შესაძლო დანაკარგების რეზერვი შეფარდებული ვადაგადაცილებული სესხების მოცულობასთან) და კონცენტრაციის რისკების ანალიზს. პროკრედიტ ბანკი საკრედიტო პორტფელის ხარისხს ძირითადად აფასებს აქტივების ხარისხის სამი მაჩვენებლით.

აქტივების ხარისხის მაჩვენებლების მიხედვით, ბანკის საკრედიტო პორტფელი იყოფა შემდეგ კატეგორიებად: სტანდარტული (Performing), საყურადღებო (Underperforming) და უიმედო (Default) სესხები.

საყურადღებო კატეგორიაში აღირიცხება ისეთი სესხები, რომლებსაც აქვთ გაზრდილი საკრედიტო რისკი. ეს არის შემთხვევა, როდესაც ადგილი აქვს შემდეგი მოვლენებიდან ერთს მაინც:

- კლიენტს აქვს 30 დღეზე მეტი, მაგრამ 90 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება (მათ შორის 30 დღის ვადაგადაცილება თვის განმავლობაში)
- კლიენტის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა, რაც რისკის კლასიფიკაციის 6-მდე ან 7-მდე შემცირებას გამოიწვევს
- რესტრუქტურიზაცია (სტანდარტული ან საყურადღებო)

მესამე დონის (უიმედო) საკრედიტო ვალდებულების კატეგორიაში აღირიცხება ისეთი სესხები, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგი მოვლენებიდან ერთს მაინც:

- ვადაგადაცილებულია 90 დღეზე მეტი ვადით
- ხარისხობრივი და რაოდენობრივი კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზე ბანკი მიიჩნევს, რომ კლიენტები სრულად ვერ დაფარავენ დავალიანებას უზრუნველყოფის გარეშე
- კლიენტს მინიჭებული აქვს რისკის კლასიფიკატორი 8
- გაუფასურებული რესტრუქტურიზაცია
- დაწყებულია გაკოტრების პროცედურა

- ბანკმა კლიენტის წინააღმდეგ სასამართლო პროცესი დაიწყო
- საკრედიტო თაღლითობის შემთხვევა
- გაუფასურების სხვა ნიშნები

საკრედიტო პორტფელის ხარისხის მაჩვენებლები სტაბილურია 2023 წლისთვის და საკრედიტო რისკის კოეფიციენტები მისაღებ დონეზე რჩება.

ბანკის საკრედიტო პორტფელის დივერსიფიცირების მაღალი ხარისხი წარმოადგენს კონცენტრაციის რისკის შემცირების ეფექტურ საშუალებას. ეს დივერსიფიცირება ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში მოქმედი მცირე და საშუალო ბიზნესებისთვის სესხების გაცემის შედეგია.

პორტფელის ანალიზის დროს ბანკი რეგულარულად აანალიზებს შემდეგ ფაქტორებს: მაკროეკონომიკური გარემო, საკრედიტო პორტფელის განვითარება კლიენტის სეგმენტისა და ვალუტის მიხედვით, საკრედიტო პორტფელის სტრუქტურა და ხარისხი ეკონომიკური სექტორების მიხედვით, კონკურენციის ანალიზი, აქტივების ხარისხის ინდიკატორები, რეკლასიფიკაცია, ჩამოწერა და ჩამოწერილი სესხების დაფარვა, უზრუნველყოფის დასაკუთრების პროცესი და პორტფელის ხარისხზე გავლენის მომხდენი სხვა მოვლენების ანალიზი.

ისეთი განსაკუთრებული მოვლენების ანალიზი და განხილვა, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინოს საკრედიტო პორტფელზე, პროკრედიტ ჯგუფისა და ბანკის დონეზე ხდება, რის შედეგადაც შესაძლებელია, დაწესდეს შეზღუდვები დაკრედიტებაზე კლიენტების გარკვეული ჯგუფებისთვის, მაგალითად, ეკონომიკის კონკრეტულ სექტორებში.

## კონტრაგენტის რისკი, ემიტენტის რისკის ჩათვლით - GRU 2

პროკრედიტ ბანკი კონტრაგენტის (მათ შორის, ემიტენტის) რისკს განსაზღვრავს როგორც ზარალის რისკს, რომელიც წარმოიქმნება კონტრაგენტის/ემიტენტის მიერ ნაკისრი სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანად შეუსრულებლობის ან ნაწილობრივ ან ვადების დარღვევით შესრულებით. პროკრედიტ ბანკს კონტრაგენტის რისკი ძირითადად ბანკის ლიკვიდურობის მართვის, მათ შორის მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივების ფლობის გამო წარმოექმნება. გარდა ამისა, ბანკს აქვს მნიშვნელოვანი მოცულობის ლიკვიდური აქტივები განთავსებული საქართველოს ეროვნულ ბანკში, სავალდებულო მინიმალური რეზერვების სახით.

კონტრაგენტის რისკის მართვის მთავარი პრინციპია ბანკის ლიკვიდურობის უსაფრთხოდ და შეძლებისდაგვარად დივერსიფიცირებულად განთავსება. მიუხედავად იმისა, რომ ბანკი ცდილობს ამ აქტივებიდან გარკვეული შემოსავლის მიღებას, უმთავრესი ამოცანაა, უზრუნველყოს უსაფრთხო განთავსება და დროული ხელმისაწვდომობა, ანუ კონტრაგენტის დაბალი რისკიანობა ლიკვიდური სახსრების განთავსების მთავარი განმაპირობებელია. შესაბამისად, ჩვენ ვმუშაობთ მხოლოდ ყურადღებით შერჩეულ, საიმედო, მაღალი საკრედიტო რეიტინგის მქონე ბანკებთან; როგორც წესი, ლიკვიდურ სახსრებს განვათავსებთ მოკლე ვადით და ვიყენებთ ძალიან შეზღუდული რაოდენობის მარტივ ფინანსურ ინსტრუმენტებს.

ემიტენტის რისკის მართვა იგივე პრინციპებით ხორციელდება. პროკრედიტ ბანკს ეკრძალება სპეკულაციურ ოპერაციებში მონაწილეობის მიღება. პრინციპში, ხდება მხოლოდ მაღალლიკვიდური ფასიანი ქაღალდების შეძენა, როგორც წესი, მაქსიმუმ ერთ წლამდე ვადით. ადგილობრივ ვალუტაში ლიკვიდურობის დაბანდება უპირველესად ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის ფასიან ქაღალდებში ან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ გამოშვებულ ობლიგაციებში. ევროსა ან აშშ დოლარში ლიკვიდური სახსრების განთავსება, მეორე მხრივ, ხდება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრ ქვეყნებში მოქმედ ბანკებში. საბაზრო ფასების ცვლილების გავლენა ბანკზე მინიმალურია. მიზეზები ისაა, რომ ფასიანი ქაღალდების მოცულობა საკმაოდ დაბალია, მათი გადახდის ვადა ხანმოკლეა და ემიტენტების შერჩევა ხდება სიფრთხილით, რისკების შეფასების კონსერვატიული კრიტერიუმების საფუძველზე.

როგორც წესი, ჩვენი კონტრაგენტები არიან საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს სახელმწიფო და კომერციული ბანკები. რისკის ძირითადი ტიპებია: ანგარიშებზე ნაშთები, მოკლევადიანი დეპოზიტები, მაღალლიკვიდური ფასიანი ქაღალდები და არამატერიალური მოცულობის დერივატივები ლიკვიდურობის მართვისა და ჰეჯირების მიზნებისთვის (კერძოდ, სავალუტო სვოპები).

კონტრაგენტებსა და ემიტენტებთან დაკავშირებული რისკის მართვა ხორციელდება ლიმიტების სისტემის საფუძველზე. პროკრედიტ ბანკი ტრანზაქციებს ასრულებს მხოლოდ იმ კონტრაგენტებთან, რომლებსაც დეტალური ანალიზი უკვე ჩაუტარდათ და ლიმიტი დაუმტკიცდათ. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) არაწევრ ქვეყნებში მოქმედი ბანკისთვის ან საბანკო ჯგუფისთვის საერთო ლიმიტი არ უნდა აღემატებოდეს პროკრედიტ ბანკის CRR კაპიტალის 10%-ს, პროკრედიტ (საბანკო) ჯგუფის ALCO-ს ან რისკების მართვის კომიტეტის წინასწარი თანხმობის გარეშე. ბანკისთვის, რომელიც რეგულირდება OECD-ის წევრ ქვეყნებში წარმოდგენილი მარეგულირებლების მიერ, ზღვარი არის 25%. როგორც წესი, ბანკის მიერ განთავსებული ვადიანი დეპოზიტების მაქსიმალური ვადაა ერთი თვე; 3 თვეზე მეტი ვადა უნდა დაამტკიცოს პროკრედიტ (საბანკო) ჯგუფის ALCO-მ ან რისკების მართვის კომიტეტმა. მოცემული კომიტეტების თანხმობა, ასევე, სავალდებულოა ფასიან ქაღალდებში ჩადებული ნებისმიერი ინვესტიციის შემთხვევაში (ადგილობრივ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის ქაღალდების გარდა, რომელთა ნარჩენი ვადიანობა სამ თვეს შეადგენს).

რისკის კონცენტრაციის თავიდან აცილების მიზნით, თითოეული საბანკო ჯგუფისთვის და თითოეული სახელმწიფო ჯგუფისთვის (ცენტრალურ ბანკთან, სახელმწიფო და სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ორგანიზაციებთან) განსაზღვრულია დამატებითი მაქსიმალური ლიმიტი.

## საბაზრო რისკები

საბაზრო რისკები არის ბაზრის ფასებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად პოტენციური ზარალის რისკები (მაგ. სავალუტო კურსებში ცვლილების ანსხვა პარამეტრების ცვლილების შედეგად). პროკრედიტ ბანკისთვის შესაბამისი საბაზრო რისკებია: სავალუტო რისკი და საპროცენტო განაკვეთის რისკი. პროკრედიტ ბანკი საბაზრო რისკებს ისე მართავს, რომ მათი გავლენა ბანკის საერთო რისკის პროფილზე მაქსიმალურად შეზღუდულია. ბანკის რისკების სტრატეგიის შესაბამისად, სპეკულაციური მიზნებისთვის სავალუტო რისკისა და საპროცენტო განაკვეთის რისკის აღება დაუშვებელია; უცხოურ ვალუტაში განსაზღვრული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებისა და საპროცენტო განაკვეთის წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ ჰეჯირების მიზნებისთვის ან ლიკვიდურობის მისაღებად. პროკრედიტ ბანკი მკაცრად იცავს არასავაჭრო საბანკო დაწესებულებისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს

## სავალუტო რისკები

ბანკი სავალუტო რისკს განსაზღვრავს, როგორც უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობით მიღებული ზარალის ან უარყოფითი გავლენის რისკს. სავალუტო რისკმა შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს შემოსავლებზე და საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტების შემცირება გამოიწვიოს.

ნეგატიური შედეგი ვლინდება იმ შემთხვევაში, როდესაც უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივებისა და ვალდებულებების მოცულობა განსახვავდება და შესაბამისი უცხოური ვალუტის გათვლითი კურსები ლართან მიმართებაში ბანკისთვის არახელსაყრელი მიმართულებით იცვლება. ძირითადი რისკის მაჩვენებელი, რომელიც თითოეული ვალუტის შემთხვევაში შეუსაბამობას ავლენს საბალანსო ანგარიშში, არის ღია სავალუტო პოზიცია (OCP). საერთო ღია სავალუტო პოზიციის ლიმიტი შეადგენს ბანკის CRR კაპიტალის 10%-ს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამ ლიმიტიდან გადახვევას ამტკიცებს პროკრედიტ (საბანკო) ჯგუფის ALCO ან რისკების მართვის კომიტეტი. რისკის დროულად შეფასების მიზნით, პროკრედიტ ბანკს დადგენილი აქვს ადრეული იდენტიფიცირების მაჩვენებელი - CRR კაპიტალის 7.5%-იანი ბარიერი საერთო ღია სავალუტო პოზიციისთვის, ხოლო ±5% განისაზღვრა თითოეული ვალუტის ღია სავალუტო პოზიციისთვის.

სავალუტო რისკმა შეიძლება შეამციროს საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტები, რადგან ბანკის კაპიტალი ადგილობრივ ვალუტაშია წარმოდგენილი, ხოლო მისი აქტივების დიდი ნაწილი დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში. ასეთ შემთხვევაში, ადგილობრივი ვალუტის გაუფასურება გამოიწვევს კაპიტალის ადეკვატურობის მნიშვნელოვან გაუარესებას, რადგან უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი აქტივების ღირებულება მოიმატებს (ლარის გაუფასურების გამო) და, შესაბამისად, ბანკს ექნება უფრო მეტი რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები, ხოლო ლარში დენომინირებული კაპიტალის მოცულობა უცვლელი დარჩება. ამ რისკის შესამცირებლად, ბანკი მიზნად ისახავს ადგილობრივ ვალუტაში წარმოდგენილი აქტივების წილის გაზრდას. მინიმუმ კვარტალში ერთხელ, კაპიტალის ადეკვატურობის პროგნოზირების ფარგლებში, ტარდება სავალუტო რისკის სტრეს-ტესტები, რომლებიც ასახავს ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტებზე გაცვლითი კურსის არახელსაყრელი განვითარების შედეგებს.

## საპროცენტო განაკვეთის რისკი საბანკო წიგნში

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებებით გამოწვეული ზარალის რისკი და წარმოიქმნება აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასების ვადებს შორის სტრუქტურული შეუსაბამობის შედეგად. ის რეგულარულად ფასდება, მინიმუმ კვარტალში ერთხელ.

საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის მიზნით, პროკრედიტ ბანკი ორიენტირებულია ცვლადი და შერეული (ფიქსირებულს + ცვლადი) საპროცენტო განაკვეთით სესხების პორტფელის გაზრდაზე. ამ გზით, აქტივების გადაფასების ვადები შეიძლება უკეთ შეუთავსდეს ვალდებულებების გადაფასების ვადებს, მაშინაც კი, როდესაც ვალდებულებების დაფარვის ვადა სესხების დაფარვის ვადაზე ნაკლებია. ცვლადი და შერეული საპროცენტო განაკვეთით სესხების გამჭვირვალედ გაცემის მიზნით, საპროცენტო განაკვეთების განსაზღვრისას, ბანკი ორიენტირად იყენებს საჯაროდ ხელმისაწვდომ საპროცენტო განაკვეთებს (SOFR/Term SOFR, EURIBOR, TIBR, სებ-ის რეფინანსირების განაკვეთი, სხვა). ადგილობრივ ვალუტაში საპროცენტო განაკვეთის რისკის მიტიგაციის ფინანსური ინსტრუმენტები (ჰეჯები) ხელმისაწვდომი არ არის.

საპროცენტო განაკვეთის რისკის შეფასების, მონიტორინგისა და შეზღუდვის მიზნით ბანკი იყენებს მიდგომას, რომელიც ეფუძნება ვადიანობების გადაფასების ანალიზს. აქტივები და ვალდებულებები გადანაწილებულია სახელშეკრულებო პირობებით გათვალისწინებულ ვადებზე. ბანკი საპროცენტო განაკვეთის რისკს აფასებს ორი მაჩვენებლის მიხედვით: EVI - ეკონომიკურ ღირებულებაზე გავლენა, შედარებით გრძელვადიანი პერსპექტივა, და IEI - საპროცენტო შემოსავლების მაჩვენებელი, 12-თვიანი პერსპექტივა (გავლენა მოგება-ზარალზე). მთლიან ეკონომიკურ ღირებულებაზე გავლენა სტანდარტულ პარალელურ სცენარებში: დაწესებულია ბანკის CRR კაპიტალის 15%-იანი ზედა ზღვარი. რისკის ადრეული იდენტიფიცირების მაჩვენებელი განისაზღვრება, როგორც ბანკის CRR კაპიტალის 10% (გაუქვითავი თითოეულ შემთხვევაში). მოგებაზე ან ზარალზე გავლენა მნიშვნელოვნად ითვლება, თუ ის აღემატება მიმდინარე წლის ბანკის პროგნოზირებული წმინდა საპროცენტო შემოსავლის 20%-ს ALCO-ის პროგნოზების ანგარიშის მიხედვით (ადრეული გაფრთხილების მაჩვენებელი). ლიმიტი განისაზღვრება 25%-ზე.

## საოპერაციო და თაღლითობის რისკები

CRR-ის შესაბამისად, საოპერაციო რისკს განმარტავთ როგორც ზარალის რისკს, რომელიც წარმოიქმნება არაადეკვატური ან წარუმატებელი შიდა პროცესების, ადამიანთა ქმედების ან სისტემების ან გარეშე მოვლენების შედეგად. ეს განმარტება მოიცავს თაღლითობის რისკს, საინფორმაციო ტექნოლოგიების და ინფორმაციული უსაფრთხოების რისკებს, სამართლებრივ რისკს, რეპუტაციულ რისკსა და აუთსორსინგის რისკს. ბანკში 2009 წლიდან არის დანერგილი საოპერაციო რისკების მართვის პოლიტიკა, რომელიც დამტკიცებულია ბანკის მენეჯმენტის მიერ და განახლდება ყოველწლიურად. პოლიტიკაში განსაზღვრული პრინციპები პასუხობს საოპერაციო რისკის მართვის სტანდარტიზებული მიდგომის მოთხოვნებს CRR-ის, სებ-ის საოპერაციო რისკების მართვის შესახებ დებულების, სებ-ის კიბერუსაფრთხოების სტრუქტურისა და საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად.

საოპერაციო რისკის მართვის მიზანია რისკების გამოვლენა ადრეულ ეტაპზე და ზარალის შემთხვევების გამეორების თავიდან აცილება. ძირითადი მართვის მექანიზმებია რისკის შემთხვევების მონაცემთა ბაზა (RED), საოპერაციო და თაღლითობის რისკების ყოველწლიური შეფასებები, რისკების ძირითადი მაჩვენებლები (KRI) და ყველა ახალი მომსახურების და პროცესის სტრუქტურული ანალიზი - ახალი რისკის დამტკიცების (NRA) პროცესი.

რისკის შემთხვევების მონაცემთა ბაზა შემუშავდა იმ მიზნით, რომ განხორციელდეს პროკრედიტ (საბანკო) ჯგუფში გამოვლენილი ყველა საოპერაციო რისკის შემთხვევის დოკუმენტირება, ანალიზი და ეფექტურად კომუნიცირება. ყველა პროკრედიტ ბანკი ახორციელებს რისკის შემთხვევების დოკუმენტირებას წარმოდგენილი სტრუქტურის გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს, საოპერაციო და თაღლითობის რისკების შემცირების ან თავიდან აცილების მიზნით, შესაბამისი გამოსასწორებელი ან პრევენციული ზომების გატარებას.

რისკის შემთხვევების მონაცემთა ბაზაში დაფიქსირებული შემთხვევების ანალიზისგან განსხვავებით, წლიური რისკების შეფასებები სისტემატურად ხორციელდება იმისათვის, რომ გამოვლინდეს და შეფასდეს დამატებითი რისკები, ასევე, განისაზღვროს კონტროლის მექანიზმების ადეკვატურობა. ეს ორი მექანიზმი ერთმანეთს ავსებს და ასახავს პროკრედიტ ბანკის საოპერაციო რისკის პროფილის საერთო სურათს.

პოტენციურად გაზრდილი თაღლითობის რისკის შესაფასებლად, ასევე, გამოიყენება რისკის მაჩვენებლები საბანკო ოპერაციების კონკრეტულ სფეროსა თუ კონკრეტულ ფილიალებში. ბანკი რეგულარულად ახორციელებს ამ მაჩვენებლების ანალიზსა და დამატებითი პრევენციული ზომების საჭიროებას.

საოპერაციო რისკის სრულფასოვანი მართვის განსახორციელებლად, აუცილებელია ყველა ახალი მომსახურების რისკების შეფასება დანერგვამდე, რაც განაპირობებს პოტენციური რისკების გამოვლენასა და მათი მართვის მექანიზმების დანერგვას (ახალი რისკების შეფასების პროცესი).

საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკების შემცირების მიზნით, პროკრედიტ (საბანკო) ჯგუფმა განსაზღვრა საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის, ბიზნესის უწყვეტობისა და ინფორმაციული უსაფრთხოების სტანდარტები. ადგილობრივ დონეზე, პროკრედიტ ბანკი საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ინფორმაციული უსაფრთხოების რისკების მართვის სისტემაში აერთიანებს, ასევე, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებულ კიბერ-უსაფრთხოების ჩარჩოს მოთხოვნებს. ინფორმაციული უსაფრთხოებისა და ბიზნესის უწყვეტობის რეგულარული კონტროლი არსებული პროცესებისა და პროცედურების ნაწილია. ბანკი რეგულარულად ახორციელებს საინფორმაციო აქტივების კლასიფიკაციასა და ატარებს საინფორმაციო აქტივებთან დაკავშირებით რისკების ყოველწლიურ შეფასებას. ბანკში დანერგილი ბიზნესის უწყვეტობის სისტემა უზრუნველყოფს, რომ პერსონალის ყველა წევრს გათვითცნობიერებული აქვს ეს რისკები, იდენტიფიცირებულია განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პროცესები და განსაზღვრულია შესაბამისი რესურსები.

## ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკი

პროკრედიტ ბანკისთვის ძალიან მნიშვნელოვანია გამჭირვალე და სოციალურად პასუხისმგებლიანი საბანკო მომსახურების უზრუნველყოფა. ბანკის ქცევის კოდექსი და აკრძალული საქმიანობების სია, ერთად ქმნის სავალდებულო სტრუქტურას, რომელსაც ყველა თანამშრომელი უნდა დაემორჩილოს. ის დოკუმენტურად ასახავს პროკრედიტის უარს საქმიანი ურთიერთობები ჰქონდეს ისეთ პირებთან ან კომპანიებთან, რომელთა საქმიანობა არ შეესაბამება პროკრედიტის ჯგუფის ან ბანკის ეთიკურ ღირებულებებს.

პროკრედიტ ბანკი ექვემდებარება ჯგუფის ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი პოლიტიკის სტრუქტურას (ჯგუფის ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა) და ჯგუფის სტანდარტებსა და სახელმძღვანელო მითითებებს, რომლებიც შესაბამისობაშია გერმანიის და ევროკავშირის მარეგულირებელ მოთხოვნებთან და ასევე ბაზელის კომიტეტის მიერ „საბანკო ზედამხედველობაზე“ და „ფინანსური ღონისძიებების სამოქმედო ჯგუფის“ (FATF) ფულის გათეთრების წინააღმდეგ გამოშვებულ სახელმძღვანელო მითითებებთან. ფულის გათეთრების წინააღმდეგობის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების და საუკეთესო პრაქტიკების გამოყენების გარდა, პროკრედიტ ბანკი ქვეყნის ლოკალურ წესებსა და რეგულაციებს ექვემდებარება.

ამ სფეროში უმაღლესი სტანდარტების დაცვის უზრუნველსაყოფად, თუ ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ან მომხმარებელთა დიუ-დილიჯენსთან დაკავშირებული ნებისმიერი ადგილობრივი კანონი ჯგუფის ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკით განსაზღვრულ სტანდარტებზე უფრო მაღალია, პროკრედიტ ბანკმა უნდა იხელმძღვანელოს ამ ადგილობრივი კანონებით.

ჯგუფის ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ ძირითად ელემენტებს:

- პროკრედიტ ჰოლდინგის ჯგუფის ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის გუნდი პროკრედიტ ჯგუფის მასშტაბით მოქმედებს როგორც ცენტრალური განყოფილება ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსებისა და თაღლითობის პრევენციის კუთხით. ჯგუფის პოლიტიკის ჩარჩოს უზრუნველყოფისა და სასწავლო ღონისძიებების გატარების გარდა, გუნდი ახორციელებს რეგულარულ კონტროლს პროკრედიტ ბანკებში ჯგუფის ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკის შესრულების მონიტორინგის მიზნით.

- ბანკს ჰყავს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ოფიცერი, რომელიც დირექტორთა საბჭოს (ან სამეთვალყურეო საბჭოს, საჭიროების შემთხვევაში) და პროკრედიტ ჰოლდინგში ჯგუფის ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ოფიცრის მიმართ რეგულარულ ანგარიშგებას აწარმოებს.

- ბანკის პერსონალს ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ტრენინგი უტარდება როგორც ბანკში მუშაობის დაწყებისთანავე, ისე შემდეგაც ტრენინგების გეგმის ფარგლებში, ჯგუფის ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკის შესაბამისად.

- ჯგუფის კლიენტთა კომპლექსური შემოწმების (CDD) სტანდარტის შესაბამისად, პროკრედიტ ბანკი იყენებს “იცნობდე შენს კლიენტს” მიდგომის მკაცრ წესებს კლიენტების კომპლექსურ შემოწმების დროს.

- ბანკში არსებობს კლიენტებთან დაკავშირებული რისკების კლასიფიკაცია ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების თავიდან ასაცილებლად და გამოიყენება სათანადო კომპლექსური შემოწმებისა და მონიტორინგის პროცედურები.

- პროკრედიტ ბანკის ყველა მომხმარებელი და ტრანზაქცია სკრინინგდება შესაბამისი საერთაშორისო სანქციებისა და ემბარგოების, ასევე პოლიტიკურად აქტიური პირების ადგილობრივი და შიდა სიების მიხედვით.

- პროკრედიტ ბანკი იყენებს თანმიმდევრულ სტანდარტებს მონაცემებისა და ტრანზაქციების მონიტორინგისთვის. პროკრედიტ ბანკებში დანერგილი საინფორმაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ერთიანი მონიტორინგის სისტემა უზრუნველყოფს მონაცემების, ტრანზაქციების და ანგარიშების მონიტორინგის ერთნაირად მაღალ სტანდარტებს მთლიანი ჯგუფის მასშტაბით.

- ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსების, თაღლითობის და სხვა ფინანსური დანაშაულის რისკი ყოველწლიურად ფასდება მთლიანი პროკრედიტ ჯგუფისთვის, რაც საშუალებას იძლევა რომ გამოვლენილი რისკები აღმოიფხვრას და შემსუბუქდეს კონკრეტული ზომების გატარებით.

- ბანკი თანამშრომლობს ქვეყანაში არსებულ სისხლის სამართლის საგამოძიებო ორგანოებთან. ყველა საქმიანობა, რომელიც ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსების ან სხვა ფინანსური დანაშაულის ეჭვს იწვევს, დარეპორტდება პასუხსიმგებელ „ფინანსური დაზვერვის განყოფილებებთან (FIU)“, ისევე როგორც ჯგუფის ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის პასუხისმგებელ ოფიცერთან. ჯგუფის ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის პასუხისმგებელი თანამშრომელი თავის მხრივ თანამშრომლობს სისხლის სამართლის გამოძიებასთან და გერმანიაში და საზღვარგარეთ არსებულ სამართალდამცავ ორგანოებთან.

პროკრედიტ ბანკში შექმნილია კომპლაენსის განყოფილება, რომელიც პასუხისმგებელია ეროვნულ საბანკო რეგულაციებთან შესაბამისობაზე და რომელიც რეგულარულად აბარებს საგანგებო ანგარიშს ბანკის მენეჯმენტს და ჯგუფის კომპლაენსის ოფიცერს.

ბანკის რულ შესაბამისობაშია ყველა იმ მარეგულირებელ მოთხოვნასთან, რომელიც ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების თავიდან აცილებას ეხება. ამასთანავე, ბანკს დანერგილი აქვს ჯგუფის საერთო სახელმძღვანელო მითითებები ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების თავიდან ასაცილებლად, რაც რიგ შემთხვევებში უფრო მკაცრია ვიდრე ქვეყანაში მოქმედი საკანონმდებლო მოთხოვნები.

## ლიკვიდურობის და დაფინანსების რისკები

ლიკვიდურობისა და დაფინანსების რისკი ეხება პროკრედიტ ბანკის მოკლევადიან და გრძელვადიან უნარს, სრულად და დროულად, თუნდაც სტრესულ სიტუაციებში, შეასრულოს თავისი ფინანსური ვალდებულებები. ზოგადად, ბანკის ლიკვიდურობისა და დაფინანსების რისკი ლიმიტირებულია იმ ფაქტით, რომ ბანკის მიერ გაცემული სესხების უდიდესი ნაწილი გაცემულია ყოველთვიური გადახდის პირობით, რომელიც დაფინანსებულია ძირითადად კლიენტთა დეპოზიტებით. დეპოზიტების მოზიდვის ოპერაციები ორიენტირებულია ბიზნეს კლიენტებისა და მეანაბრეების სამიზნე ჯგუფზე, ვისთანაც სტაბილური ურთიერთობას ვამყარებთ. ფინანსურმა კრიზისმა აჩვენა, რომ ჩვენი კლიენტების დეპოზიტები დაფინანსების სტაბილური და საიმედო წყაროა. 2023 წლის დეკემბრის ბოლოს, დაფინანსების ყველაზე დიდი წყარო კლიენტთა დეპოზიტებია.

ჩვენ მოკლევადიანი ლიკვიდურობის რისკს, სხვა ინსტრუმენტებთან ერთად, ვაფასებთ ლიკვიდურობის გეპის (ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების სხვაობა სახელშეკრულებო ვადიანობის მიხედვით) ანალიზით და ამ რისკის მონიტორინგს ვახორციელებთ 30-დღიანი ლიკვიდურობის მაჩვენებლის (საკმარისი ლიკვიდურობის მაჩვენებელი - SLI) და 90-დღიანი ლიკვიდურობის მაჩვენებლის (Survival Period) საფუძველზე, ასევე, ლიკვიდობის მინიმალური კოეფიციენტების შესაბამისად, რომელსაც განსაზღვრავს საქართველოს ეროვნული ბანკი (ეროვნული ბანკის ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი - LCR) და CRR (CRR ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი - CRR LCR). საკმარისი ლიკვიდურობის მაჩვენებლით ფასდება, თუ რამდენად საკმარისი ლიკვიდურობა აქვს ბანკს მოსალოდნელ შემოსულ და გასულ ფულად სახსრებზე მომდევნო 30 დღის განმავლობაში. გაანგარიშება ითვალისწინებს ბანკებში დეპოზიტების მოძრაობის ისტორიული ანალიზის შედეგად დეპოზიტების გადინებას. ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტები გვიჩვენებს, თუ რამდენად საკმარისი ლიკვიდურობა აქვს ბანკს იმისათვის, რომ დაფაროს მომდევნო 30 დღის განმავლობაში მოსალოდნელი დეპოზიტების გადინება, მძიმე ეკონომიკური შოკის სცენარის შემთხვევაშიც კი.

გარდაამისა, ბანკს განსაზღვრული აქვს რისკის ადრეული იდენტიფიცირების მაჩვენებლები, რომელთა მონიტორინგი რეგულარულად ხორციელდება. ამ თვალსაზრისით მთავარი ინდიკატორებია: ჯამური ან ადგილობრივი და მყარი ვალუტის მიხედვით დაანგარიშებული საკმარისი ლიკვიდურობის მაჩვენებელი, ბანკთაშორისი ბაზრის მაჩვენებელი, სადღეღამისო (Overnight) დაკრედიტების მაჩვენებელი და „გადარჩენის პერიოდი“, გავრცელებული საბაზრო სტრეს-სცენარის მიხედვით.

სტრეს-ტესტები ტარდება ყოველთვიურად და, საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხშირად, რათა პროკრედიტ ბანკმა უზრუნველყოს საკმარისი ლიკვიდური სახსრების არსებობა მისი ვალდებულებების შესასრულებლად, რთულ პერიოდებშიც კი. დამატებით, ბანკს აქვს სამოქმედო გეგმა ლიკვიდურობასთან დაკავშირებით გაუთვალისწინებელი გარემოებების შემთხვევაში. თუ მოულოდნელი გარემოებები წარმოიქმნება და ბანკს არ აქვს საკმარისი ლიკვიდური სახსრები, პროკრედიტ ჯგუფს, ასევე, შემუშავებული აქვს სამოქმედო გეგმა ლიკვიდურობასთან დაკავშირებით გაუთვალისწინებელი გარემოებებისთვის, რომლის მიხედვითაც პროკრედიტ ჰოლდინგი წარმოადგენს ბანკის “დაფინანსების ბოლო წყაროს”.

ბანკის ლიკვიდურობის ყოველდღიურ მართვას ახორციელებს ხაზინის განყოფილება ფულადი ნაკადების პროგნოზების საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი (ALCO) და ყოველდღიურ მონიტორინგს უწევს რისკების მართვის განყოფილება.

პროკრედიტ ბანკი დაფინანსების რისკს მართავს, აფასებს და ზღუდავს ბიზნესის დაგეგმვის, ვადიანობების გეპების ანალიზისა და შესაბამისი მაჩვენებლების მეშვეობით. ასევე, ბიზნესის დაგეგმვის პროცესში გამოვლენილი ბანკის დაფინანსების საჭიროებებს მონიტორინგი უტარდება და რეგულარულად გადაიხედება ჯგუფის დონეზე. პროკრედიტ ჯგუფის ALCO და ბანკის ALCO მონიტორინგს უწევენ დაფინანსების გარე მომწოდებლებთან, განსაკუთრებით საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან, წარმოებული ყველა ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ტრანზაქციის მიმდინარეობას. პროკრედიტ ჰოლდინგი და პროკრედიტ ბანკი გერმანია, ასევე, გვთავაზობენ დროებით (შუალედურ) დაფინანსებას იმ შემთხვევაში, თუ დაფინანსების მიღების ვადა გადაიწევს. დაფინანსების რისკის შეფასების მნიშვნელოვანი მაჩვენებელი დეპოზიტების კონცენტრაციაა. აღნიშნული მაჩვენებელი განისაზღვრება, როგორც ბანკის საერთო სადეპოზიტო პორტფელში ხუთი უმსხვილესი არასაფინანსო დეპოზიტარის წილი ან ყველა არასაფინანსო დეპოზიტარის წილი, რომელთაც საერთო არასაფინანსო სადეპოზიტო პორტფელში 1%-ზე მეტი წილი აქვთ. მაჩვენებლის ტრიგერი დგინდება დეპოზიტების გადინების სავარაუდო დონეზე.

## კაპიტალის მართვა

პროკრედიტ ჯგუფისა და პროკრედიტ ბანკის კაპიტალის მართვის ძირითადი პრინციპი არის მუდმივად კაპიტალის ადეკვატური დონის შენარჩუნება. ბანკი არასოდეს არ იღებს უფრო მეტ რისკს, ვიდრე კაპიტალს შეუძლია დაფაროს. ამ პრინციპის მონიტორინგი ხორციელდება სხვადასხვა მაჩვენებლების გამოყენებით, რისთვისაც განისაზღვრა ადრეული იდენტიფიცირების მაჩვენებლები და ლიმიტები. საქართველოს ეროვნული ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებთან ერთად, პროკრედიტ ბანკი ხელმძღვანელობს დამატებითი მაჩვენებლებით, რომლებიც მოიცავს კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტებს კაპიტალის ადეკვატურობის შესახებ დებულების (CRR) მოთხოვნების შესაბამისად, ძირითადი პირველადი კაპიტალის (Tier 1) ლევერეჯის კოეფიციენტს კაპიტალის ადეკვატურობის შესახებ დებულების (CRR) შესაბამისად და კაპიტალის ადეკვატურობის შიდა შეფასებას.

კაპიტალის მართვის ძირითადი მიზნებია:

- საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნებთან შესაბამისობა;
- შიდა კაპიტალის ადეკვატურობის უზრუნველყოფა;
- ბანკში განსაზღვრულ კაპიტალის მოთხოვნებთან შესაბამისობა და საკმარისი კაპიტალის ბუფერების შექმნა ბანკის საქმიანობის უზრუნველსაყოფად, ბანკის გაჯანსაღების გეგმით დადგენილი საჭირო ბუფერების გათვალისწინებით;
- ბანკის მხარდაჭერა უწყვეტი განვითარების გეგმების განხორციელებაში.

პროკრედიტ ჯგუფისთვის კაპიტალის მოთხოვნებს აწესებს და აკონტროლებს გერმანიის ფინანსური ზედამხედველობის ფედერალური დაწესებულება (BaFin) და სამეთვალყურეო კოლეჯი, გერმანიის საბანკო აქტის 8ა მუხლის შესაბამისად, თუმცა, პროკრედიტ ბანკი, პირველ რიგში, ექვემდებარება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ მოთხოვნებს.

## პილარ 1 და კომბინირებული ბუფერი

2017 წლის დეკემბრიდან, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გადახედა პილარ 1-ის და პილარ 2-ის მინიმალური კაპიტალის მოთხოვნებს და კაპიტალის დამატებითი ბუფერები განსაზღვრა. ძირითადი პირველადი კაპიტალის (Equity Tier 1), პირველადი კაპიტალის (Tier 1) და სულ საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები შემცირდა და მინიმალური ზღვარი დაწესდა: 4.5%, 6% და 8%, შესაბამისად (ადრე 7%, 8.5%, და 10.5%), დამატებითი კაპიტალის ბუფერების გარდა. სს პროკრედიტ ბანკი საქართველო ვალდებულია ფლობდეს საკუთარ ფულად სახსრებს, რაც ნებისმიერ დროს ზემოაღნიშნული კაპიტალის მოთხოვნებზე მეტი ან კაპიტალის მოთხოვნების თანაბარი უნდა იყოს.

დამატებით, ძირითადი პირველადი კაპიტალის მეშვეობით ბანკებს მოეთხოვებათ კაპიტალის ე.წ. კომბინირებული ბუფერების დაცვა, რომელიც მოიცავს კონსერვაციის, კონტრციკლურობისა და სისტემურობის ბუფერებს. ამ მიზნით, კონსერვაციის ბუფერის განაკვეთად განისაზღვრა რისკის მიხედვით შეწონილი მთლიანი რისკის პოზიციების 2.5%. კონტრციკლური ბუფერი შეიძლება დაწესდეს რისკის მიხედვით შეწონილი პოზიციების 0%-დან 2.5%-ის შუალედის ფარგლებში. აღნიშნული გადაიხედება პერიოდულად, ფინანსური და მაკროეკონომიკური გარემოს საფუძველზე. ამჟამად ის ნულის ტოლია, თუმცა საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების მიხედვით ბუფერი 1%-მდე გაიზრდება შემდეგი გრაფიკით: კომერციული ბანკები ვალდებულნი არიან კონტრციკლური ბუფერული განაკვეთი 0.25% იყოს 2024 წლის 15 მარტისთვის, 0.5% - 2025 წლის 15 მარტისთვის, 0.75% - 2026 წლის 15 მარტისთვის და 1% - 2027 წლის 15 მარტისთვის. სისტემურად მნიშვნელოვანი კომერციული ბანკებისთვის მოხდა სისტემურობის ბუფერის შემოღებაც. საქართველოს ეროვნული ბანკის შეფასებით, პროკრედიტ ბანკი არ არის სისტემურად მნიშვნელოვანი ბანკი, შესაბამისად ბანკს არ მოეთხოვება სისტემურობის ბუფერის დაცვა.

## პილარ 2

ბაზელ III-ის ჩარჩოს თანახმად, კომერციულმა ბანკებმა პილარ 2-ის ფარგლებში უნდა შეინარჩუნონ კაპიტალის ადეკვატური ბუფერები იმ რისკებისთვის, რასაც სათანადოდ არ მოიცავს პილარ 1. აღნიშნული ჩარჩოს ფორმალიზებისა და დანერგვის მიზნით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავა და დაამტკიცა “პილარ 2-ის ფარგლებში კომერციული ბანკების კაპიტალის დამატებითი ბუფერების განსაზღვრის წესი”.

ამ წესის შესაბამისად, პილარ 2-ის კაპიტალის მოთხოვნები მოიცავს კაპიტალის არაჰეჯირებული სავალუტო საკრედიტო რისკის ბუფერის მოთხოვნას, რომელიც ადრე პილარ 1-ის ჩარჩოში შედიოდა.

ზემოაღნიშნული ბუფერის გარდა, პილარ 2-ის ჩარჩო განსაზღვრავს საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის რისკისათვის (როგორც სახელობითი კონცენტრაციის, ასევე სექტორული კონცენტრაციის რისკებისათვის), საზედამხედველო სტრეს-ტესტებზე დაყრდნობით განსაზღვრულ წმინდა სტრეს-ტესტების ბუფერს და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რისკების შეფასების საერთო პროგრამის ფარგლებში დაწესებულ წმინდა GRAPE (General Risk Assessment Process) ბუფერს. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ფასს ანგარიშგების სტანდარტებზე გადასვლის შემდეგ დანერგა საკრედიტო რისკის კორექტირების (CRA) ბუფერი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პილარ 2-ით გათვალისწინებული კაპიტალის ყველა ბუფერი, საკრედიტო რისკის კორექტირების (CRA) ბუფერის გარდა, პროპორციულად უნდა იყოს გათვალისწინებული კაპიტალის მოთხოვნებში. CRA ბუფერი სრულად უნდა დაიფაროს CET1 კაპიტალით. აღნიშნული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, კომერციულ ბანკებს მიეცათ შესაბამისი ვადები.

# გარემოსდაცვითი მართვა

გარემოს დაცვა ჩვენი იდენტობის განუყოფელი ნაწილია. გარემოსდაცვითი საკითხების მართვისთვის შემუშავებული გვაქვს სისტემური მიდგომა, რომლის მიზნებია: ჩვენს მიერ მოხმარებული რესურსების ეფექტურობის გაუმჯობესება, ჩვენი კლიენტების საქმიანობის გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირება და „მწვანე“ ინვესტიციების დაფინანსება. 2023 წლის ბოლოს მდგომარეობით, პროკრედიტ ბანკი საქართველოს საკრედიტო პორტფელის 13.6% ეკო სესხებისგან შედგებოდა.

გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება უკვე მრავალი წელია ჩვენი ფინანსური ინსტიტუტის პრიორიტეტია. ჩვენ არ ვუჭერთ მხარს საქმიანობას, რომელიც გარემოს და საზოგადოებას ვნებს და ვინარჩუნებთ და ვანვითარებთ სისტემებს, რომლებიც გარემოზე ჩვენი და ჩვენი კლიენტების უარყოფითი ზეგავლენის მუდმივ შემცირებას უზრუნველყოფს. დროთა განმავლობაში, ჩვენ უფრო მეტად ფორმალური სახე მივეცით ჩვენს მიდგომას, გარემოსდაცვითი მაჩვენებლების მართვისა და გაუმჯობესების მიმართ. დღეს ჩვენ გვაქვს ჩამოყალიბებული და ყოვლისმომცველი გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემა (Environmental Management System - EMS), რომელიც რამოდენიმე წელია სერტიფიცირებულია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესახებ ISO 14001:2015 სტანდარტით.

პროკრედიტ ჯგუფის, რომელიც ძირითადად ბანკებისგან შედგება, საქმიანობა საბანკო მომსახურებაა, შესაბამისად, ჩვენი კლიენტების საქმიანობით გამოწვეული არაპირდაპირი ზემოქმედება გარემოზე, რა თქმა უნდა, უფრო დიდი გავლენის მქონეა, ვიდრე ჩვენი საკუთარი რესურსების გამოყენებით და მართვით გამოწვეული პირდაპირი ზეგავლენა. თუმცა, ამავდროულად, ჩვენ ვხედავთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი შიდა რესურსების მოხმარების ეფექტურობის მუდმივი გაუმჯობესება, რადგან გვესმის, რომ ეს ხელს უწყობს მწვანე ტექნოლოგიების გავრცელებას იმ ქვეყნებში, სადაც ჩვენ ვმუშაობთ. შესაბამისად, ჩვენ შევიმუშავეთ გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემა, რომელიც შედგება სამი სვეტისგან, რომლის საფუძველზეც ყველა ჩვენი გარემოსდაცვითი ასპექტისა და ზემოქმედების მართვა ხორციელდება.

## პილარ I - შიდა გარემოსდაცვითი მენეჯმენტი

ჩვენი შიდა გარემოსდაცვითი მენეჯმენტი მოიცავს პროცესებს და პროცედურებს, რომლებიც გვეხმარება გარემოზე ჩვენი პირდაპირი ზემოქმედების მუდმივ შემცირებაში. ჩვენი ფილიალების ინფრასტრუქტურაში მწვანე ინვესტიციების განხორციელებით, ჩვენ ხელს ვუწყობთ მწვანე ტექნოლოგიების გავრცელებას ქვეყანაში. ჩვენს თანამშრომლებში გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლებაც, ასევე იწვევს რესურსების მოხმარების ეფექტურობის გაუმჯობესებას.

## ავტოპარკი

ფინანსური ინსტიტუტებისთვის ნახშირბადის ემისიების ძირითადი წყარო, როგორც წესი, ტრანსპორტის გამონაბოლქვია. პროკრედიტ ბანკი საქართველო რამდენიმე წელია ცდილობს ჩვენი ავტოპარკის გარემოზე ზემოქმედების შემცირებას სულ უფრო მეტი ელექტრომობილის შეძენით. 2021 წლის ბოლოსთვის, ჩვენი ავტოპარკის 100% ელექტრომობილებისგან შედგებოდა. ბოლო ორი წლის განმავლობაში, ჩვენ დაბალი დიაპაზონის ელექტრომობილები უფრო მაღალი დიაპაზონის ელექტრომობილებით შევცვალეთ. ამასთან, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოვაწყვეთ ელექტრომობილების 273 დამტენი პუნქტი და 2024 წელს ვგეგმავთ ამ ციფრის 33-მდე გაზრდას. ამრიგად, ჩვენ, როგორც ინსტიტუტი, ხელს ვუწყობთ ელექტრომობილების ინფრასტრუქტურის განვითარებას, რომელიც განიხილება, როგორც ერთ-ერთი მთავარი დაბრკოლება ეკოლოგიურად სუფთა ტრანსპორტზე გადასვლის გზაზე. ელექტრომობილების ინფრასტრუქტურის განვითარება ასევე ხელს შეუწყობს ნახშირბადის ნეიტრალობის მიღწევას მომდევნო ათწლეულებში.

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

## სათავო ოფისის შენობის სერტიფიცირება

2020 წლის დეკემბრიდან, პროკრედიტ ბანკი საქართველოს სათავო ოფისი თბილისში, შეყვანილია მსოფლიოს მწვანე შენობების სიაში. ეს არის პირველი შენობა საქართველოში, რომლის რესურსეფექტურობა დადასტურებულია EDGE საერთაშორისო სერტიფიკატით. ენერგეტიკის საერთაშორისო ექსპერტებმა შეამოწმეს ბანკის სათავო ოფისი, რომელიც პროკრედიტ ჯგუფის გარემოს დაცვაზე ორიენტირებული ფილოსოფიის შესაბამისად, თანამედროვე არქიტექტურულ დიზაინს, ენერგიის, წყლის და მასალების ეფექტურ გამოყენებასთან აერთიანებს.

პროკრედიტ ბანკი საქართველო, იმედოვნებს, რომ გახდება მისაბაძი მაგალითი სხვა კომპანიებისთვის ბაზარზე და ხელს შეუწყობს მათი მხრიდან მსგავსი გარემოსდაცვითი ინიციატივების მიღებას, მათი საქმიანობით გამოწვეული გარემოზე ზეგავლენის შემცირების მიზნით.

## მზის ელექტროსადგურის პროექტი

პროკრედიტ ბანკი საკუთარ მზის ელექტროსადგურს ამუშავებს - სისტემა გამოიყენება არა მხოლოდ შიდა მოხმარების ელექტროენერგიის წარმოებისთვის, არამედ მისი ავტოპარკის დასამუხტადაც.

2020 წლის ივნისში, თბილისის ცენტრში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირზე N21-ში, სათავო ოფისის სახურავზე, 500 კვ.მ. ფართობზე დამონტაჟდა მზის პანელები. 2023 წელს, სადგურმა 116 000 კვტ/სთ-ზე მეტი ელექტროენერგია გამოიმუშავა, 9.6 ტონა $CO_2$ გამოყოფა აიცილა თავიდან და ელექტროენერგიის მოხმარების 10.6% ჩაანაცვლა სათავო ოფისში. მზის ელექტროსადგურის პროექტიდან, აშკარად ჩანს ბანკის წვლილი გარემოს დაცვაში. მონაცემები მზის ენერგიის წარმოებაზე, ემისიების შემცირებასა და სხვა დაზოგილი რესურსების შესახებ რეალურ დროში გროვდება და წარმოდგენილია შენობის ფასადზე დამონტაჟებულ სპეციალური დანიშნულების მქონე ეკრანზე, რითაც ინფორმაცია ყველასთვის ხელმისაწვდომი ხდება. ჩვენ უახლოეს წლებშიც განვიხილავთ, ჩვენს მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის, განახლებადი ენერგიის წყაროებიდან გამომუშავებული მწვანე ელექტროენერგიით, ჩანაცვლებას.

## წყლის რესურსების მართვა

წყლის მოხმარების მართვა ჩვენი გარემოსდაცვითი მართვის სისტემის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. წლების განმავლობაში, ჩვენ ვნერგავდით შესაბამის ზომებს სათავო ოფისსა და სხვა შენობებში წყლის მინიმალური რაოდენობის გამოყენების უზრუნველსაყოფად. 2018 წლის ივნისიდან, ჩვენ ვაგროვებთ წვიმის წყალს სათავო ოფისის შენობის სახურავიდან. 2021 წელს, წყლის ნაკადის საზომი სენსორები დავაყენეთ წყლის მთავარ მილებზე, რათა შევძლოთ წყლის მოხმარებაზე ყურადღებით დაკვირვება და შესაძლო გაჟონვის მყისიერად აღმოჩენა. წვიმის წყლის შემკრები სისტემის საშუალებით შეგროვებულმა წყალმა მნიშვნელოვნად შეამცირა კომუნალური წყლის მოხმარება 2023 წელს.

## ნარჩენების მართვა

ნარჩენების მართვა ჩვენი გარემოსდაცვითი მენეჯმენტის მნიშვნელოვანი ნაწილია, რამეთუ ის გარემოზე დადებით ზეგავლენას ახდენს, განსაკუთრებით საქართველოში, სადაც ნარჩენების სათანადო მართვა არ წარმოადგენს გავრცელებულ პრაქტიკას. ჩვენ ვხელმძღვანელობთ პრინციპით "ნარჩენების წარმომქმნელი იხდის ნარჩენების განთავსების/განადგურების ხარჯებს". 2023 წელს, პროკრედიტ ბანკმა ნარჩენების მართვის კომპანიას 2472 კგ ქაღალდი და მუყაო, 31 კგ ელექტრონული ნარჩენი და 290 კგ მინის ნარჩენი გადასცა გადასამუშავებლად.

## სტაბილური მომწოდებლები

პროკრედიტ ბანკი აცნობიერებს, რომ ეთიკური, სოციალური და გარემოსდაცვითი ზემოქმედება მნიშვნელოვან კავშირშია მიწოდების ჯაჭვთან. უფრო მეტიც, პოზიტიური ზემოქმედების მიღწევა შესაძლებელია უფრო ხარისხიანი პროდუქტების ან სერვისების შეძენით და მომწოდებლებთან თანამშრომლობით, რათა დადებითი გავლენა მოახდინოს ურთიერთ ეთიკურ, სოციალურ და გარემოსდაცვით ქმედებებზე. აქედან გამომდინარე, ჯგუფის მიზანია ხელი შეუწყოს სტაბილური შესყიდვების პროცედურებსა და შესაბამისი პროდუქტების შეძენას. შესყიდვების პროცესში ჩვენ ვაფასებთ კომპანიის გარემოსდაცვით და სოციალურ პასუხისმგებლობას და არჩევანს იმ კომპანიებზე ვაკეთებთ, რომლებსაც მომავალზე ორიენტირებული ხედვა აქვთ აღნიშნულ საკითხებზე. უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მიმწოდებელი ვალდებულია დაიცვას პროკრედიტ ჯგუფის ძირითადი ღირებულებები. აქედან გამომდინარე, ქცევის კოდექსი ადგენს ნებისმიერ პოტენციურ მომწოდებელთან ნებისმიერი საქმიანი ურთიერთობის დამყარების საფუძველს. ჩვენი მდგრადობის ერთ-ერთი მიზანია გავაუმჯობესოთ არსებული შეფასების სისტემა, გავხადოთ ის უფრო ყოვლისმომცველი და გავზარდოთ მდგრადი მომწოდებლების რაოდენობა. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სერვისებისა და პროდუქტების მომწოდებლების 67% მდგრადია.

## მწვანე ტრენინგები

როგორც განვითარებაზე ორიენტირებული ბანკი, ჩვენ მუდმივად ვცდილობთ ხელი შევუწყოთ გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხებზე ცოდნის გაღრმავებას და ჩვენი თანამშრომლების ცნობიერების ამაღლებას. 2023 წელს, თანამშრომლებისთვის ჩავატარეთ ათი ტრენინგი, სადაც გავაცანით ჩვენი მიზნები და მიღწევები მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით, ვესაუბრეთ მიმდინარე გამოწვევებზე და ხაზი გავუსვით თითოეული ინდივიდის როლს გარემოსდაცვის საკითხებში. ტრენინგებზე განვიხილეთ კლიმატის ცვლილებით გამოწვეული შედეგები და გამოწვევები, ასევე, გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის კონცეფცია.

## პილარ II - ეკოლოგიური და სოციალური რისკების მართვა კლიენტების დაკრედიტების დროს

ჩვენ ვმუშაობთ ქვეყანაში, რომელშიც ბიზნესები ხშირად ეკოლოგიური და სოციალური სტანდარტების აღსრულების განვითარებად დონეზე არიან. მიუხედავად ამისა, პროკრედიტ ბანკი საქართველო ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ამ გარემოში ოპერირებს და შემუშავებული და დანერგილი აქვს დაკრედიტების ჯანსაღი პროცესები. ეს პროცესები მორგებულია მცირე და საშუალო ბიზნეს კლიენტების რისკის პროფილზე და ხელს უწყობს მაღალი გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების წარმატებით მიღწევას.

საკრედიტო პროდუქტის გაცემით, ბანკი ცდილობს ხელი შეუწყოს კლიენტებისა და მათი ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას და შედეგად, ზოგად ეკონომიკურ განვითარებას. იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბანკის მიერ გაცემული სესხები ჩვენი ეთიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური სტანდარტების შესაბამისად გამოიყენებოდეს, შესაბამისობის რამდენიმე კრიტერიუმი განისაზღვრა. შესაბამისობის ეს კრიტერიუმები აწესებს მოთხოვნებს სესხის პოტენციური მიმღების ბიზნეს საქმიანობასთან დაკავშირებით, რაც ამცირებს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების შესაძლო რისკებს და, ასევე, ითვალისწინებს პოტენციური მსესხებლის ეკოლოგიურ და სოციალურ ზემოქმედებას.

ჩვენი ინკლუზიური მიდგომისა და კლიენტების სხვადასხვა ტიპის ბიზნეს მოდელის მიმართ ღია მიდგომის მიუხედავად, არსებობს გარკვეული, ზიანის მომტანი პრაქტიკები და საქმიანობები, რომელთა მხარდაჭერაზეც პროკრედიტ ბანკი უარს აცხადებს. ჩვენ მხარს არ ვუჭერთ საქმიანობას, რომელიც არ შეესაბამება ჩვენს ეთიკურ ღირებულებებს, მაგალითად, იარაღის ან ნარკოტიკების წარმოება ან ვაჭრობა, წიაღისეულის მოპოვება დახურული კარიერული წესით და სხვა მსგავსი საქმიანობა, თუნდაც ის არ ეწინააღმდეგებოდეს კანონს. ბუნებრივია, ასევე მიუღებელია საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია იძულებით შრომასთან, ბავშვთა შრომასთან, იძულებით გადასახლებასთან, პროსტიტუციასთან და ა. შ. ეს საქმიანობები აღწერილია ბანკის აკრძალული საქმიანობების სიაში, რომელიც ჩვენი ქცევის კოდექსის ნაწილია და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) აკრძალვების სიას შეესაბამება. ასეთ საქმიანობაში ჩართულ ფიზიკურ პირებთან თუ კომპანიებთან ჩვენ საქმიან ურთიერთობას არ ვამყარებთ.

როგორც განვითარებაზე ორიენტირებული ბანკების კომერციული ჯგუფი, პროკრედიტს, მათ შორის პროკრედიტ ბანკი საქართველოს, სურს ხელი შეუწყოს პლასტმასის ნაკლებად გამოყენების ეკონომიკაზე გადასვლას, როგორც პლასტმასის პირდაპირი გამოყენების შემცირებით (ანუ მდგრად ალტერნატივებზე გადასვლით და გადამუშავების გაზრდით), ასევე პლასტმასის არაპირდაპირი წარმოების შემცირებით, რაც შესაძლებელია გარკვეული პლასტმასის მწარმოებელი კლიენტების ან საქმიანობის დაკრედიტებისგან თავის შეკავებით. ამ მიზნით, კომპანიამ შეიმუშავა გაიდლაინი - პლასტმასთან დაკავშირებული საქმიანობით დაკავებული კლიენტების დაფინანსება. აღნიშნული გაიდლაინის თანახმად, შავ სიაში მოხვედრილი კლიენტები და საქმიანობა აღარ დაფინანსდება, თუ ისინი სხვა ბიზნეს მოდელის დამაჯერებელ ბიზნეს გეგმას არ წარმოადგენენ. ნაცრისფერ სიაში მოხვედრილი კლიენტები და საქმიანობა ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს მათი გარემოსდაცვითი მდგრადობის თვალსაზრისით. თეთრ სიაში მოხვედრილი კლიენტები და საქმიანობა, ჩვეულებრივ, დაფინანსებადია.

გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მაქსიმალურად შემცირების ჩვენი ძალისხმევა მარტივ ქულების სისტემებს არ ეფუძნება. იმის ნაცვლად, რომ უბრალოდ უარი ვთქვათ ისეთ კომპანიებთან თანამშრომლობაზე, რომლებიც გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილებას ვერ ახერხებენ, ჩვენ მათთან დიალოგში ვერთვებით, რათა განვიხილოთ, შეუძლია თუ არა ჩვენს მიერ გაწეულ მომსახურებას მათი დახმარება ეკონომიკურად ეფექტური გზით გარემოსდაცვითი და სოციალური კუთხით საქმიანობის გაუმჯობესებაში.

სესხების გაცემის დროს ეკოლოგიური და სოციალური რისკების მართვის მიზნით, ჩვენ შევიმუშავეთ ოთხსაფეხურიანი პროცესი, რომლის ფარგლებშიც ჩვენ:

1. ვამოწმებთ კლიენტის ბიზნეს საქმიანობას აკრძალული საქმიანობების სიაში;
2. ეკოლოგიური, ჯანმრთელობის და უსაფრთხოების რისკების წინასწარ განსაზღვრული კატეგორიზაციის მიხედვით განვსაზღვრავთ კლიენტის საქმიანობის რისკის კატეგორიას.
3. კლიენტის ბიზნეს საქმიანობას ვამოწმებთ ჩვენი საყურადღებო სიის კრიტერიუმების შესაბამისად.
4. ადგილზე ვახორციელებთ ეკოლოგიური და სოციალური რისკების უშუალო შეფასებას.

ამ ანალიტიკური პროცესის განხორციელებაში ჩვენი თანამშრომლების დასახმარებლად შევიმუშავეთ ეკოლოგიური და სოციალური რისკების კატეგორიზაციის სისტემა იმ საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე, რომლებიც კონკრეტულ ეკონომიკურ სექტორებს გარემოსა და საზოგადოებაზე პოტენციური უარყოფითი ზემოქმედების მიხედვით მაღალი, საშუალო ან დაბალი რისკის კატეგორიებს მიაკუთვნებს. საშუალო ან მაღალი რისკის კატეგორიას მიკუთვნებული კომპანიები ინდივიდუალურ შეფასებას ექვემდებარებიან გარემოს დაცვის, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების წესების დაცვის საკითხებთან დაკავშირებით. გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების, ასევე ბიზნეს საქმიანობის ზემოქმედების გათვალისწინებით, შეფასების პროცესში გარე გარემოსდაცვითი კონსულტანტის მონაწილეობა აუცილებელია. კომპანიაში სოციალური პირობების შეფასება ყველა ბიზნეს კლიენტის შემთხვევაში ხდება, რითაც დგინდება სამუშაო პირობების შესაბამისობა და შრომისა და ადამიანის უფლებების დაცვის ხარისხი.

გარემოზე ზემოქმედების რისკების შეფასებისას, ბანკის თანამშრომლებს ეხმარება ჩვენს მიერ შემუშავებული სექტორზე მორგებული შეფასების ფორმა და სახელმძღვანელო მითითებები, სადაც თითოეული სექტორისთვის დამახასიათებელი ეკოლოგიური რისკებია აღწერილი. ეს ჩვენს თანამშრომლებს შესაძლებლობას აძლევს, უკეთესად გაერკვნენ პროცესებში და ნებისმიერი შესაძლო პრობლემა აღმოაჩინონ, რა დროსაც მათ შეუძლიათ კლიენტებთან ერთად განიხილონ იმ ზომების მიღების შესაძლებლობა, რომლებიც ბიზნესის გარემოსდაცვით და სოციალურ მაჩვენებლებს გააუმჯობესებს.

ამ შეფასების მიზანია, დავრწმუნდეთ რომ კომპანიის მფლობელები ინფორმირებულნი არიან გარემოსთან, ჯანმრთელობასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ყველა რისკის შესახებ და, რომ ამ რისკების მართვის მიზნით სათანადო პროცესები მიმდინარეობს. ჩვენ აქტიურად ვესაუბრებით ჩვენს კლიენტებს ახალი ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობაზე ან არსებულ პრაქტიკაში შესაძლო ცვლილებებზე, რასაც შეიძლება მათ მიერ რესურსების მეტად ეფექტური და მდგრადი გამოყენება მოჰყვეს. განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ კანონთან შესაბამისობას, მიწის, ნარჩენების, წყლის, ნიადაგის დაცვის სტანდარტებს, გამონაბოლქვთან და საშიშ ნივთიერებებთან მოპყრობის წესებს, ობიექტის უსაფრთხოებასა და სოციალურ სამართლიანობას. ამ მიზნით, ჩვენ პირდაპირ ვურთიერთობთ ყველა ჩვენს კლიენტთან და ჩვენი ურთიერთობის გამყარების მიზნით ვახორციელებთ ადგილზე ვიზიტებს.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის მიერ დაფინანსებული საქმიანობის 82%-ს აქვს დაბალი ეკოლოგიური რისკი, საქმიანობის 16% საშუალო ეკოლოგიური რისკის წინაშეა, ხოლო სესხების 2% მაღალი ეკოლოგიური რისკის მქონე ფინანსურ საქმიანობაზე მოდის. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ სექტორების კლიენტები აუცილებლად უფრო დიდ საკრედიტო რისკს წარმოადგენენ, არამედ უფრო სპეციალიზებული შეფასების სისტემაა საჭირო მათი ბიზნეს საქმიანობის სირთულის გასაანალიზებლად.

მაღალი ეკოლოგიური რისკის კატეგორიაში დაფინანსებული საქმიანობის წილი მთლიან პორტფელში 4%-ია 2023 წელს და ძირითადად ქვის და ქვიშის მოპოვებას, სასოფლო-სამეურნეო სასუქებისა და პესტიციდების იმპორტსა და რეალიზაციასთან დაკავშირებულ საქმიანობებს, ფარმაცევტული პროდუქტების წარმოებას - ბაქტერიოფაგებისა და პლასტმასის წარმოებას მოიცავს.

ზოგადად, ჩვენ მაღალი ეკოლოგიური და გარემოსდაცვითი რისკების მქონე კლიენტებს უარს არ ვეუბნებით დაფინანსებაზე; ამის ნაცვლად, ჩვენ სიღრმისეულად ვაანალიზებთ მათ საქმიანობას გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების ჭრილში, რათა დავრწმუნდეთ, რომ ხდება ამ რისკების მართვა და, რომ ეს რისკები გარემოსა და საზოგადოებაზე რეალურ საზიანო ზეგავლენაში არ გადაიზრდება.

## პილარ III - „მწვანე“ დაფინანსება

„მწვანე“ დაფინანსების ფარგლებში, ჩვენ პირდაპირ ხელს ვუწყობთ ეკო ინვესტიციების განხორციელებას ქვეყანაში და მხარს ვუჭერთ კლიენტებს, რომელთაც სურთ თავისი ბიზნეს პროცესების გაუმჯობესება ეკოლოგიურად მიზანშეწონილი წესით, რაც გულისხმობს ენერგოეფექტურობაში, განახლებად ენერგიებში ან გარემოს დაცვაში ინვესტირებას.

საქართველოში არსებული გარემოსდაცვითი პრობლემებისა და ენერგეტიკის მაღალი ინტენსივობის გათვალისწინებით, ჩვენ გვსურს დავაჩქაროთ ენერგოეფექტური და განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიების მიღება, ასევე განვახორციელოთ ბიზნესების სტიმულირება და მხარი დავუჭიროთ ეკოლოგიურად სუფთა ინვესტიციებს. ჩვენი კლიენტების წახალისებით, რომ თავიანთ ბიზნეს საქმიანობაში დანერგონ „მწვანე მიდგომა“, ჩვენ მინიმუმამდე ვამცირებთ ჩვენს არაპირდაპირ გავლენას გარემოზე და ხელს ვუწყობთ კლიმატის ცვლილებებთან ადაპტაციას და მისი გავლენის შემსუბუქებას.

ამ მიზნით, ჩვენ შევადგინეთ ჯგუფის სახელმძღვანელო მითითებები - „მწვანე დაფინანსება“, რომელიც მთელ პროკრედიტ ჯგუფში, მათ შორის პროკრედიტ ბანკ, საქართველოში განსაზღვრავს ბიზნესისთვის და კერძო კლიენტებისთვის მწვანე დაფინანსების უზრუნველსაყოფის პროცესებსა და შერჩევის კრიტერიუმებს. კერძოდ, სახელმძღვანელო მითითებები ხელს უწყობენ ინვესტიციებს შემდეგ სფეროებში:

- ენერგოეფექტური მოწყობილობა და პროცესები (EE);
- განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიები (RE);
- ეკოლოგიურად სუფთა პროექტები, რომლებიც გარემოზე პირდაპირ დადებით გავლენას ახდენენ.

2023 წელს, მზის ენერგიაში ინვესტიციების პორტფელი მნიშვნელოვნად გავზარდეთ. ჩვენი სათავო ოფისის სახურავზე საკუთარი მზის სადგურის დამონტაჟებით, პროკრედიტ ბანკი საქართველო ყოველთვის ნოვატორი იყო ბაზარზე და კლიენტების გაზრდილი ინტერესის გათვალისწინებით, ჩვენი ინსტიტუტი ამ სფეროში ერთ-ერთი ლიდერად ჩამოვაყალიბეთ.

მწვანე პორტფელის განვითარების ერთ-ერთი მთავარი პერსპექტივა ელექტრომობილების დაფინანსების ბაზარზე განვითარებაა. ელექტრომობილების ბაზარი საქართველოში საკმაოდ მზარდი ტემპით იზრდება, რაც ახალ ბიზნეს შესაძლებლობებს ქმნის ამ სფეროში. ელექტრომობილების მომავლისადმი ჩვენი ერთგულების დემონსტრირებისთვის და ელექტრომობილზე გადაჯდომის დისკომფორტის შესამცირებლად, პროკრედიტ ბანკი საქართველომ ყველა რეგიონში დააყენა უფასო ელექტრო დამტენები.

2023 წელს ჩვენ შევქმენით სპეციალური პროდუქტი ელექტრომობილებისთვის შეღავათიანი პირობებით, გამარტივებული პროცესით და კლიენტებისთვის ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფით. კლიენტების მხრიდან გამოხმაურება და პირველი შედეგები იმედისმომცემია, რაც გვარწმუნებს, რომ ელექტრომობილების პორტფელი მნიშვნელოვნად გაიზრდება მომდევნო წლებში.

2023 წლის 31 დეკემბრისთვის, მწვანე დაფინანსების წილი მთლიან პორტფელში 13.6%-ს შეადგენს.

ჩვენი მდგარდი განვითარების ერთ-ერთი მიზანია, ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიებსა და ბიზნესებში ინვესტიციების ხელშეწყობა. ჩვენ ორიენტირებულნი ვიქნებით ჩვენი ყველა ბიზნეს კლიენტის საფუძვლიანი შეფასებების განხორციელებაზე, გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების უკეთესად მართვის მიზნით რჩევების მიცემაზე და ჩვენი შიდა გარემოსდაცვითი და სოციალური რეგულაციების შემდგომ გაუმჯობესებებზე. ეს მიდგომა შეესაბამება ჩვენს გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიას და ჩვენს ძირითად ღირებულებებს.

# ჩვენი მიდგომა თანამშრომელთა მიმართ

ჩვენი ბიზნეს სტრატეგიის წარმატება და კლიენტებისთვის ღირებული მომსახურების მიწოდების შესაძლებლობა განპირობებულია ჩვენი თანამშრომლებისა და მენეჯმენტის პროფესიული ცოდნითა და დამოკიდებულებით. ჩვენი მიზანია, ავაშენოთ ძლიერი, გამჭვირვალე, მდგრადი ინსტიტუტი, რომელიც თანამშრომლების განვითარებაზე ორიენტაციასა და ეთიკური პრინციპების საბაზისო სისტემაზე იქნება დაფუძნებული. გვსურს ჩვენს მენეჯერებთან ერთად, შევინარჩუნოთ კორპორაციული კულტურა, რომელიც არის პროაქტიული, პროდუქტიული და პროფესიონალური და, ამავე დროს, სოციალური პასუხისმგებლობის მატარებელი, სადაც ჩვენ თანამშრომლებს ექნებათ გრძელვადიანი პერსპექტივა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობები მთელი კარიერის მანძილზე.

მენეჯერეთა ძლიერი გუნდი თანამშრომლების მიმართ ჩვენი მყარი და გრძელვადიანი პერსპექტივის მქონე მიდგომის საფუძველს ქმნის. პროკრედიტ ბანკების დირექტორებს ზედმიწევნით კარგად ესმით მათი ბანკებისა და პროკრედიტ ჯგუფის მუშაობის პრინციპები, რადგან ისინი ჯგუფთან საშუალოდ 12 წელზე მეტი ხნის მანძილზე თანამშრომლობენ და ჩვენი მენეჯმენტის აკადემიაც აქვთ დამთავრებული (და დღეს იქ ასწავლიან კიდეც).

ის ფაქტი, რომ ჩვენ ზოგადად ვეძებთ ისეთ თანამშრომლებს, რომლებიც აფასებენ და სურთ ხელი შეუწყონ „საზოგადოებრივ სიკეთეს“ (“common good”) და მსგავს ღირებულებებით სისტემას იზიარებენ, თანამშრომელთა მიმართ ჩვენი მიდგომის კიდევ ერთი განმასხვავებელი ნიშანია. ძლიერი ლოგიკური და ანალიტიკური უნარების გარდა, ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ კანდიდატების ფილოსოფიურ დამოკიდებულებას, მათ მიერ დემოკრატიის გაგებას, დიალოგის წარმოებისა და ემპათიის უნარს. ამ კონტექსტში, ჩვენ ასევე ვაფასებთ ისეთ კანდიდატებს, რომელთაც საუნივერსიტეტო განათლება ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სფეროებში აქვთ მიღებული.

თანამშრომლების შერჩევისა და განვითარებისადმი ჩვენი მიდგომის მთავარი მიზანი არის თანამშრომელთა შესაბამისი პროფილის მეშვეობით, პროკრედიტ ჯგუფის ბიზნესისა და რისკების სტრატეგიის მხარდაჭერა, რათა შევძლოთ:

1. მაღალი ხარისხის და კლიენტზე ორიენტირებული მომსახურების გაწევა;
2. ჩვენი ფილიალებისა და განყოფილებების ოპტიმალური ორგანიზების უზრუნველყოფა;
3. ჩვენი თანამშრომლებისთვის ისეთი გარემოს შექმნა, რომელიც ერთდროულად სტიმულის მომცემი და სასიამოვნო იქნება.

რამდენიმე ძირითადი ინიციატივა დღეს უკვე მყარად არის დანერგილი:

- სამსახურში აყვანის სტანდარტული მეთოდი ყველა პოტენციური ახალი თანამშრომლისთვის და ექვსთვიანი „პროკრედიტში ინტეგრაციის პროცესი“, რომელიც სერბეთის ტრენინგ ცენტრში, ინგლისურ ენაზე ტარდება;
- სტრუქტურირებული ტრენინგი ახალი თანამშრომლებისთვის, რომელიც ზემოაღნიშნული „ინტეგრაციის პროცესის“ გავლის შემდეგ იწყება და 6 თვიდან ერთ წლამდე პერიოდს მოიცავს, პოზიციის შესაბამისად;

- პროკრედიტ ჯგუფის სახელფასო სტრუქტურა, რომელშიც ორგანიზაციაში არსებული ნებისმიერი ხელფასის მოცულობა შეესაბამება შკალის შესაბამის ბიჯს, სადაც მომდევნო ბიჯზე გადასვლა (ხელფასის მატება) ხდება კვალიფიკაციისა და მიმდინარე წლის შედეგების მიხედვით. ხოლო ზედა (მაღალი) ბიჯებისთვის ხელფასის მატებისთვის არსებობს დამატებითი მოთხოვნები, კერძოდ სავალდებულო ტრენინგების გავლა პროკრედიტის აკადემიაში. შკალა სრულად დაინერგა 2014 წელს;

- პროკრედიტ ჯგუფის თითოეული თანამშრომლის ინდივიდუალური პროფესიული განვითარების მიზნით, თანამშრომლების შეფასებისადმი ყოვლისმომცველი მიდგომა, რასაც ხელს უწყობს გაუმჯობესებული პროგრამული უზრუნველყოფა;

- ყოვლისმომცველი ტრენინგი ჩვენი საშუალო დონის მენეჯერებისთვის და მაღალი პოტენციალის მქონე თანამშრომლებისთვის პროკრედიტის ბანკირთა აკადემიაში (ერთწლიანი კურსი) და პროკრედიტის მენეჯმენტის აკადემიაში (სამწლიანი კურსი), რომლებიც ტარდება გერმანიაში არსებულ ჩვენს საერთაშორისო აკადემიაში. სპეციალიზებული, თანამდებობას მორგებული ტრენინგები და პროკრედიტ ჯგუფის მასშტაბით თემატური სემინარები ისეთ სფეროებში, როგორიცაა ბიზნესის განვითარება, საკრედიტო რისკები, გარემოს დაცვა, ასევე, ზოგადი ტრენინგი თანამშრომლებისთვის, რომელიც მოიცავს ეთიკის ერთკვირიან კურსს;

- ინგლისური ენის კურსები პროკრედიტის ენების შესწავლის ცენტრში;

- პროკრედიტ ჯგუფის ქცევის კოდექსი, რომელიც ვრცელდება და რეგულარულად განიხილება ყველა თანამშრომელთან.

პროკრედიტ ბანკის ანაზღაურების სისტემა შეესაბამება ჩვენს მდგრადი ბიზნესისა და რისკების სტრატეგიას და ჩვენი თანამშრომლების მიერ ზედმეტი რისკის აღებას არ უწყობს ხელს. პროკრედიტ ბანკის ანაზღაურების სტრუქტურის მიზნებია:

- საჭირო სოციალური და ტექნიკური უნარების და ჩართულობის სურვილის მქონე თანამშრომლებისა და მენეჯერების მოზიდვა და შენარჩუნება;

- თანამშრომლების წახალისება, საკუთარ თავზე აიღონ პასუხისმგებლობა, ეფექტურად მართონ ბანკის ოპერაციები და საქმიანობა წარმართონ ერთად, გუნდური პრინციპით;

- გრძელვადიანი საქმიანი ურთიერთობების განვითარებისა და შენარჩუნების მხარდაჭერა;

- ანაზღაურების გამჭვირვალედ და სამართლიანად აღქმის უზრუნველყოფა, რათა თანამშრომლებმა მათი საქმიანობა წარმართონ პროკრედიტ ბანკის კონსერვატიული რისკების პროფილის შესაბამისად.

პროკრედიტ ბანკის მიდგომა ანაზღაურებასთან დაკავშირებით მიზნად ისახავს ჩვენი თანამშრომლებისთვის და მენეჯერისთვის გრძელვადიან პერსპექტივაში განვითარების შესაძლებლობების შეთავაზებას. ხელფასის გამჭვირვალე სტრუქტურა ფიქსირებული ხელფასებით ამ კონტექსტში მნიშვნელოვანი ასპექტია.

სამართლიანი ხელფასის გარდა, პროკრედიტის ყველა თანამშრომელს ჩვენ ყოვლისმომცველ ტრენინგს და პროფესიული განვითარების შესაძლებლობებს ვთავაზობთ. ჩვენი პროფესიული განვითარების პროგრამებში მონაწილეობა თანამშრომლებისთვის მნიშვნელოვან სარგებელს წარმოადგენს. ამიტომ, საბაზისო და მაღალი საფეხურის ტრენინგებში მონაწილეობა ჩვენი თანამშრომლების მიერ აღიქმება, როგორც კომპენსაციის საერთო პაკეტის არსებითი ნაწილი. პროკრედიტ ბანკი ტრენინგებში მნიშნელოვან ინვესტიციებს ახორციელებს და ტრენინგების ჩატარებაზე გაწეული ხარჯები ბანკის თანამშრომლებზე დახარჯული სახსრების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს.

სხვა განმსაზღვრელი ფაქტორები, რომლებიც პროკრედიტსა და მის თანამშრომლებს შორის გრძელვადიანი ურთიერთობების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს, არის ჩვენს მიერ შეთავაზებული საინტერესო ვაკანსიები, ჰორიზონტალური ორგანიზაციული სტრუქტურა, დაწინაურების გამჭვირვალე შესაძლებლობები; ჩვენი სტანდარტული პრაქტიკაა შიდა ვაკანსიების გამოცხადება და ვაკანსიების უმეტესობის ბანკის შიდა თანამშრომლებით შევსება; ასევე, უნდა აღინიშნოს რომ ჩვენი უფროსი და საშუალო რგოლის მენეჯერები ძირითადად ბანკის შიგნიდან ინიშნებიან. ჩვენ გვჯერა, რომ ეს ყველაფერი ქმნის სტიმულის მომცემ და პროფესიონალურ სამუშაო გარემოს.

დამოწმებული და ხელმოწერილია დირექორთა საბჭოს მიერ 2023 წლის 8 მაისს.

ალექს მატუა
გენერალური დირექტორი

# სს პროკრედიტ ბანკი

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, მმართველობითი ანგარიში და დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა
31 დეკემბერი 2023

Tel: +995 32 2545 845
Tel: +995 32 2188 188
www.bdo.ge

ი. თარხნიშვილის ქუჩა 2
ვერე ბიზნეს ცენტრი
0108 თბილისი,
საქართველო

# დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

## სს პროკრედიტ ბანკის აქციონერებსა და ხელმძღვანელობას

## დასკვნა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

### მოსაზრება

ჩავატარეთ სს პროკრედიტ ბანკის (შემდგომში - „ბანკი“) და მისი შვილობილი კომპანიის (შემდგომში - „ჯგუფი“) კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება:

- 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგებისგან;
- აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგებისგან; და

  ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი საღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის და ბანკის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად.

### მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარვმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ჯგუფისგან და ბანკისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

შპს ბიდიო აუდიტი (ს/კ 205145403) არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის - “ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის” წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

## სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვქონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია ჯგუფის და ბანკის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

## ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის და ბანკის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის და ბანკის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის და ბანკის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

## აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის და ბანკის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის და ბანკის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი და ბანკი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა მოსაზრება გამოვთქვათ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და აუდიტის ჩატარებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

## დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2023 წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია 2023 წლის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- 2023 წლის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

## ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჯგუფის და ბანკის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის და ბანკის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

## აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის და ბანკის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვდენილობაზე და მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია:

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიო აუდიტის" სახელით

თბილისი, საქართველო

13 მაისი, 2024

# სარჩევი


დამოუკიდებელ აუდიტორთა დასკვნა

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება**

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 1

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 3

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 4

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

1. ორგანიზაცია და საქმიანობა ..... 5
2. ბიზნეს გარემო ..... 6
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება ..... 6
4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება ..... 23
5. ახალი სტანდარტები და ინტერპეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული ..... 24
6. ფულადი სახსრები და საქართველოს ეროვნულ ბანკში არსებული ნაშთები ..... 25
7. მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ ..... 26
8. ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში ..... 26
9. ინვესტიციები ..... 27
10. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები ..... 28
11. საინვესტიციო ქონება ..... 36
12. არამატერიალური აქტივები ..... 37
13. ძირითადი საშუალებები ..... 37
14. აქტივები გამოყენების უფლებით ..... 38
15. სხვა აქტივები ..... 38
16. კლიენტების ანგარიშები ..... 39
17. სხვა ნასესხები სახსრები ..... 41
18. სხვა ვალდებულებები ..... 42
19. მოგების გადასახადები ..... 42
20. სუბორდინირებული სესხი ..... 43
21. სააქციო კაპიტალი და საემისიო კაპიტალი ..... 43
22. წმინდა სესხის შეჯერება ..... 44
23. წმინდა საპროცენტო შემოსავალი ..... 45
24. საკომისიო შემოსავალი და ხარჯი ..... 45
25. სხვა ადმინისტრაციული ხარჯები ..... 46
26. სხვა საოპერაციო შემოსავალი და ხარჯი ..... 47
27. ფინანსური რისკი და კაპიტალის მართვა ..... 48
28. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ..... 75
29. პირობითი ვალდებულებები ..... 77
30. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ..... 78
31. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები ..... 79

## კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

| '000 ლარი | | კონსოლიდირებული | | ინდივიდუალური | |
|---|---|---|---|---|---|
| | შენიშვნები | 31 დეკემბერი 2023 | 31 დეკემბერი 2022 | 31 დეკემბერი 2023 | 31 დეკემბერი 2022 |
| **აქტივები** | | | | | |
| ფულადი სახსრები და სებ-ში არსებული ნაშთები | 6 | 176,536 | 162,437 | 176,536 | 162,437 |
| სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტები სებ-ში | | 170,304 | 199,513 | 170,304 | 199,513 |
| ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში | 8 | 114,302 | 82,486 | 114,302 | 82,486 |
| ინვესტიციები წილობრივ ფასიან ქაღალდებში | 9 | 139 | 139 | 139 | 139 |
| ინვესტიციები ასოცირებულ კომპანიებში | 9 | 2,836 | 2,547 | 2,836 | 2,547 |
| ინვესტიციები შვილობილ კომპანიაში | | - | - | 6,100 | 6,100 |
| მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ | 7 | 106,603 | 84,713 | 106,601 | 84,712 |
| სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური აქტივები | | 3 | 3 | 3 | 3 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები | 10 | 1,168,320 | 1,126,068 | 1,168,320 | 1,126,068 |
| მიმდინარე საგადასახადო აქტივები | | - | 3,302 | - | 3,302 |
| საინვესტიციო ქონება | 11 | 4,283 | 4,382 | 4,274 | 4,372 |
| არამატერიალური აქტივები | 12 | 1,993 | 1,370 | 1,993 | 1,370 |
| ძირითადი საშუალებები | 13 | 38,778 | 40,268 | 38,777 | 40,267 |
| აქტივები გამოყენების უფლებით | 14 | 1,773 | 1,431 | 1,773 | 1,431 |
| სხვა აქტივები | 15 | 7,521 | 5,963 | 7,105 | 5,472 |
| **სულ აქტივები** | | **1,793,391** | **1,714,622** | **1,799,063** | **1,720,219** |
| **ვალდებულებები** | | | | | |
| სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები | | 4 | 8 | 4 | 8 |
| კლიენტთა ანგარიშები | 16 | 1,059,767 | 970,388 | 1,068,398 | 976,474 |
| სხვა ნასესხები სახსრები | 17 | 407,742 | 424,024 | 407,742 | 424,024 |
| სუბორდინირებული სესხი | 20 | 14,886 | 14,399 | 14,886 | 14,399 |
| საიჯარო ვალდებულებები | | 1,818 | 1,426 | 1,818 | 1,426 |
| მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება | | 1,807 | - | 1,807 | - |
| სხვა ვალდებულებები | 18 | 2,438 | 2,704 | 2,336 | 2,571 |
| სხვა ანარიცხები | | 2,170 | 768 | 2,169 | 768 |
| გადავადებული საგადასახადო ვალდებულება | 19 | 1,966 | 3,573 | 1,966 | 3,572 |
| **სულ ვალდებულებები** | | **1,492,597** | **1,417,290** | **1,501,125** | **1,423,242** |
| **კაპიტალი** | | | | | |
| სააქციო კაპიტალი | 21 | 112,483 | 112,483 | 112,483 | 112,483 |
| საემისიო კაპიტალი | 21 | 72,118 | 72,118 | 72,118 | 72,118 |
| გაუნაწილებელი მოგება | | 116,193 | 112,731 | 113,337 | 112,376 |
| **სულ კაპიტალი** | | **300,794** | **297,332** | **297,938** | **296,977** |
| **სულ კაპიტალი და ვალდებულებები** | | **1,793,391** | **1,714,622** | **1,799,063** | **1,720,219** |

დამოწმებული და ხელმოწერილია დირექტორთა საბჭოს სახელით 2024 წლის 13 მაისს.

ალექს მატუა
გენერალური დირექტორი

ნანა ჩიკვაიძე
მთავარი ბუღალტერი

5 - 79 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

## კონსოლიდირებული და ინდივიდუალური მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

| '000 ლარი | | კონსოლიდირებული | | ინდივიდუალური | |
|---|---|---|---|---|---|
| | შენიშვნები | 2023 | 2022 | 2023 | 2022 |
| ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გამოთვლილი საპროცენტო შემოსავალი | | 117,490 | 113,250 | 117,490 | 113,250 |
| საპროცენტო ხარჯი | | (41,045) | (35,860) | (41,045) | (35,860) |
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი** | 23 | **76,445** | **77,390** | **76,445** | **77,390** |
| სესხებზე აღიარებული გაუფასურების ზარალის აღდგენა | 10 | 6,972 | 1,385 | 6,972 | 1,385 |
| **წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხების გაუფასურების ანარიცხის ფორმირების შემდეგ** | | **83,416** | **78,775** | **83,416** | **78,775** |
| საკომისიო შემოსავალი | 24 | 12,329 | 13,204 | 12,331 | 13,206 |
| საკომისიო ხარჯები | 24 | (10,178) | (11,527) | (10,178) | (11,527) |
| უცხოურ ვალუტაში ოპერაციებიდან მიღებული წმინდა ამონაგები | | 13,696 | 24,257 | 13,696 | 24,260 |
| საკურსო სხვაობებიდან მიღებული წმინდა ამონაგები/(ზარალი) | | 264 | (5,302) | 264 | (5,302) |
| წარმოებული ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილება | | - | (1,188) | - | (1,188) |
| პერსონალის ხარჯები | | (18,209) | (17,177) | (18,135) | (17,106) |
| სხვა ადმინისტრაციული ხარჯები | 25 | (30,371) | (29,994) | (30,329) | (29,945) |
| სხვა საოპერაციო შემოსავალი | 26(a) | 5,124 | 5,130 | 2,505 | 4,626 |
| სხვა საოპერაციო ხარჯი | 26(b) | (2,280) | (3,734) | (2,280) | (1,561) |
| **მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე** | | **53,792** | **52,444** | **51,291** | **54,238** |
| მოგების გადასახადის ხარჯი | 19 | (7,548) | (9,453) | (7,548) | (9,453) |
| **მოგება და სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში** | | **46,244** | **42,991** | **43,743** | **44,785** |

დამოწმებული და ხელმოწერილია დირექტორთა საბჭოს სახელით 2024 წლის 13 მაისს.

ალექს მატუა
გენერალური დირექტორი

ნანა ჩიკვაიძე
მთავარი ბუღალტერი

5 - 79 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

## კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება

| '000 ლარი | კონსოლიდირებული | | | | ინდივიდუალური | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სააქციო კაპიტალი | საემისიო კაპიტალი | გაუნაწილებელი მოგება | სულ | სააქციო კაპიტალი | საემისიო კაპიტალი | გაუნაწილებელი მოგება | სულ |
| **ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს** | **112,483** | **72,118** | **84,240** | **268,841** | **112,483** | **72,118** | **82,091** | **266,692** |
| **სულ სრული შემოსავალი** | | | | | | | | |
| წლის მოგება | - | - | 42,991 | **42,991** | - | - | 44,785 | **44,785** |
| **სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში** | **-** | **-** | **42,991** | **42,991** | **-** | **-** | **44,785** | **44,785** |
| გამოცხადებული დივიდენდები | **-** | **-** | (14,500) | **(14,500)** | **-** | **-** | (14,500) | **(14,500)** |
| **პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები მესაკუთრეებთან** | **-** | **-** | **(14,500)** | **(14,500)** | **-** | **-** | **(14,500)** | **(14,500)** |
| **ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს** | **112,483** | **72,118** | **112,731** | **297,332** | **112,483** | **72,118** | **112,376** | **296,977** |
| **ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს** | **112,483** | **72,118** | **112,731** | **297,332** | **112,483** | **72,118** | **112,376** | **296,977** |
| **სულ სრული შემოსავალი** | | | | | | | | |
| წლის მოგება | - | - | 46,244 | **46,244** | - | - | 43,743 | **43,743** |
| **სულ სრული შემოსავალი წლის განმავლობაში** | | | - | **46,244** | **46,244** | **-** | **-** | **43,743** | **43,743** |
| გამოცხადებული დივიდენდები | - | - | (42,782) | **(42,782)** | **-** | **-** | (42,782) | **(42,782)** |
| **პირდაპირ კაპიტალში ასახული ოპერაციები მესაკუთრეებთან** | **-** | **-** | **(42,782)** | **(42,782)** | **-** | **-** | **(42,782)** | **(42,782)** |
| **ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს** | **112,483** | **72,118** | **116,193** | **300,794** | **112,483** | **72,118** | **113,337** | **297,938** |

დამოწმებული და ხელმოწერილია დირექტორთა საბჭოს სახელით 2024 წლის 13 მაისს.

ალექს მატუა
გენერალური დირექტორი

ნანა ჩიკვაიძე
მთავარი ბუღალტერი

5 - 79 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

## კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

| '000 ლარი | | კონსოლიდირებული | | ინდივიდუალური | |
|---|---|---|---|---|---|
| | შენიშვნები | 2023 | 2022 | 2023 | 2022 |
| **მოგება, მოგების გადასახადით დაბეგვრამდე** | | **53,792** | **52,444** | **51,291** | **54,238** |
| სესხის გაუფასურების ანარიცხის გაუქმება | 10 | (6,972) | (1,385) | (6,972) | (1,385) |
| ცვეთა და ამორტიზაცია | | 4,546 | 4,788 | 4,545 | 4,788 |
| საკურსო სხვაობებიდან მიღებული წმინდა ზარალი | | (264) | 5,302 | (264) | 5,302 |
| წარმოებული ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების ცვლილება | | - | 1,188 | - | 1,188 |
| სხვა ანარიცხების დარიცხვა | | 1,408 | 70 | 1,408 | 70 |
| ამონაგები ძირითადი საშუალებების გასხვისებიდან | | (243) | (243) | (243) | (243) |
| წმინდა საპროცენტო შემოსავალი | | (76,445) | (77,390) | (76,445) | (77,390) |
| **საოპერაციო ფულადი ნაკადები საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილებამდე** | | **(24,178)** | **(15,226)** | **(26,680)** | **(13,432)** |
| *საოპერაციო საქმიანობებიდან მიღებული აქტივებისა და ვალდებულებების წმინდა ცვლილება არაფულადი მუხლების შემდეგ:* | | | | | |
| სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტები სებ-ში | | 29,405 | (25,586) | 29,405 | (25,586) |
| კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები | | (32,314) | 44,392 | (32,314) | 44,392 |
| სხვა აქტივები | | (1,596) | 1,551 | (1,672) | 38 |
| ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ | | - | (1,432) | - | (1,432) |
| სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები | | (294) | (2,429) | (294) | (2,429) |
| კლიენტთა ანგარიშები | | 89,236 | 79,686 | 91,780 | 79,446 |
| სხვა ვალდებულებები | | (282) | (3,708) | (251) | (3,749) |
| **სულ წმინდა ცვლილება საოპერაციო საქმიანობებიდან მიღებულ აქტივებსა და ვალდებულებებში არაფულადი ერთეულების შემდეგ** | | **84,154** | **92,474** | **86,654** | **90,680** |
| მიღებული პროცენტი | | 118,489 | 116,363 | 118,489 | 116,363 |
| გადახდილი პროცენტი | | (34,264) | (30,788) | (34,264) | (30,788) |
| გადახდილი მოგების გადასახადი | | (4,045) | (16,558) | (4,045) | (16,558) |
| **საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები** | | **140,156** | **146,265** | **140,156** | **146,265** |
| ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების შეძენა | | (4,019) | (3,120) | (4,019) | (3,120) |
| ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი | | 342 | 3,534 | 342 | 3,534 |
| სავალო ფასიან ქაღალდებში ჩადებული ინვესტიციების შესყიდვა | | (256,608) | (61,957) | (256,608) | (61,957) |
| სავალო ფასიან ქაღალდებში ჩადებული ინვესტიციების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი | | 223,565 | 20,069 | 223,565 | 20,069 |
| **ფულადი ნაკადები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობებში** | | **(36,720)** | **(41,474)** | **(36,720)** | **(41,474)** |
| გადახდილი დივიდენდები | 21 | (42,782) | (14,500) | (42,782) | (14,500) |
| საიჯარო ვალდებულებების დაფარვა | | (462) | (497) | (462) | (497) |
| სხვა ნასესხები სახსრებიდან მიღებული შემოსავალი | | 44,636 | 57,735 | 44,636 | 57,735 |
| სხვა ნასესხები სახსრების დაფარვა | | (69,922) | (70,318) | (69,922) | (70,318) |
| სუბორდინირებული ვალების დაფარვა | | - | (6,832) | - | (6,832) |
| **ფინანსურ საქმიანობებში გამოყენებული ფულადი ნაკადები** | | **(68,531)** | **(34,412)** | **(68,531)** | **(34,412)** |
| **წმინდა მატება ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებში** | | **34,905** | **70,379** | **34,905** | **70,379** |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში | | 247,150 | 201,766 | 247,150 | 201,766 |
| სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა | | 1,083 | (24,995) | 1,083 | (24,995) |
| **ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს** | | **283,138** | **247,150** | **283,138** | **247,150** |

დამოწმებული და ხელმოწერილია დირექტორთა საბჭოს სახელით 2024 წლის 13 მაისს.

ალექს მატუა
გენერალური დირექტორი

ნანა ჩიკვაიძე
მთავარი ბუღალტერი

5 - 79 გვერდებზე მოცემული განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

## 1. ორგანიზაცია და საქმიანობა

წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგება“) მოიცავს სს პროკრედიტ ბანკის (შემდგომში „ბანკი“) და მისი შვილობილი კომპანიის (ერთობლივად მოხსენიებული, როგორც „ჯგუფი“) ფინანსურ ანგარიშგებას. ბანკი და მისი შვილობილი კომპანია წარმოადგენენ სააქციო საზოგადოებას და შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიას, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონში მოცემული განმარტების შესაბამისად. მათი რეგისტრაციის და საქმიანობის ქვეყანაა საქართველო. ბანკი დაარეგისტრირა ვაკის რაიონულმა სასამართლომ 1999 წლის 4 იანვარს, რეგისტრაციის ნომრით: 204851197.

სს პროკრედიტ ბანკი არის განვითარებაზე ორიენტირებული ბანკი, რომელიც სპეციალიზებულია საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ მცირე და საშუალო ზომის საწარმოებზე. საზედამხედველო მიზნებისთვის, პროკრედიტ ბანკი საქმიანობას აწარმოებს 1999 წლის 13 მაისს გამოშვებული ზოგადი საბანკო ლიცენზიით #233, ხოლო მის საქმიანობას არეგულირებს საქართველოს ეროვნული ბანკი („სებ“).

ბანკის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. 21. ბანკის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში. ბანკი თავის კლიენტებს ემსახურება 4 ფილიალის, 1 მომსახურების პუნქტის და 7 თვითმომსახურების ზონის საშუალებით თბილისში, ქუთაისში, ბათუმში და ზუგდიდში.

ბანკი ერთპიროვნულად ფლობს შვილობილ კომპანიას შპს პროკრედიტ ფროფერთის, რომელიც 2007 წლის 23 ივლისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოყალიბდა როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომლის ძირითადი საქმიანობა უძრავ-მოძრავი ქონების ფლობა და განკარგვაა. კომპანია ამ ქონებას იძენს აუქციონზე ბანკის იმ კლიენტებისგან, რომლებმაც ნაკისრი ვალდებულებები ვერ შეასრულეს.

ბანკის პირდაპირი და საბოლოო მშობელი კომპანია არის პროკრედიტ ჰოლდინგი AG (შემდგომში მოხსენიებული, როგორც „მშობელი კომპანია“). 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ქვემოთ წარმოდგენილი აქციონერები პირდაპირ ფლობდნენ მშობელი მშობელი კომპანიის მიმოქცევაში გაშვებული აქციების 5%-ზე მეტს:

| | კაპიტალში მონაწილეობის წილის %, 31 დეკემბრის მდგომარეობით | |
|---|---|---|
| | **2023** | **2022** |
| Zeitinger Invest GmbH | 18.3 | 17 |
| KfW - Kreditanstalt für Wiederaufbau | 13.2 | 13.2 |
| DOEN ფონდი | 12.5 | 12.5 |
| საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) | - | 10 |
| EBRD - ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი | 8.7 | - |
| TIAA-CREF -მასწავლებელთა დაზღვევის და ანუიტეტის ასოციაცია | 8.6 | 8.6 |
| სხვა | 38.7 | 38.7 |
| **სულ** | **100** | **100** |

სხვა აქციონერები ინდივიდუალურად ფლობენ განთავსებული აქციების 5%-ზე ნაკლებს. 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრისთვის ჯგუფს და ბანკს არ ჰყავდათ საბოლოო მაკონტროლებელი მხარე.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან განხილულია 30-ე შენიშვნაში.

## 2. ბიზნეს გარემო

ჯგუფის და ბანკის საქმიანობა ხორციელდება საქართველოში. შესაბამისად, ჯგუფზე და ბანკზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი ნორმები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა ისინი იყენებენ განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოადგენს. წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას ჯგუფის/ბანკის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

## 3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების შეჯამება

### მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფასს“) სრულ შესაბამისობაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა ფინანსური ინსტრუმენტებისა, რომლებიც შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ჯგუფი და ბანკი აღრიცხავს მის წარმოებულ ინსტრუმენტებს (ხელშეკრულებები უცხოურ ვალუტაში) სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადდა იმ ვარაუდით, რომ კომპანია არის უწყვეტად მოქმედი საწარმო და თავის საქმიანობას გააგრძელებს უახლოეს მომავალში. მენეჯმენტს და აქციონერებს სურთ განავითარონ კომპანიის ბიზნესი საქართველოში. შედეგად, მენეჯმენტს მიაჩნია, რომ მუდმივი საქმიანობის დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის.

### კონსოლიდაციის საფუძველი

შვილობილი კომპანიები არიან ინვესტირებული საწარმოები, მათ შორის, სტრუქტურირებული ერთეულები, რომლებსაც ჯგუფი აკონტროლებს, რადგან ჯგუფს (i) აქვს ინვესტირებული საწარმოების საქმიანობის ისე წარმართვის უფლებამოსილება, რომ მნიშვნელოვნად იმოქმედოს მათ შემოსავლებზე; (ii) გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება; და (iii) აქვს იმის შესაძლებლობა, რომ ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით მინიჭებული უფლებამოსილება გამოიყენოს თავისი შემოსავლების ოდენობაზე გავლენის მოხდენის მიზნით. მატერიალური უფლებების, მათ შორის, პოტენციური მატერიალური ხმის უფლებების არსებობა და მნიშვნელობა განიხილება იმის შეფასებისას, აქვს თუ არა ჯგუფს უფლებები სხვა სუბიექტზე. იმისათვის, რომ ესა თუ ის უფლება მატერიალური იყოს, უფლების მფლობელს პრაქტიკული უნარი უნდა ჰქონდეს, რომ ეს უფლება გამოიყენოს მაშინ, როდესაც საჭიროა ინვესტირებული საწარმოს შესაბამისი საქმიანობის წარმართვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებების მიღება. ჯგუფს ინვესტირებულ საწარმოზე უფლება შეიძლება იმ შემთხვევაშიც კი ჰქონდეს, თუ ის ინვესტირებულ საწარმოში ხმის უფლებების უმრავლესობას არ ფლობს. ამ შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს მისი ხმის უფლებების რაოდენობას ხმის უფლებების სხვა მფლობელთა რაოდენობასთან და განაწილებასთან მიმართებით და ამ გზით ადგენს მას ინვესტირებულ საწარმოზე დე-ფაქტო უფლება აქვს თუ არა. სხვა ინვესტორების დამცავი უფლებები, მაგ., უფლებები, რომლებიც ინვესტირებული საწარმოს საქმიანობაში ფუნდამენტური ცვლილებების განხორციელებას უკავშირდება ან რომლებიც მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში

გამოიყენება, ხელს არ უშლის ჯგუფს ინვესტირებული საწარმოს კონტროლში. შვილობილი საწარმოები კონსოლიდირებულად ითვლებიან კონტროლის ჯგუფზე გადასვლის დღიდან, ხოლო დეკონსოლიდირებულად ითვლებიან კონტროლის შეწყვეტის თარიღიდან.

კომპანიათაშორისი გარიგებები, ჯგუფის კომპანიებს შორის ტრანზაქციების ნაშთები და არარეალიზებული შემოსავალი აღმოიფხვრება; ასევე აღმოიფხვრება არარეალიზებული ზარალი, გარდა შემთხვევებისა როდესაც ღირებულების ამოღება შეუძლებელია. ბანკი და ყველა მისი შვილობილი საწარმო ჯგუფის და ბანკის პოლიტიკასთან შესაბამის ერთგვაროვან საბუღალტრო პოლიტიკას იყენებს.

**შვილობილი კომპანიები**

შვილობილი კომპანიები წარმოადგენს ჯგუფის და ბანკის მიერ კონტროლირებულ ინვესტიციის ობიექტებს. ჯგუფი და ბანკი თავის ინვესტიციის ობიექტს აკონტროლებენ მაშინ, როდესაც ის ექვემდებარება ან აქვს უფლება მიიღოს ცვალებადი ამონაგები მისი ჩართულობიდან ინვესტიციის ობიექტში და აქვს უნარი გავლენა იქონიოს აღნიშნულ ამონაგებზე ჯგუფის ინვესტიციის ობიექტზე გავლენის საშუალებით. კერძოდ, ჯგუფი ახდენს იმ ინვესტიციის ობიექტების კონსოლიდაციას, რომლებსაც ის აკონტროლებს დე ფაქტო გარემოებების საფუძველზე, იმ შემთხვევების ჩათვლით როდესაც სესხების ოპერაციების უზრუნველყოფის ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი დამცავი უფლებები ხდება არსებითი. შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგება შესულია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კონტროლის დაწყების თარიღიდან, მისი დასრულების თარიღამდე.

ბანკი, მის ინვესტიციებს შვილობილ კომპანიებში აღრიცხავს თვითღირებულებით და თანმიმდევრულად იყენებს ერთიდაიგივე სააღრიცხვო პოლიტიკებს ინვესტიციების თითოეული კატეგორიისთვის. ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში ფასდება შესყიდვის ღირებულებას გამოკლებული გაუფასურების ზარალი.

ბანკი, ინვესტიციებს შვილობილ კომპანიებში აღრიცხავს კონტროლის ფაქტიური დაწყების თარიღიდან მისი ფაქტიური შეწყვეტის თარიღამდე.

**ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები**

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც აქტივის გაყიდვით მიიღება ან რომელიც გადახდილია შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის განხორციელებულ კანონიერ კომერციულ გარიგებაში ვალდებულების დასაფარად. სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიურ ბაზარზე მოქმედი ფასი. აქტიური ბაზარი ისეთი ბაზარია, რომელზეც აქტივებთან ან ვალდებულებებთან დაკავშირებული გარიგებები იმ სიხშირითა და მოცულობით ხორციელდება, რაც საკმარისია ფასის შესახებ ინფორმაციის უწყვეტი წესით მისაღებად. აქტიურ ბაზარზე სავაჭროდ განთავსებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება, როგორც ცალკეული აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასისა და სუბიექტის მფლობელობაში არსებული ოდენობის ნამრავლი. ეს ასეა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბაზრის ჩვეულებრივი ყოველდღიური ვაჭრობის მოცულობა საკმარისი არ არის ამ რაოდენობის აბსორბირებისთვის და ერთი გარიგების ფარგლებში პოზიციის გაყიდვის მიზნით შეკვეთების განხორციელებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს კოტირებულ ფასზე.

იმ ფინანსური წარმოებულების ან სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების პორტფელი, რომლებიც აქტიურ ბაზარზე არ ივაჭრება, ფასდება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რომელიმე ჯგუფის სამართლიანი ღირებულებით იმ ფასზე დაყრდნობით, რომელიც მიღებული იქნებოდა წმინდა ხანგრძლივი პოზიციის (ანუ აქტივის) გაყიდვიდან (კონკრეტული რისკის გათვალისწინებით) ან გადახდილი იქნებოდა წმინდა მოკლე პოზიციის (ანუ ვალდებულების) დასაფარად (კონკრეტული რისკის გათვალისწინებით) შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის განხორციელებულ კანონიერ კომერციულ გარიგებაში.

გარე ფასწარმოქმნის ინფორმაციის არმქონე კონკრეტული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვის ისეთი შეფასების მეთოდები გამოიყენება, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან უკანასკნელი კომერციული გარიგებების მოდელები ან ინვესტირებული საწარმოების ფინანსური მონაცემების განხილვა. სამართლიანი ღირებულების შეფასებების ანალიზი ტარდება სამართლიანი ღირებულების იერარქიაში არსებული შემდეგი დონეებით: (i) პირველი დონე მოიცავს აქტიურ ბაზრებზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით განხორციელებულ შეფასებებს; (ii) მეორე დონის გაანგარიშებები შეფასების ისეთი მეთოდებია, რომლებიც მოცემულ აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებით პირდაპირ (ანუ ფასებით) ან არაპირდაპირ (ანუ ფასებიდან წარმოებული) დაკვირვებად ყველა მნიშვნელოვან მონაცემს ითვალისწინებს, და (iii) მესამე დონის გაანგარიშებები შეფასების ისეთი მეთოდებია, რომლებიც მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს არ ეფუძნება (ანუ, ამ შემთხვევაში, შეფასება მნიშვნელოვან არადაკვირვებად მონაცემებს საჭიროებს).

გარიგების ხარჯები ის ზრდადი ხარჯებია, რომლებიც უშუალოდ ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან განკარგვას უკავშირდება. ზრდადი ხარჯი არის ხარჯი, რომლის გაწევაც არ მოხდებოდა, ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. გარიგების ხარჯი მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, გაყიდვების აგენტების სახით მოქმედი თანამშრომლებისთვის), კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის გადახდილ ჰონორარს და საკომისიოებს, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, და გასხვისების გადასახადებს და მოსაკრებლებს. გარიგების ხარჯი არ მოიცავს სასესხო კაპიტალის ღირებულებას ან დისკონტებს, დაფინანსების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მარაგების შენახვის ხარჯებს.

ამორტიზირებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება თავდაპირველი აღიარებისას, გამოკლებული ნებისმიერი ძირი თანხების დაფარვები, დამატებული დარიცხული პროცენტი, ხოლო ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გამოკლებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნებისმიერი რეზერვები. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული გარიგების ხარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერი სასესხო კაპიტალის ღირებულების ან დისკონტის ამორტიზაციას, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის, დარიცხული კუპონი და ამორტიზირებული დისკონტი ან პრემია (მათ შორის აღიარებისას გადავადებული საკომისიოები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), არ არის ცალკე წარმოდგენილი და შეტანილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდში განაწილების მეთოდი, საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის უზრუნველსაყოფად (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი). ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს სავარაუდო სამომავლო ფულად გადახდებს ან ფულადი შემოსულობების თანხებს (მომავალი საკრედიტო ზარალის გარდა), ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში, ფინანსური ინსტრუმენტის მთლიან საბალანსო ღირებულებამდე.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ადისკონტირებს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე

ინსტრუმენტების ფულად ნაკადებს პროცენტის მომდევნო გადაფასების თარიღისთვის, პრემიის ან დისკონტის გარდა, რომელიც აღნიშნულ ინსტრუმენტში განსაზღვრულ ცვალებად განაკვეთზე საკრედიტო სპრედს ასახავს, ან სხვა ცვლადებს, რომლებიც საბაზრო განაკვეთებზე მორგებული არ არის. მსგავსი პრემიების ან დისკონტების ამორტიზაცია ხორციელდება ინსტრუმენტის მთლიანი მოსალოდნელი მოხმარების ვადის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა იმ საკომისიოს, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია. იმ აქტივების შემთხვევაში, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება როგორც შეძენილი ან შექმნილი საკრედიტო რისკით გაუფასურებული აქტივები, ეფექტური საპროცენტო განაკვეთი საკრედიტო რისკზეა მორგებული, ანუ გამოითვლება თავდაპირველი აღიარებისას მოსალოდნელი ფულადი ნაკადების, და არა ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახდელების, საფუძველზე.

**ფინანსური ინსტრუმენტები – თავდაპირველი აღიარება**

სავაჭრო მოთხოვნები და სასესხო ფასიანი ქაღალდები თავდაპირველად აღიარდება წარმოშობის მომენტში. ყველა სხვა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება როდესაც ჯგუფი და/ან ბანკი ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მხარე ხდება.

ფინანსური აქტივი (თუ ის არ არის სავაჭრო მოთხოვნა არსებითი ფინანსური კომპონენტის გარეშე) ან ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად შეფასებულია სამართლიან ღირებულებას დამატებული (არა სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული ერთეულისთვის) მის შეძენასთან ან გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარიგების ხარჯები. სავაჭრო მოთხოვნა მნიშვნელოვანი ფინანსური კომპონენტის გარეშე თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით.

ფინანსური აქტივების ყველა შესყიდვა და გაყიდვა, რომლის დროსაც მიწოდება აუცილებელია მარეგულირებელი ან საბაზრო შეთანხმებით დადგენილ ვადებში („რეგულარული" ყიდვა-გაყიდვის გარიგებები), ვაჭრობის თარიღისთვის აღირიცხება. ეს არის თარიღი როდესაც ჯგუფი და ბანკი კისრულობენ ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულებას. ყველა სხვა შესყიდვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ორგანიზაცია ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მხარე ხდება.

**ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - შეფასების კატეგორიები**

ჯგუფი და ბანკი თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს შეფასების შემდეგი კატეგორიების მიხედვით: სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული და ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული. სავალო ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია: (i) ჯგუფის და ბანკის ბიზნესმოდელზე, რომელიც დაკავშირებული აქტივების პორტფელის მართვისთვის გამოიყენება; და (ii) აქტივის ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე.

**ფინანსური აქტივები - კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება - ბიზნესმოდელი**

ბიზნესმოდელი ასახავს, თუ როგორ მართავს ჯგუფი და ბანკი თავის აქტივებს ფულადი ნაკადების შექმნის მიზნით - თუ რა არის ჯგუფის და ბანკის მიზანი: (i) აქტივებიდან მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვება („აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით"); თუ (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების, ისე აქტივების გაყიდვით წარმოქმნილი ფულადი ნაკადების შეგროვება („აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების და გაყიდვის მიზნით"); ან თუ არცერთი ზემოაღნიშნული პუნქტი მოქმედებს, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც „სხვა" ბიზნესმოდელის ნაწილი და ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ბიზნესმოდელი განისაზღვრება აქტივების ჯგუფისთვის (პორტფელის დონეზე) ყველა იმ სათანადო მტკიცებულებაზე დაყრდნობით, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა მეთოდებით მართავენ ჯგუფი და ბანკი აქტივებს შეფასების თარიღისთვის არსებული პორტფელის გარკვეული მიზნის მისაღწევად. ჯგუფის და ბანკის მიერ ბიზნეს მოდელის განსაზღვრისას გათვალისწინებული ფაქტორები მოიცავს პორტფელის მიზანს და შემადგენლობას, ასევე წარსულ გამოცდილებას იმის შესახებ, თუ როგორ მოხდა შესაბამისი აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღება და როგორ ფასდება და იმართება რისკები. თავისი ფინანსური აქტივებისთვის ბიზნესმოდელების განსაზღვრისას ჯგუფის და ბანკის მიერ გამოყენებული კრიტიკულად მნიშვნელოვანი მსჯელობები იხილეთ მე-4 შენიშვნაში.

იმ წილობრივი ინვესტიციის თავდაპირველი აღიარებისას, რომელიც არ არის სავაჭროდ ფლობილი, ჯგუფს/ბანკს შეუძლია შეუქცევად აირჩიოს ინვესტიციის სამართლიანი ღირებულების შემდგომი ცვლილებები მის სხვა სრულ შემოსავალში აღიაროს. ეს არჩევანი კეთდება თითოეული ინვესტიციის დონეზე. ჯგუფი/ბანკი ირჩევს მსგავსი ერთეულები „ინვესტიციები წილობრივ ფასიან ქაღალდებში“ აღრიცხოს.

**ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – ფულადი ნაკადების მახასიათებლები**

თუ ისეთი ბიზნესმოდელია შერჩეული, რომლის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება ან რომლის მიზანი მიიღწევა როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებით, ისე ფინანსური აქტივების გაყიდვით, ჯგუფი და ბანკი განსაზღვრავს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას (“SPPI”). ფინანსური აქტივები ჩართული წარმოებული ინსტრუმენტებით მთლიანობაში განიხილება მაშინ, როდესაც დადგინდება, მათი ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდას. ამ შეფასებისას, ჯგუფი და ბანკი განიხილავენ თუ რამდენად შეესაბამება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები საბაზისო სასესხო შეთანხმებას, ანუ, პროცენტი მოიცავს მხოლოდ ანაზღაურებას საკრედიტო რისკისა, ფულის დროითი ღირებულების, გასესხებასთან დაკავშირებული სხვა ძირითადი რისკებს და ასევე მოგების მარჟას.

თუ სახელშეკრულებო პირობები იწვევს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების დაქვემდებარებას ისეთ რისკებზე ან ცვალებადობაზე, რაც არ შეესაბამება საბაზისო სასესხო შეთანხმებას, ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება და ფასდება სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით. მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდის შეფასება აქტივის თავდაპირველი აღიარებისას ხდება და არ ექვემდებარება შემდგომში ხელმეორე შეფასებას. თავისი ფინანსური აქტივებისთვის მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდების შემოწმებისას ჯგუფის და ბანკის მიერ გამოყენებული კრიტიკულად მნიშვნელოვანი მსჯელობები იხილეთ მე-4 შენიშვნაში.

**ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია**

ფინანსური ინსტრუმენტების რეკლასიფიკაცია ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმო მთლიანობაში ცვლის პორტფელის მართვის ბიზნესმოდელს. რეკლასიფიკაციას სამომავლო შედეგების მოტანა შეუძლია და ხორციელდება ბიზნესმოდელის შეცვლიდან პირველივე საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში.

**მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი - ECL**

ჯგუფი და ბანკი აფასებს, სამომავლო პერსპექტივაში, მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ამორტიზირებული ღირებულებით და სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებული სავალო

ინსტრუმენტებისთვის და სესხის გაცემის ვალდებულებიდან და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი რისკებისთვის. ჯგუფი და ბანკი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს აფასებს და საკრედიტო ზარალის რეზერვს აღიარებს ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის.

*მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL)* - მიუკერძოებელი და ალბათობით შეწონილი ოდენობა, რომელიც იანგარიშება, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის საკონტრაქტო პირობებით გათვალისწინებული ბანკის მიერ ყველა მისაღები ფულადი ნაკადისა და ყველა იმ ფულადი ნაკადის სხვაობა, რომელთა მიღებასაც ბანკი რეალურად მოელის. ECL ეფუძნება გონივრულ და დასაბუთებულ ინფორმაციას წარსულ მოვლენებზე, მიმდინარე მდგომარეობაზე და მომავალი ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზებზე, რომელიც ხელმისაწვდომია საანგარიშო თარიღისთვის მიზანშეუწონელი დანახარჯებისა ან ძალისხმევის გარეშე. ECL გამოითვლება შემდეგი პარამეტრების გამოყენებით: დეფოლტში მყოფი რისკის პოზიცია (EAD), დეფოლტის ალბათობა (PD) და ზარალი დეფოლტის შემთხვევაში (LGD) და დისკონტირდება არსებულ მნიშვნელობამდე.

არაფინანსური გარანტიები, როგორიცაა ხელშეკრულების შესრულების გარანტია, განიხილება ბასს 37-ის ფარგლებში (ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები) და, შესაბამისად, გამოირიცხება ფასს 9-ის გაუფასურების სფეროდან.

ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტები ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის გამოკლებით. სესხის გაცემის ვალდებულებების და ფინანსური გარანტიების ხელშეკრულებების შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცალკეული ანარიცხის აღიარება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშგებაში ვალდებულების სახით ხდება.

ჯგუფი და ბანკი გაუფასურებაზე იყენებს სამეტაპიან მოდელს, თავდაპირველი აღიარების შემდეგ კრედიტის ხარისხში მომხდარი ცვლილებების მიხედვით. ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც საკრედიტო რისკით არ გაუფასურებულა თავდაპირველი აღიარებისას, 1-ელ ეტაპზე კლასიფიცირდება. 1-ლი ეტაპის ფინანსურ აქტივებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასდება ოდენობით, რომელიც ტოლია არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილის, რომელიც წარმოიქმნება მომდევნო 12 თვეში ან სახელშეკრულებო ვადის ამოწურვამდე პერიოდში (რომელიც უფრო მოკლეა) მომხდარი დეფოლტის შემთხვევების შედეგად („12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი"). თუ ჯგუფი და ბანკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას გამოავლენს, აქტივი მე-2 ეტაპზე გადადის და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ფასდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით, ანუ სახელშეკრულებო ვადის ამოწურვამდე, მაგრამ მოსალოდნელი ავანსების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გათვალისწინებით („არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“). იხილეთ 27-ე შენიშვნა სადაც აღწერილია, თუ როგორ ადგენს ჯგუფი და ბანკი საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის დადგომას. თუ ჯგუფი და ბანკი დაადგენს, რომ ფინანსური აქტივი საკრედიტო რისკით გაუფასურებულია, აქტივი გადადის მე-3 ეტაპზე და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება როგორც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, დეფოლტის 100%-იანი ალბათობის გათვალისწინებით (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით კრედიტი გაუფასურებულია). საკრედიტო რისკით გაუფასურებული აქტივების და დეფოლტის ჯგუფისეული და ბანკისეული განმარტება იხილეთ 27-ე შენიშვნაში. შეძენილი ან შექმნილი საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ყოველთვის გამოითვლება როგორც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი. 27-ე შენიშვნა გვაწვდის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლისას გამოყენებული მონაცემების, დაშვებების და შეფასების მეთოდების შესახებ ინფორმაციას, მათ შორის განმარტებას, თუ როგორ შეაქვს ჯგუფს და ბანკს საპროგნოზო ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელებში.

**ფინანსური აქტივები - ჩამოწერა**

ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც ჯგუფი და ბანკი ამოწურავენ ამოღების ყველა პრაქტიკულ ძალისხმევას და დაასკვნიან, რომ ამოღების გონივრული მოლოდინი არ არსებობს. ჩამოწერა აღიარების შეწყვეტის მოვლენას წარმოადგენს. ჯგუფმა და ბანკმა შეიძლება ჩამოწერონ ის ფინანსური აქტივები, რომლებიც ჯერ კიდევ ექვემდებარება აღსრულების ღონისძიებას იმ დროისთვის, როდესაც ჯგუფი და ბანკი ხელშეკრულების მიხედვით ვადადამდგარი თანხების ამოღებას ცდილობენ, მაგრამ არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

**ფინანსური აქტივები – აღიარების შეწყვეტა**

ჯგუფი და ბანკი წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც (a) აქტივები გამოსყიდულია ან ამ აქტივებიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე უფლებებს გასდის ვადა, ან (b) ჯგუფმა და ბანკმა გადასცა ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე უფლებები ან ვალდებულების გადაკისრების შესახებ ხელშეკრულება აქვს დადებული, (i) რომელშიც არსებითად ყველა რისკი და აქტივის ფლობის ანაზღაურება არის გადაცემული, ან (ii) როდესაც ჯგუფი და ბანკი არც გადასცემს და არც ინარჩუნებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და ანაზღაურებას და ჯგუფი და ბანკი არ ინარჩუნებს აქტივზე კონტროლს. კონტროლი ნარჩუნდება იმ შემთხვევაში, თუ კონტრაგენტს არ აქვს აქტივის არადაკავშირებულ მესამე მხარეზე სრულად გაყიდვის პრაქტიკული უნარი, გაყიდვაზე შეზღუდვების დაწესების საჭიროების გარეშე.

**ფინანსური აქტივები – მოდიფიკაცია**

ზოგჯერ ჯგუფი და ბანკი ხელახლა ათანხმებენ ან სხვაგვარად ცვლიან ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობებს. ჯგუფი და ბანკი აფასებენ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მოდიფიცირება, შემდეგი ფაქტორების გათვალისწინებით (სხვა ფაქტორებთან ერთად): ახალი სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აქტივის რისკის პროფილზე; საპროცენტო განაკვეთის მნიშვნელოვანი ცვლილება; ვალუტის დენომინაციაში ცვლილება; მოვალის შეცვლა; სესხის დაფარვის ვადის გახანგრძლივება ან შენატანების თარიღებში ან გადახდის მთლიან გრაფიკში ცვლილებები.

თუ შეცვლილი პირობები არსებითად განსხვავდება, თავდაპირველი აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება იწურება, ჯგუფი და ბანკი თავდაპირველი ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტენ, და აღიარებენ ახალ აქტივს სამართლიანი ღირებულებით. ჯგუფი და ბანკი ასევე აფასებენ, თუ რამდენად პასუხობს ახალი სესხი თუ სავალო ინსტრუმენტი მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდის კრიტერიუმს. აღიარებაშეწყვეტილი თავდაპირველი აქტივის საბალანსო ღირებულებასა და ახალ, არსებითად შეცვლილ აქტივის სამართლიან ღირებულებას შორის განსხვავების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ჯგუფსა და ბანკში არსებით მოდიფიკაციად განიხილება შემდეგი ხარისხობრივი ფაქტორები:

- საკრედიტო ინსტრუმენტის (სესხი, საკრედიტო ხაზი, ოვერდრაფტი) არსებული მოვალის შეცვლა. გამონაკლისი იქნება კონსოლიდირებული პირების იმავე ჯგუფში განხორციელებული ცვლილება (მაგ.: შვილობილი კომპანიის სათავო კომპანიად გადაქცევა).
- ცვლილებები ვალუტაში, რომელშიც ფინანსური ინსტრუმენტია დენომინირებული მომავალი დავალიანების დაფარვისთვის.
- სახელშეკრულებო ცვლილებები, რომლებიც არ შეესაბამება მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტების გადახდის კრიტერიუმს.

არსებითი მოდიფიკაციის რაოდენობრივი ანალიზია ე.წ. „10% წმინდა მიმდინარე ღირებულების კრიტერიუმი“. 10% წმინდა მიმდინარე ღირებულების კრიტერიუმისთვის, მთლიანი ნაღდი ფულის დარიცხვები (GCA) მოდიფიკაციის თარიღისთვის (თავდაპირველი ფინანსური აქტივის დარჩენილი ფულადი ნაკადების წმინდა მიმდინარე ღირებულების გაანგარიშების გარეშე, რადგან მთლიანი ნაღდი ფულის დარიცხვები მის პირველ მოდიფიკაციამდე უდრის დისკონტირებული დარჩენილი ფულადი ნაკადის მიმდინარე ღირებულებას) შედარებულია შეცვლილი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებასთან, რომელიც დისკონტირდება საოპერაციო ხარჯების საოპერაციო მოგებასთან თანაფარდობით (OEIR).

**ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები**

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული, გარდა (i) მოგებაში ან ზარალში ასახული სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა: ეს კლასიფიკაცია ვრცელდება წარმოებულებზე, სავაჭროდ განკუთვნილ ფინანსურ ვალდებულებებზე (მაგ.: მოკლე პოზიციები ფასიან ქაღალდებში), შემძენის მიერ აღიარებულ პირობით თანხაზე ბიზნეს კომბინაციაში და სხვა ფინანსურ ვალდებულებებზე, რომლებიც ასეთად აღიარდება თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური გარანტიების ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

**ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა**

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება, როცა ისინი ამოიწურება (ანუ, როცა ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ვალდებულება მოიხსნება, გაუქმდება ან ვადა გაუვა).

ჯგუფსა და ბანკს და ჯგუფის  თავდაპირველ კრედიტორებს შორის არსებითად განსხვავებული პირობების მქონე სავალო ინსტრუმენტების ურთიერთგაცვლა, ასევე არსებული ფინანსური ვალდებულებების ვადების და პირობების არსებითი ცვლილებები აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების ამოწურვა და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარება. პირობები არსებითად განსხვავდება, თუ ახალი პირობებით, ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულება, მათ შორის გადახდილი საკომისიოები (მიღებული და თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული საკომისიოების გამოკლებით), სულ მცირე 10%-ით განსხვავდება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების დარჩენილი ფულადი ნაკადების დისკონტირებული მიმდინარე ღირებულებისგან.  თუ ვალის ინსტრუმენტების გაცვლა ან პირობების ცვლილება მიჩნეულია ვალის განულებად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან გადასახადი აღიარებულია ვალის განულებიდან მიღებულ მოგებასა ან ზარალში.  თუ გაცვლა ან ცვლილება არ არის მიჩნეული ვალის განულებად, ნებისმიერი გაწეული ხარჯი ან გადასახადი აკორექტირებს ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და ამორტიზირებულია შეცვლილი ვალდებულების ნარჩენი მოხმარების ვადის განმავლობაში.

ვალდებულებების ცვლილება, რომელიც ამოწურვით არ სრულდება, აღირიცხება როგორც შეფასების ცვლილება, ამორტიზაციის უკანა თარიღით დარიცხვის კუმულაციური მეთოდის გამოყენებით, ხოლო შესაბამისი ამონაგები ან ზარალი მოგებაში ან ზარალში აღიარდება, თუ საბალანსო ღირებულებებში განსხვავებების ეკონომიკური არსი მფლობელებთან კაპიტალის ტრანზაქციას არ უკავშირდება.

**ფინანსური ინსტრუმენტები - ურთიერთგაქვითვა**

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაიქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშგებაში, თუ მხარეებს აქვთ სამართლებრივი უფლება და განზრახვა დაარეგულირონ დაავალიანება ურთიერთგაქვითვის გზით, ან მოახდინონ აქტივის რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა ერთდროულად.

**უცხოური ვალუტის კონვერტაცია**

*(ა) სამუშაო და წარდგენის ვალუტა*

საქართველოს ეროვნული ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ამავდროულად წარმოადგენს ბანკის და მისი შვილობილი კომპანიის სამუშაო ვალუტას და ვალუტას, რომელშიც წარმოდგენილია წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება. ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, ბანკის საქმიანობის ვალუტაა ქართული ლარი, რომელიც ასახავს ჯგუფის და ბანკის საქმიანობასთან დაკავშირებული მოვლენებისა და გარემოებების ეკონომიკურ არსს. ქართული ლარი საქართველოს ფარგლებს გარეთ არ კონვერტირდება.

ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ათასამდე, გარდა სხვაგვარად მითითებული შემთხვევებისა.

*(ბ) ტრანზაქციები და ნაშთები*

სავალუტო ტრანზაქციების კონვერტირება სამუშაო ვალუტაში ხდება ტრანზაქციების თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსის გამოყენებით. საკურსო ცვლილებით გამოწვეული ამონაგები და ზარალი მსგავსი ტრანზაქციების განხორციელებისას და წლის ბოლოს უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გაცვლითი კურსის მიხედვით გადაყვანის შედეგად, აღირიცხება მოგებაში ან ზარალში.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები კონვერტირებულია საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული თარიღის დახურვის კურსით. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ამონაგები ან ზარალი ფულად მუხლებზე წარმოადგენს პერიოდის დასაწყისში არსებული საპროცენტო განაკვეთით და პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდებით დაკორექტირებული, მოქმედი ვალუტის ამორტიზირებადი ღირებულებისა და პერიოდის ბოლოს არსებული, შესაბამისი გაცვლითი კურსით დაკორექტირებული, უცხოურ ვალუტაში გამოსახული ამორტიზირებადი ღირებულების სხვაობას.

უცხოურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი ერთეულების კონვერტაცია ხორციელდება სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ისტორიული ღირებულებით შეფასებული არაფულადი მუხლები კონვერტირდება თავდაპირველი აღიარების თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით.

კონვერტაციის დროს წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება მოგებაში ან ზარალში. თუმცა, შემდეგი ერთეულების კონვერტაციისას წარმოშობილი საკურსო სხვაობები აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში:

- სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით შეფასებულ წილობრივ ფასიან ქაღალდებში ინვესტიციები (გარდა გაუფასურებაზე, რა შემთხვევაშიც საკურსო სხვაობები რომლებიც აღიარებული იყო სხვა სრულ შემოსავალში კლასიფიცირდება მოგებაში ან ზარალში).

საანგარიშგებო გაცვლითი კურსები და ფინანსური მდგომარეობის, მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში გამოყენებული პერიოდის საშუალო გაცვლითი კურსები ჩამოთვლილია 27-ე შენიშვნაში.

**ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები**

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წარმოადგენს ერთეულებს, რომლებიც თავისუფლად კონვერტირდება ცნობილ ფულად თანხებად და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, საქართველოს ეროვნული ბანკისგან მისაღებ თანხებს, სავალდებულო რეზერვების გარდა, და ბანკთაშორის განთავსებებს და ბანკთაშორის მოთხოვნებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვეზე ნაკლებია. თანხები, რომლებიც დაბლოკილია სამ თვეზე მეტი ხნით, ამოღებულია კატეგორიიდან „ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები“. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ამორტიზირებული ღირებულებით აღირიცხება, რადგან: (i) ისინი სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შესაგროვებლად არის განკუთვნილი და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდებს; და (ii) ისინი არ არის სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული.

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი გადახდები ან თანხის მიღებები წარმოადგენს ჯგუფის და ბანკის ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების გადაცემებს, ჯგუფის და ბანკის კონტრაგენტების მიერ, ჯგუფში და ბანკში ფლობილ მიმდინარე ანგარიშებზე დარიცხული ან დაკრედიტებული ოდენობების ჩათვლით, მაგალითად სასესხო საპროცენტო შემოსავალი ან ძირი თანხა შეგროვებული კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე დარიცხვით ან პროცენტის გადახდებით ან კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე დაკრედიტებული სესხების გაცემით, რომლებიც, კლიენტის თვალსაზრისით, ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს წარმოადგენს.

**სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტები საქართველოს ეროვნულ ბანკში (სებ)**

სებ-ში განთავსებული სავალდებულო ფულადი სახსრების რეზერვი ამორტიზირებული ღირებულებით აღირიცხება და მათი გამოყენება არ შეიძლება ჯგუფის და ბანკის ყოველდღიური საქმიანობის დაფინანსებისთვის. ამიტომ, ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგების მიზნებისთვის, ეს სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტები არ ითვლება ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების შემადგენელ ნაწილად.

**მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ**

მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ მოიცავს ბანკებში განთავსებულ თანხებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვეს აღემატება. მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ აღირიცხება, როდესაც ჯგუფი და ბანკი ფულს კონტრაგენტთა ბანკებში ავანსის სახით გადარიცხავს. მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, როდესაც: (i) მათი დანიშნულება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვებაა და ეს ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდებს; და (ii) ისინი არ არის გამიზნული როგორც სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული. სხვა შემთხვევაში, მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით.

**დასაკუთრებული უზრუნველყოფა**

დასაკუთრებული უზრუნველყოფა წარმოადგენს ჯგუფის და ბანკის მიერ ვადაგადაცილებული სესხების ამოსაღებად მოპოვებულ ფინანსურ და არაფინანსურ აქტივებს. ჯგუფი და ბანკი აღიარებენ დასაკუთრებულ აქტივებს ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშგებაში, როცა მათ ექნებათ სრული და საბოლოო უფლება უზრუნველყოფის რეალიზაციაზე და მისი რეალიზაციიდან მიღებული ზედმეტი თანხის შენარჩუნებაზე.

თავდაპირველი აღიარებისას დასაკუთრებული აქტივები ფასდება თვითღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას (სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით) შორის უმცირესით და აისახება შენობა-ნაგებობების,

სხვა ფინანსური აქტივების და სასაქონლო მატერიალური მარაგების კატეგორიაში სხვა აქტივების შემადგენლობაში, რაც დამოკიდებულია აღნიშნული აქტივების მახასიათებლებსა და ჯგუფის და ბანკის განზრახვაზე ამ აქტივების ამოღებასთან დაკავშირებით. ეს აქტივები შემდგომში გადაფასდება და აღირიცხება ამ კატეგორიის აქტივებისთვის შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკის თანახმად.

დასაკუთრებული აქტივების საბალანსო ღირებულება ფასდება ვადაგადაცილებული სესხის საბალანსო ღირებულების საფუძველზე, უზრუნველყოფის რეალიზაციის პროცესში გაწეული ხარჯების ჩათვლით. სამართლიანი ღირებულება, სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, წარმოადგენს უზრუნველყოფის სავარაუდო სარეალიზაციო ღირებულებას ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შესაბამისი სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით.

**ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში**

ბიზნესმოდელიდან და ფულადი ნაკადების მახასიათებლებიდან გამომდინარე, ჯგუფი და ბანკი სავალო ფასიან ქაღალდებში ჩადებული ინვესტიციების კლასიფიცირებას ახდენენ როგორც ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული, ისინი თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით დამატებული ზრდადი გარიგების ხარჯები, და შემდგომ მათი ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებთ. სავალო ფასიანი ქაღალდები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, თუ მათი დანიშნულება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების შეგროვებაა და როდესაც ეს ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდებს წარმოადგენს, და თუ ისინი ნებაყოფლობით არ არის სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებული, სააღრიცხვო შეუსაბამობის მნიშვნელოვნად შემცირების მიზნით.

ჯგუფი და ბანკი მიიჩნევს რომ საინვესტიციო ფასიან ქაღალდებს აქვთ დაბალი საკრედიტო რისკი. თუ სავალო ფასიან ქაღალდს ფასს 9-ის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის აქვს დაბალი საკრედიტო რისკი, მაშინ ჯგუფი მიიჩნევს, რომ საკრედიტო რისკი აქტივზე არსებითად არ გაზრდილა მისი თავდაპირველი აღიარების შემდეგ.

ჯგუფი და ბანკი აფასებს ზარალის რეზერვებს 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლი ოდენობით. 1-ელი დონის საკრედიტო საშუალებებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება 12-თვიანი „დეფოლტის ალბათობის“, „ზარალი დეფოლტის შემთხვევაში“ და „დეფოლტს დაქვემდებარებულ თანხებზე“ გადამრავლებით.

„დეფოლტის ალბათობის“ მიზნებისთვის, კონტრაგენტებისთვის (ფინანსური ინსტიტუტები, სუვერენიტეტები) და ქვეყნებისთვის Moody-ის მიერ მოწოდებული სარეიტინგო ინფორმაცია გამოიყენება. რადგან ემპირიული დეფოლტ განაკვეთები არ არის ხელმისაწვდომი ყველა რეიტინგის კლასებისთვის, კლასებისთვის ემპირიული ინფორმაციის გარეშე ხდება დეფოლტის ალბათობების წრფივი ინტერპოლაცია შემდეგი ხელმისაწვდომი ემპირიული განაკვეთებიდან (განხილული კლასის მაღლა ან დაბლა არსებული). ფინანსური ინსტიტუტებისთვის, Moody-ის მიერ გამოქვეყნებული, თითოეული ქვეყნის დონეზე „ზარალი დეფოლტის შემთხვევაში“ არის გამოყენებული.

<u>ზარალის რეზერვის გამოთავისუფლება</u>

საკრედიტო რისკის შემცირების შემთხვევაში, უკვე აღიარებული ზარალის რეზერვი შესაბამისად შემცირდება.

<u>ჩამოწერები, აღდგენები და პირდაპირი ჩამოწერები</u>

როდესაც სესხის ამოღება შეუძლებელია, ის ჩამოიწერება სესხზე შესაძლო დანაკარგებისთვის გამოყოფილი შესაბამისი ზარალის რეზერვის ხარჯზე. სესხები ჩამოიწერება მას შემდეგ, რაც ყველა აუცილებელი

პროცედურა შესრულდება და ზარალის ოდენობა განისაზღვრება. ადრე ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება აღიარებულია მოგების ან ზარალის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშგებაში „სესხებზე აღიარებული გაუფასურების ზარალის აღდგენა/(დარიცხვა)“ კატეგორიაში. თუ სესხის ამოღება შეუძლებელია და ზარალის რეზერვები არ არის გამოყოფილი, მაშინ სესხის მთლიანი ოდენობა აღირიცხება როგორც პირდაპირ ჩამოწერილი.

არა-არსებითი მოდიფიკაცია

არა-არსებითი მოდიფიკაცია არის ცვლილება, რომელიც არ იწვევს თავდაპირველი აქტივის აღიარების შეწყვეტას. გავლენის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, როგორც ცვლილების ამონაგები ან ცვლილების ზარალი. ცვლილების ამონაგები ან ზარალი გამოითვლება როგორც თავდაპირველ მთლიან საბალანსო ღირებულებასა და თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებული მოდიფიცირებული სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობა.

**ძირითადი საშუალებები**

ყველა ძირითადი საშუალება მოცემულია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი. ისტორიული ღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ამ ერთეულების შეძენას. აქტივის შემადგენელი ნაწილების ცალკე აღიარება ხდება მაშინ, თუ მათ სხვადასხვა სასარგებლო მომსახურების ვადები აქვთ და სხვადასხვა ფორმით მოაქვთ სარგებელი საწარმოსთვის.

შემდგომი ხარჯები აქტივის საბალანსო ღირებულებაში არის შეტანილი ან აღიარებულია, როგორც ცალკე აქტივი (შესაბამისობის შემთხვევაში) მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იმის ალბათობა, რომ ჯგუფი და ბანკი მომავალში მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ ეკონომიკურ სარგებელს და ამ აქტივის თვითღირებულების შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელი. ყველა სხვა შეკეთების/ტექნიკური მხარდაჭერის და მოვლის ხარჯები აისახება იმ ფინანსური პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როცა მოხდა ამ ხარჯების გაწევა.

მიწა და მშენებარე აქტივები ცვეთას არ ექვემდებარება. აქტივების სხვა ძირითადი კატეგორიების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით, რითაც მათი ღირებულება ნაწილდება ნარჩენ ღირებულებამდე მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში, შემდეგნაირად:

- შენობა-ნაგებობები 2-3%
- კაპიტალური ხარჯები და სხვა დარჩენილი ძირითადი საშუალებები 3-10%
- ავეჯი და მოწყობილობები 20-25%
- IT და სხვა აღჭურვილობა 20-25%

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაიხედება და საჭიროებისამებრ კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის.

გასხვისების შედეგად მიღებული ამონაგები და ზარალი განისაზღვრება შემოსავლების საბალანსო ღირებულებასთან შედარების გზით და აისახება მოგების ან ზარალის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშგებაში.

**საინვესტიციო ქონება**

საინვესტიციო ქონება არის ქონება, რომელიც გამოიყენება საიჯარო შემოსავლის მიღების ან/და კაპიტალის აფასების (ან ორივე) მიზნით. საინვესტიციო ქონება მოიცავს ქონებას, რომლის სამომავლო დანიშნულება ჯერჯერობით დაუდგენელია. საინვესტიციო ქონება თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით, გარიგების ხარჯების ჩათვლით. საბალანსო ღირებულება მოიცავს აქტივის ნაწილის გამოცვლასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, თუკი ეს დანახარჯები აქტივად აღიარების კრიტერიუმს აკმაყოფილებენ, მაგრამ

არ მოიცავს საინვესტიციო ქონების ყოველდღიური მომსახურების და მიმდინარე შეკეთების დანახარჯებს. თავდაპირველი აღიარების შემდგომ საინვესტიციო ქონება აღირიცხება მისი თვითღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების გამოკლებით.

საინვესტიციო ქონების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვისთანავე (გასხვისებისთანავე) ან როცა მისი გამოყენების შეწყვეტისას ან გაყიდვის შედეგად მომავალი ეკონომიკური სარგებელის მიღება მოსალოდნელი აღარ არის. აქტივის აღიარების შეწყვეტით ან გასვლით მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ წლის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც აქტივის აღიარების შეწყვეტას ან გაყიდვას ჰქონდა ადგილი.

საინვესტიციო ქონებაში გადატანა ხორციელდება მხოლოდ მაშინ, როცა იცვლება ქონების დანიშნულება, რაც დასტურდება იმით, რომ ქონება არ არის დაკავებული მისი მფლობელის მიერ ან გადაცემულია მეორე მხარისთვის ლიზინგის უფლებით. საინვესტიციო ქონებიდან გადატანა ხორციელდება მხოლოდ მაშინ, როცა იცვლება ქონების დანიშნულება, რაც დასტურდება იმით, რომ ქონება დაკავებულია მისი მფლობელის მიერ ან დაწყებულია მისი კეთილმოწყობა გაყიდვის მიზნით.

**არამატერიალური აქტივები**

შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიების კაპიტალიზაცია ხდება კონკრეტული პროგრამის შეძენისა და ექსპლუატაციაში გაშვებისთვის გაწეული ხარჯების მიხედვით. შეძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, აკუმულირებული ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ამორტიზაცია აღიარდება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით არამატერიალური აქტივების მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. პროგრამული უზრუნველყოფის ექსპლუატაციის სავარაუდო ვადა ხუთი-რვა წელია.

**არაფინანსური აქტივების გაუფასურება**

არაფინანსური აქტივები ფასდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის გაუფასურების ნიშნების არსებობაზე. არაფინანსური აქტივების აღდგენადი ღირებულება მათი სამართლიან ღირებულებასა (გაყიდვის ხარჯების გამოკლებით) და გამოყენებით ღირებულებას შორის უდიდესს წარმოადგენს. გამოყენებითი ღირებულების შეფასებისას, მომავალში მისაღები სავარაუდო ფულადი ნაკადები დისკონტირდება მათ მიმდინარე ღირებულებაზე (გადასახადების გადახდამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით), რაც ასახავს ბაზრის მიმდინარე შეფასებას ფულის ღირებულებისა დროში და ამ აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. იმ აქტივის აღდგენადი ღირებულება, რომელიც არ ახდენს ისეთი ფულადი ნაკადების გენერირებას, რომლებიც დიდწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებისგან მიღებული ფულადი ნაკადებისგან, განისაზღვრება ფულადი ნაკადების წარმომქმნელი იმ ერთეულისათვის, რომელსაც აღნიშნული აქტივი მიეკუთვნება. გაუფასურების ზარალი აღიარდება, როდესაც აქტივის ან მისი ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება აღემატება მის აღდგენად ღირებულებას.

არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული ყველა გაუფასურების ზარალი აღიარდება კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ მოგებაში ან ზარალში, ხოლო მისი აღდგენა ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს ცვლილებას აღდგენადი ღირებულების გამოთვლებში. გაუფასურების ზარალი აღდგენილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება იმ საბალანსო ღირებულებას, რაც იქნებოდა განსაზღვრული (ცვეთის ან ამორტიზაციის გამოკლებით) გაუფასურების ზარალის არ არსებობის შემთხვევაში.

**მოგების გადასახადი**

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე და გადავადებულ გადასახადებს. მოგების გადასახადები აღიარდება მოგებაში ან ზარალში გარდა შემთხვევისა, როდესაც ის უკავშირდება პირდაპირ კაპიტალში ან სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ ერთეულებს.

მიმდინარე გადასახადის ხარჯი არის აღნიშნული წლის დასაბეგრი მოგების საფუძველზე წარმოქმნილი მოსალოდნელი საგადასახადო ვალდებულება, იმ საგადასახადო განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია ან არსებითად ამოქმედებულია ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის. მიმდინარე გადასახადის ხარჯი ასევე მოიცავს წინა წლების საგადასახადო ვალდებულების ნებისმიერ კორექტირებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ასევე მოიცავს დივიდენდებიდან წარმოშობილ ნებისმიერ საგადასახადო ვალდებულებას.

2023 წლის 1 იანვრიდან, საქართველოს ფინანსური სექტორის კომპანიებზე მოგების გადასახადი 20 პროცენტით განისაზღვრა და ბანკებისა და სხვა სუბიექტების დაბეგვრა ესტონურ საგადასახადო მოდელზე აღარ გადავა.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი სისტემა არ გულისხმობს მოგების გადასახადისგან (CIT) გათავისუფლებას, ეს უკანასკნელი გადმოდის მოგების გამომუშავების მომენტიდან მათი განაწილების მომენტამდე: ე.ი. ძირითად დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს განაწილებულ მოგებას (DE), როგორც აქციონერებზე დივიდენდების სახით გაცემულ მოგებას. თუმცა, ზოგიერთი სხვა ოპერაციაც მიიჩნევა განაწილებულ მოგებად, მაგალითად არასაბაზრო ტრანსსასაზღვრო ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან და/ან გადასახადისგან გათავისუფლებულ პირებთან, რომლებიც ასევე ითვლებიან განაწილებული მოგების მიმღებებად მოგების გადასახადის მიზნებისთვის. ამასთან საგადასახადო ობიექტი მოიცავს ხარჯებს და სხვა ვალდებულებებს, რომლებიც არ უკავშირდება საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობებს, უფასო მიწოდებები და ზღვარს გადაცდენილი წარმომადგენლობითი ხარჯები.

**გადავადებული გადასახადი**

გადავადებული გადასახადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებს შორის დროებითი სხვაობებისთვის არის გამიზნული, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის და დაბეგვრის მიზნებისთვის გამოყენებული ოდენობებისთვის. შემდეგი სახის დროებითი სხვაობები არ წარმოიშვება: საგადასახადო მიზნებისათვის არა-გამოქვითვადი გუდვილის შემთხვევაში, აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარების შემთხვევაში, რომლებიც გავლენას არ ახდენენ არც დასაბეგრ და არც სააღრიცხვო მოგებაზე, ასევე დროებითი სხვაობები, რომლებიც უკავშირდებიან ინვესტიციებს შვილობილ კომპანიებში, ფილიალებში და მეკავშირე კომპანიებში, სადაც მშობელ კომპანიას შეუძლია გააკონტროლოს დროებითი სხვაობის აღდგენის ვადები და მოსალოდნელია, რომ დროებითი სხვაობა ახლო მომავალში არ აღდგება.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღირიცხება მხოლოდ იმ მოცულობით, რამდენადაც მოსალოდნელია, რომ დასაბეგრი მოგება ხელმისაწვდომი იქნება, რის საპირწონედაც გამოქვითვადი დროებითი სხვაობების გამოყენება იქნება შესაძლებელი. გადავადებული საგადასახადო აქტივები გადაიხედება თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის და მცირდება იმ ზომით, რომ დაკავშირებული საგადასახადო სარგებლის რეალიზება მოსალოდნელი აღარ იქნება. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები საგადასახადო განაკვეთებით ფასდება, რომლებიც სავარაუდოდ გავრცელდება აქტივის რეალიზაციის ან ვალდებულების დაფარვის პერიოდისთვის.

**ვალდებულებები ბანკებისა და კლიენტების მიმართ და სხვა ნასესხები სახსრები**

ვალდებულებები ბანკებისა და კლიენტების მიმართ და სხვა ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, გამოკლებული გაწეული გარიგების ხარჯები. შემდგომში ნასესხები სახსრები

წარმოდგენილია ამორტიზირებული ღირებულებით; ნებისმიერი სხვაობა შემოსავლებსა (გამოკლებული გარიგების ხარჯები) და გამოსასყიდ ღირებულებას შორის აისახება მოგებაში ან ზარალში სესხის ვადის განმავლობაში, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

**ანარიცხები**

ანარიცხების აღიარება ხდება, თუ:

- არსებობს წარსული მოვლენებით განპირობებული მიმდინარე სამართლებრივი, ან კონსტრუქციული ვალდებულება;
- არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ სახსრების გადინება გახდება საჭირო ვალდებულების შესასრულებლად;
- და შესაძლებელია აღნიშნული თანხის საიმედოდ შეფასება.

თუ არსებობს რამდენიმე მსგავსი ვალდებულება, იმის ალბათობა, რომ მის შესასრულებლად საჭირო გახდება სახსრების გადინება, განისაზღვრება ვალდებულებების მთლიანი კატეგორიის გათვალისწინებით.

ანარიცხები, რომელთათვისაც სახსრების გადინების დრო ცნობილია, ფასდება დანახარჯების მიმდინარე ღირებულებით, თუ გადინება ერთ წელზე ადრე არ მოხდება. ვალდებულების მიმდინარე ღირებულების ზრდა დროის გასვლის გამო აღიარდება როგორც საპროცენტო ხარჯი.

**საკრედიტო ვალდებულებები**

ამ ინსტრუმენტების ძირითადი მიზანია კლიენტისთვის საჭირო ფულადი სახსრების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. გარანტიებსა და სარეზერვო აკრედიტივებს, რომლებიც შეუქცევადი გარანტიაა იმისა, რომ ჯგუფი და ბანკი გადახდებს განახორციელებენ კლიენტის მხრიდან მესამე მხარეების მიმართ ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, იგივე საკრედიტო რისკები გააჩნიათ, როგორც სესხებს. დოკუმენტური და კომერციული აკრედიტივები, რომლებიც კლიენტის სახელით ჯგუფის და ბანკის მიერ აღებულ წერილობით ვალდებულებებს წარმოადგენს, რომლითაც მესამე მხარეს უფლებამოსილება ენიჭება ჯგუფის და ბანკის მიმართ მოთხოვნები დააყენოს კონკრეტული პირობებით გათვალისწინებული თანხის ფარგლებში, უზრუნველყოფილია საქონლის იმ პარტიებით, რომელსაც ეს დოკუმენტური და კომერციული აკრედიტივები უკავშირდება, ან ფულადი შენატანებით, და ამიტომ, ნაკლები რისკის მატარებლები არიან, ვიდრე პირდაპირი სესხები.

კრედიტის გაცემაზე ვალდებულებები მოიცავს იმ თანხების გამოუყენებელ ნაწილს, რომელიც დამტკიცდა სესხების, გარანტიებისა თუ აკრედიტივების სახით კრედიტის გასაცემად. რაც შეეხება კრედიტის გაცემის ვალდებულებებთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკებს, ჯგუფი და ბანკი პოტენციურად დგას გამოუყენებელი ვალდებულებების ეკვივალენტური ოდენობის ზარალის წარმოქმნის რისკის წინაშე, თუ ადგილი ექნება გამოუყენებელი თანხების გამოყენებას. თუმცა, ზარალის სავარაუდო მოცულობა მთლიან გამოუყენებელ ვალდებულებებზე ნაკლებია, რადგან კრედიტის გაცემის ვალდებულებების უმრავლესობა დამოკიდებულია კლიენტების მხრიდან კონკრეტული საკრედიტო სტანდარტების გათვალისწინებაზე.

**სუბორდინირებული სესხი**

სუბორდინირებული სესხი ძირითადად მოიცავს აქციონერის მიმართ ვალდებულებებს, რომლებიც არ დაიფარება გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში მანამ, სანამ ყველა არასუბორდინირებული კრედიტორი არ დაკმაყოფილდება. ვადამდელი გადახდის ვალდებულება არ არსებობს.

სამართლიანი ღირებულებით თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სუბორდინირებული სესხის აღიარება

ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. პრემიები და დისკონტები აღირიცხება შესაბამისი პერიოდების მოგებაში ან ზარალში „საპროცენტო ხარჯის“ ფარგლებში.

**სააქციო კაპიტალი და საემისიო კაპიტალი**

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება კაპიტალის სახით. მზარდი ხარჯები პირდაპირ უკავშირდება ჩვეულებრივი აქციების და სააქციო ოპციონების გამოშვებას და აღიარდება როგორც გამოქვითვა კაპიტალიდან, ნებისმიერი საგადასახადო გავლენის გამოკლებით. სააქციო კაპიტალის გაზრდის შემთხვევაში, ნებისმიერი სხვაობა რეგისტრირებულ სააქციო კაპიტალის თანხასა და ფაქტობრივად მიღებულ ანაზღაურებას შორის აღიარებულია საემისიო კაპიტალის სახით.

**დივიდენდები**

ჩვეულებრივ აქციებზე დივიდენდების აღიარება ხდება როგორც კაპიტალიდან გაცემული თანხები იმ პერიოდში, როდესაც ისინი ჯგუფის აქციონერების მიერ დამტკიცდა.

**საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი**

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღირიცხება ყველა სავალო ინსტრუმენტისთვის, გარდა მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული ინსტრუმენტებისა, დარიცხვის საფუძველზე და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. საპროცენტო შემოსავლის და ხარჯის ნაწილის სახით, ამ მეთოდით გადავადდება მხარეთა შორის ხელშეკრულების საფუძველზე გადახდილი ან მიღებული ყველა საკომისიო, რომელიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია, გარიგების ხარჯები და ყველა სხვა პრემია და დისკონტი. ჯგუფს და ბანკს არ აქვს მოგებაში ან ზარალში ასახული სამართლიანი ღირებულებით შეფასებული სავალო ინსტრუმენტებიდან საპროცენტო შემოსავალი, რომელიც გამოითვლება 2023 წლის ნომინალური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით.

ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე მიბმული საკომისიოები მოიცავს სესხის გაცემის საკომისიოებს, რომლებიც ორგანიზაციამ მიიღო ან გადაიხადა ფინანსური აქტივის შექმნასთან ან შესყიდვასთან ან ფინანსური ვალდებულების ემისიასთან დაკავშირებით, მაგალითად, ასეთია გადახდისუნარიანობის შეფასების საკომისიო, გარანტიების ან უზრუნველყოფის შეფასების და აღრიცხვის საკომისიო, ინსტრუმენტის პირობებზე მოლაპარაკების და გარიგების დოკუმენტების დამუშავების საკომისიო. ჯგუფის და ბანკის მიერ საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით გაცემულ სესხებზე მიღებული სახელშეკრულებო ვალდებულების საკომისიოები ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია, თუ არსებობს იმის ალბათობა, რომ ჯგუფი და ბანკი კონკრეტულ სესხის ხელშეკრულებას გააფორმებს და არ მოელის ამ სესხის გაყიდვას მისი წარმოშობიდან მოკლე პერიოდში. ჯგუფი და ბანკი სასესხო ვალდებულებებს მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ ვალდებულებებად არ მიიჩნევს.

საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ფინანსური აქტივების მთლიან საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. აღნიშნული არ ვრცელდება იმ ფინანსურ აქტივებზე, (i) რომლებიც საკრედიტო რისკით გაუფასურდა (მე-3 ეტაპი) და რომლებზეც საპროცენტო შემოსავალი გამოითვლება ამორტიზირებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოკლებით; და (ii) რომლებიც შესყიდულია ან შექმნილია საკრედიტო რისკით გაუფასურებული და რომელთა შემთხვევაშიც ამორტიზირებულ ღირებულებაზე საწყისი საკრედიტო რისკით კორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ვრცელდება.

**საკომისიო შემოსავალი და ხარჯი**

როგორც წესი, საკომისიო შემოსავლისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით კონკრეტული გარიგების დასრულების გათვალისწინებით, რაც ფასდება მომსახურების საერთო მოცულობაში ფაქტიურად მიწოდებული მომსახურების წილის მიხედვით.

გადარიცხვების, ფულადი ტრანზაქციებისა და სადებეტო/საკრედიტო ბარათის გაცემის საკომისიო, რომელიც მიღებულია ძირითადი ტრანზაქციის შესრულებიდან, აღირიცხება ტრანზაქციის დასრულებისთანავე. ანგარიშის მომსახურების, ინტერნეტ ბანკის და ესემეს მომსახურების საკომისიოს აღიარება ხდება შესაბამისი მომსახურების კონტრაქტის საფუძველზე, როგორც წესი, დროის პროპორციულად.

სასესხო ვალდებულების საკომისიო იმ სესხებზე, რომლებიც სავარაუდოდ გამოყენებულ იქნება, გადავადებულია (შესაბამის პირდაპირ ხარჯებთან ერთად) და აღიარდება როგორც სესხის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის კორექტირება. სინდიცირებული სესხების საკომისიო აისახება შემოსავლის სახით, თუ სინდიცირების ოპერაცია დასრულდება და ჯგუფი და ბანკი არ შეინარჩუნებს სასესხო პორტფელის ნაწილს, ან შეინარჩუნებს პაკეტის ნაწილს იგივე ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, როგორც ტრანზაქციის სხვა მონაწილეები.

**იჯარები**

ხელშეკრულების დადებისას, ჯგუფი განსაზღვრავს არის თუ არა ან მოიცავს თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება იჯარას. ხელშეკრულება არის ან შეიცავს იჯარას თუ ის გადასცემს კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას დროის გარკვეული პერიოდით გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ.

**როგორც მოიჯარე**

ჯგუფი და ბანკი აღიარებენ აქტივს გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებას იჯარის დაწყების თარიღისთვის. აქტივი გამოყენების უფლებით თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ ოდენობას კორექტირებულს ნებისმიერი საიჯარო გადახდებით, რომლებიც დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელდა, დამატებული ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირ გაწეული ხარჯები და აქტივის დაშლის და ნებისმიერი ჩატარებული გაუმჯობესებების მოხსნის ხარჯები.

შემდგომ ხდება "აქტივის გამოყენების უფლებით" ცვეთა წრფივი მეთოდის გამოყენებით იჯარის დაწყების თარიღიდან იჯარის ვადის დასრულებამდე. ამასთანავე, „აქტივი გამოყენების უფლებით“ პერიოდულად შემცირებულია გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და კორექტირდება საიჯარო ვალდებულების კონკრეტული გადაფასებებით.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად ფასდება იმ მინიმალური საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რომლებიც არ არის გადახდილი დაწყების თარიღისათვის, დისკონტირებულია იჯარაში ჩართული საპროცენტო განაკვეთით ან, თუ აღნიშნული განაკვეთის განსაზღვრა დროულად ვერ ხერხდება, ჯგუფის/ბანკის მზარდი სასესხო განაკვეთით. ზოგადად, დისკონტირების განაკვეთად გამოიყენება მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთი.

საიჯარო ვალდებულების შეფასებაში შეტანილი საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს, მათ შორის „არსებით“ ფიქსირებულ გადახდებს.

საიჯარო ვალდებულება ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის

გამოყენებით. ის გადაფასდება როდესაც იცვლება მომავალი საიჯარო გადახდები, ან როდესაც იცვლება იმის შეფასება, გამოიყენებს თუ არა ბანკი იჯარის გაგრძელების ან ვადამდე შეწყვეტის უფლებას. ხდება აქტივი გამოყენების უფლებით საბალანსო ღირებულების შესაბამისი კორექტირება, ან ოდენობა აღრიცხულია მოგებაში ან ზარალში თუ აქტივი გამოყენების უფლებით საბალანსო ღირებულება შემცირებულია ნულამდე.

ბანკი აქტივებს გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებებს ასახავს ცალკე ერთეულის სახით მისი ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშგებაში.

ბანკმა აირჩია არ აღიაროს „აქტივები გამოყენების უფლებით“ და საიჯარო ვალდებულებები დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებზე და მოკლევადიან იჯარებზე. ბანკი აღნიშნულ იჯარებთან დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯის სახით, წრფივი მეთოდით იჯარის ვადის მანძილზე.

## 4. შეფასებებისა და მსჯელობების გამოყენება

ფასს-თან შესაბამისი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობისგან მოითხოვს მსჯელობებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ სააღრიცხვო პოლიტიკაზე და წარმოდგენილი აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების ოდენობაზე. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

სააღრიცხვო შეფასებების და ძირითადი დაშვებების გადახედვა მუდმივად ხორციელდება. სააღრიცხვო შეფასებების გადახედვის შედეგად გამოწვეული ცვლილებები, აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გადახედვა და ნებისმიერ შემდგომ პერიოდში, რომელზედაც მათ ექნებათ გავლენა.

**მსჯელობები**

ინფორმაცია იმ სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენებასთან დაკავშირებული კრიტიკული მსჯელობების შესახებ, რომლებსაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, განსაზღვრულია შემდეგ მსჯელობებში:

- **ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია:** იმ ბიზნესმოდელის შეფასება, რომლის ფარგლებშიც არის ფლობილი აქტივები და შეფასება იმისა წარმოადგენს თუ არა ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები მხოლოდ ძირი თანხისა და დაუფარავ ძირ თანხაზე დარიცხული პროცენტის გადახდებს.
- **ფინანსური აქტივების ცვლილება:** როდესაც ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობები იცვლება (ანუ ხდება ხელახალი მოლაპარაკებები), ჯგუფი და ბანკი აფასებს არის თუ არა ცვლილება არსებითი და გამოიწვევს თუ არა თავდაპირველი აქტივის აღიარების შეწყვეტას და ახალი აქტივის სამართლიანი ღირებულებით აღიარებას. აღნიშნული შეფასება ძირითადად, ხარისხობრივ ფაქტორებზე არის დაფუძნებული, რომლებიც შესაბამის სააღრიცხვო პოლიტიკაში არის აღწერილი და მოითხოვს არსებით მსჯელობას. კერძოდ, ჯგუფი და ბანკი იყენებენ მსჯელობას იმის გადაწყვეტისას უნდა იქნას თუ არა კრედიტით გაუფასურებული შეცვლილი სესხების აღიარება შეწყვეტილი და უნდა იყოს თუ არა ახალი აღიარებული სესხები აღიარებული როგორც კრედიტით გაუფასურებული მათი თავდაპირველი აღიარებისას. აღიარების შეწყვეტის შეფასება დამოკიდებულია იმაზე, იცვლება თუ არა რისკები და ანაზღაურება (ანუ მოსალოდნელი, და არა სახელშეკრულებო, ფულადი ნაკადების ცვალებადობა) მსგავსი ცვლილებების შედეგად. ხელმძღვანელობამ განსაზღვრა, რომ რისკები და ანაზღაურება არ იცვლება მსგავსი სესხების ცვლილების შედეგად და შესაბამისად ძირითად ყველა მსგავსი ცვლილებების შემთხვევებში, სესხების აღიარება არ შეწყვეტილა და ისინი არ ყოფილა რეკლასიფიცირებული კრედიტით გაუფასურებულის ეტაპს გარეთ.

– მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები (ECL): კრიტერიუმების დადგენა, რომლითაც განისაზღვრება არსებითად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი ფინანსურ აქტივებზე მათი თავდაპირველი აღიარების შემდეგ; მომავალი ტენდენციების გათვალისწინებით ინფორმაციის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში ჩართვის მეთოდოლოგიის განსაზღვრა და მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად გამოყენებული მოდელების შერჩევა და დამტკიცება.

**გაურკვევლობა დაშვებებსა და შეფასებებში**

ინფორმაცია დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებული გაურკვევლობების შესახებ, რომლებიც მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში არსებითი ცვლილებების მნიშვნელოვანი რისკის წინაშე დგანან, განხილულია შემდეგ შენიშვნებში:

– იმ კრიტერიუმების დადგენა, რომლებიც განსაზღვრავს თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა თუ არა საკრედიტო რისკი ფინანსურ აქტივებზე, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში მომავალი ტენდენციების გათვალისწინებით ინფორმაციის შეტანის მეთოდოლოგიის განსაზღვრა და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში გამოყენებული მოდელის შერჩევა და დამტკიცება - შენიშვნა 27(a).

## 5. ახალი სტანდარტები და ინტერპეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

არსებობს რიგი ახალი სტანდარტები რომლებიც 2023 წლის 1 იანვრიდან, და ყოველი მომდევნო წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის, შევიდა ძალაში (ადრეული გამოყენებაც ნებადართულია); თუმცა ჯგუფსა და ბანკს ჯერ არ ჰქონდათ აღნიშნული ახალი ან შეცვლილი სტანდარტები მიღებული წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას.

მოსალოდნელია, რომ ქვემოთ ჩამოთვლილი ახალი და კორექტირებული სტანდარტები არ მოახდენენ მნიშვნელოვან გავლენას ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

*(ა) სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც უკვე მოქმედებს*

- ცვლილებები ბასს 1-ში და ფასს პრაქტიკის დებულება 2-ში: „არსებითობის განსჯა“ უმნიშვნელო გავლენას ახდენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ცვლილებები ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.
- ცვლილებები ბასს 8-ში: „საღრიცხვო შეფასებების განმარტება“ უმნიშვნელო გავლენას ახდენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ცვლილებები ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.
- ცვლილებები ბასს 12-ში: „ერთი ტრანზაქციის შედეგად წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადები“ უმნიშვნელო გავლენას ახდენს გადავადებული გადასახადების შეფასებაზე. ცვლილებები ძალაშია 2023 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.
- ფასს 17 „სადაზღვევო კონტრაქტები“ გავლენას არ მოახდენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. სტანდარტი ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის.

*(ბ) სტანდარტები, ცვლილებები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოქვეყნდა, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული*

- ცვლილებები ბასს 1-ში: „ვალდებულებების მიმდინარე და გრძელვადიან ვალდებულებებად კლასიფიკაცია“ და „გრძელვადიანი ვალდებულებები კოვენანტებით“ უმნიშვნელო გავლენას

ახდენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ცვლილებები ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, ევროკავშირის მხრიდან ჯერ კიდევ მომლოდინე დამტკიცების გათვალისწინებით.

- ცვლილებები ფასს 16-ში: „საიჯარო ვალდებულება გაყიდვის და უკუიჯარის დროს“ უმნიშვნელო გავლენას ახდენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ცვლილებები ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, ევროკავშირის მხრიდან ჯერ კიდევ მომლოდინე დამტკიცების გათვალისწინებით.
- ცვლილებები ბასს 7-სა და ფასს 7-ში: „მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები“ გავლენას არ ახდენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ცვლილებები ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, ევროკავშირის მხრიდან ჯერ კიდევ მომლოდინე დამტკიცების გათვალისწინებით.
- ცვლილებები ბასს 21-ში: „ურთიერთგაცვლის შესაძლებლობის არარსებობა“ გავლენას არ ახდენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ცვლილებები ძალაშია 2025 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის, ევროკავშირის მხრიდან ჯერ კიდევ მომლოდინე დამტკიცების გათვალისწინებით.

სტანდარტების, შესწორებებისა და ინტერპრეტაციების ადრეული მიღება არ მომხდარა.

## 6. ფულადი სახსრები და საქართველოს ეროვნულ ბანკში არსებული ნაშთები

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური**

ფულადი სახსრები და საქართველოს ეროვნულ ბანკში არსებული ნაშთები შემდეგ მუხლებს მოიცავს:

| '000 ლარი | 31 დეკემბერი 2023 | 31 დეკემბერი 2022 |
|---|---|---|
| ნაღდი ფული სალაროში | 40,270 | 36,007 |
| სებ-ში არსებული ნაშთები სავალდებულო რეზერვების გარდა | 76,869 | 67,376 |
| ნოსტრო ანგარიშები სებ-ში გახსნილი ანგარიშების გარდა | 59,532 | 59,213 |
| სებ-ში არსებული ნაშთების და ნოსტრო ანგარიშების ზარალის რეზერვები | (135) | (159) |
| **სულ ფულადი სახსრები და სებ-ში არსებული ნაშთები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში** | **176,536** | **162,437** |

2023 წელს, Fitch Ratings-მა დაადასტურა საქართველოს მთავრობის მოკლევადიანი ემიტენტის დეფოლტ რეიტინგი "B" და გრძელვადიანი ემიტენტის დეფოლტ რეიტინგი "BB" პოზიტიური პროგნოზით.

ქვემოთ ჩამოთვლილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მიჩნეულ იქნა ნაღდ ფულად, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების მიზნებისთვის:

| '000 ლარი | 31 დეკემბერი 2023 | 31 დეკემბერი 2022 |
|---|---|---|
| ფულადი სახსრები და სებ-ში არსებული ნაშთები, წმინდა | 176,536 | 162,437 |
| სხვა ბანკებისგან მისაღები თანხები სამ თვემდე დაფარვის ვადით (შენიშვნა 7) | 106,602 | 84,713 |
| **სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშგებაში** | **283,138** | **247,150** |

საქართველოს ეროვნულ ბანკში არსებული ზემოაღნიშნული ნაშთები არ მოიცავს სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტს, რომელიც არის სებ-ის მარეგულირებელი ნორმების შესაბამისად გამოთვლილი უპროცენტო დეპოზიტი. ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების სავარაუდო სამართლიანი ღირებულება მოცემულია 28-ე შენიშვნაში, ხოლო ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების საპროცენტო განაკვეთის ანალიზი

წარმოდგენილია 27-ე შენიშვნაში. 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფს და ბანკს აქვთ ერთი ბანკი (2022: ერთი ბანკი), რომლის ნაშთი აჭარბებს კაპიტალის 10%-ს. ნაშთის მთლიანი ოდენობა 2023 წლისთვის იყო 46,460 ათასი ლარი (2022: 55,809 ათასი ლარი).

2023 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფი და ბანკი ანაწილებს ფულადი სახსრების ეკვივალენტებს პირველი ეტაპის ფარგლებში, ფასს 9-ის ფარგლებში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოვლენის მიზნებისთვის (2022 წლის 31 იანვარი: ეტაპი 1). საანგარიშგებო თარიღებისთვის, ხელმძღვანელობა აფასებს, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის არა-არსებითი.

## 7. მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური**

| '000 ლარი | 31 დეკემბერი 2023 | 31 დეკემბერი 2022 |
|---|---|---|
| მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ OECD* ქვეყნებში | 48,056 | 49,692 |
| მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ არა OECD ქვეყნებში | 58,549 | 35,022 |
| ზარალის რეზერვი ბანკებზე გაცემულ სესხებზე | (2) | (1) |
| **სულ მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ** | **106,603** | **84,713** |

* ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია

ქვემოთ ცხრილში მოცემულია სხვა ბანკების მიმართ მოთხოვნების საკრედიტო რეიტინგები, Fitch Ratings–ის შეფასების მიხედვით:

| '000 ლარი<br>არა ვადაგადაცილებული და არა გაუფასურებული | AA- | B+ | BB | BB- | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| **31 დეკემბერი 2023** | 48,056 | 20,015 | 38,532 | - | **106,603** |
| **31 დეკემბერი 2022** | 49,692 | - | - | 35,021 | **84,713** |

ბანკების მიმართ არსებული მოთხოვნების თითოეული კლასის სავარაუდო სამართლიანი ღირებულებების სანახავად იხილეთ შენიშვნა 28. საპროცენტო განაკვეთის ანალიზი წარმოდგენილია 27-ე შენიშვნაში. ინფორმაცია დაკავშირებული მხარის ნაშთებზე იხილეთ შენიშვნაში 30.

## 8. ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური**

ქვემოთ მოცემული ციფრები ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებულ, საინვესტიციო ფასიან ქაღალდებს წარმოადგენს:

| '000 ლარი | 31 დეკემბერი 2023 | 31 დეკემბერი 2022 |
|---|---|---|
| სებ-ის სადეპოზიტო სერტიფიკატები | 23,794 | 21,672 |
| საქართველოს მთავრობის მიერ გამოშვებული სახაზინო ვალდებულებები | 90,508 | 60,814 |
| **სულ ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში** | **114,302** | **82,486** |

არცერთი ინვესტიცია სავალო ფასიან ქაღალდებში არ არის ვადაგადაცილებული ან გაუფასურებული. 2023 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფი და ბანკი ანაწილებს მის საინვესტიციო ფასიან ქაღალდებს 1-ელი ეტაპის ფარგლებში, ფასს 9-ის ფარგლებში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოვლენის მიზნით (2022 წლის 31 დეკემბერი: ეტაპი 1). საანგარიშგებო თარიღებისთვის, ხელმძღვანელობა აფასებს, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის არა-არსებითი.

## 9. ინვესტიციები

### ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში

### ინდივიდუალური

ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში (ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული)

ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში საანგარიშგებო თარიღებისთვის იყო შემდეგი:

| შვილობილი კომპანია | რეგისტრაციის ქვეყანა | მფლობელობა 2023 წლის 31 დეკემბერს | ინვესტიცია 2023 წლის 31 დეკემბერს ('000 ლარი) |
|---|---|---|---|
| შპს „პროკრედიტ ფროფერთი“ | საქართველო | 100.00% | 6,100 |

| შვილობილი კომპანია | რეგისტრაციის ქვეყანა | მფლობელობა 2022 წლის 31 დეკემბერს | ინვესტიცია 2022 წლის 31 დეკემბერს ('000 ლარი) |
|---|---|---|---|
| შპს „პროკრედიტ ფროფერთი“ | საქართველო | 100.00% | 6,100 |

შპს „პროკრედიტ ფროფერთი“ სრულად პროკრედიტ ბანკის მიერ ფლობილ შვილობილ კომპანიას წარმოადგენს, რომელიც დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, 2007 წლის 23 ივლისს. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა მოძრავი და უძრავი ქონების ფლობა და მართვა, რომლებიც შეძენილია ბანკის დეფოლტირებული კლიენტებისგან აუქციონების საშუალებით. 2023 წლის 31 დეკემბრისთვის შვილობილი კომპანიის წმინდა აქტივები შეადგენდა 13,120 ათას ლარს (2022: 12,152 ათასი ლარი).

### ინვესტიციები წილობრივ ფასიან ქაღალდებში

### კონსოლიდირებული და ინდივიდუალური

წილობრივი ინვესტიციები მოიცავს წილებს შემდეგ კომპანიებში:

| '000 ლარი | კაპიტალში მონაწილეობის წილი | 2023 წლის 31 დეკემბერს | კაპიტალში მონაწილეობის წილი | 2022 წლის 31 დეკემბერს |
|---|---|---|---|---|
| სს საქართველოს გაერთიანებული საკლირინგო ცენტრი | 6.25% | 54 | 6.25% | 54 |
| სს ამერიკული აკადემია თბილისში | 4.73% | 50 | 4.73% | 50 |
| S.W.I.F.T.SCRL | 0.12% | 35 | 0.12% | 35 |
| **სულ** | | **139** | | **139** |

ბანკს აქვს არსებითი გავლენა სს კრედიტინფო საქართველოზე.

| '000 ლარი | კაპიტალში მონაწილეობის წილი | 2023 წლის 31 დეკემბერს | კაპიტალში მონაწილეობის წილი | 2022 წლის 31 დეკემბერს |
ჯგუფის და ბანკის კაპიტალის მართვას არეგულირებს კაპიტალის მართვის პოლიტიკა და შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების პროცესის (ICAAP) შესახებ პოლიტიკა. ზემოხსენებული მიზნების მისაღწევად, ჯგუფი და ბანკი ოთხ კოეფიციენტს მიმართავს. საზედამხედველო და ბაზელი III/კაპიტალის ადეკვატურობის შესახებ დებულება (CRR) კაპიტალის კოეფიციენტების გარდა, პირველი დონის ჯგუფის კაპიტალიზაციის კოეფიციენტისა და შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების პროცესის ყოველთვიურ მონიტორინგს ზოგადი რისკების მართვის განყოფილება და მშობელი კომპანიის ზოგადი რისკების მართვის კომიტეტი უწევს.

**კაპიტალის შიდა და გარე მოთხოვნებთან შესაბამისობა**

კაპიტალის მინიმალურ გარე მოთხოვნებს აწესებენ და აკონტროლებენ საქართველოს ადგილობრივი საბანკო საზედამხედველო ორგანოები. კაპიტალის ადეკვატურობა გამოითვლება და კვარტალურად ეცნობება ჯგუფის და ბანკის ზოგადი რისკების მართვის კომიტეტის წევრებს. ეს ანგარიშები მოიცავს მუდმივი პროგნოზების გაკეთებას, რაც უზრუნველყოფს შესაბამისობას როგორც მიმდინარე, ასე მომავალ მოთხოვნებთან (კვარტალურად). მარეგულირებელი პირველადი და მთლიანი კაპიტალის კოეფიციენტები ასევე ეცნობება ბანკის ALCO-ს ყოველთვიურად.

2023 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, ჯგუფი და ბანკი შეესაბამება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაწესებულ სავალდებულო კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნებს. 2022 წლიდან სებ-ის მოთხოვნები შეესაბამება ბაზელის კომიტეტის (ბაზელი II/III) ინსტრუქციებს. თუმცა, 2023 წლიდან სებ-ის მოთხოვნები დაექვემდებარა ფასს-ს. შემდეგ ცხრილში მოცემულია კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტები საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესაბამისად:

| **31 დეკემბრის მდგომარეობით (პილარ I + პილარ II)** | **2023 წ ფაქტობრივი** | **2023 წ მოთხოვნა** | **2022 წ ფაქტობრივი** | **2022 წ მოთხოვნა** |
|---|---|---|---|---|
| პირველადი კაპიტალი/რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები | 21.39% | 11.93% | 19.58% | 11.90% |
| პირველადი + მეორადი კაპიტალი/რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები | 22.27% | 18.22% | 21.70% | 15.36% |

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დანერგა პილარ II-ის ბუფერები, რომლებიც 2017 წლის დეკემბრიდან უნდა ყოფილიყო დაცული. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მინიმალური მოთხოვნები, მათ შორის ბუფერების დაწესება, პირველი დონისთვის არის 14.63%, ხოლო საზედამხედველო კაპიტალისთვის - სულ რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 18.22%. არაჰეჯირებული საკრედიტო რისკი გამოირიცხება პირველი დონისთვის განსაზღვრული სულ რისკის მიხედვით შეწონილი აქტივებიდან და ბუფერის სახით დაემატება.

ფასს-ზე გადასვლასთან დაკავშირებით, ბუფერები შეიცვალა 2022 წლიდან. პილარ II-ის ფარგლებში, საკრედიტო რისკის კორექტირების (CRA) ბუფერი დაინერგა ფასს-ის გაიდლაინებში, რომელიც ძალაში შედის 2023 წლის იანვრიდან.

ამასთან, კაპიტალის ადეკვატურობის მონიტორინგი მშობელი კომპანიის მასშტაბით კაპიტალის ადეკვატურობის ერთიანი გაანგარიშების მეთოდით ხორციელდება, ბაზელ III მოთხოვნების მიხედვით, როგორც დადგენილია ევროპის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების დირექტივაში და კაპიტალის მოთხოვნების რეგულაციაში (CRR). ქვემოთ ცხრილში მოცემულია ჯგუფის და ბანკის კოეფიციენტები ბაზელ III/CRR-ის კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესაბამისად:

**კონსოლიდირებული და ინდივიდუალური:**

| **31 დეკემბრისთვის** | **2023*** | **2022*** |
|---|---|---|
| პირველადი კაპიტალი/რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები (RWA) | 21.45% | 20.56% |
| პირველადი + მეორადი კაპიტალი/რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები | 22.52% | 21.72% |

'000 ლარი

| **31 დეკემბრისთვის** | **2023*** | **2022*** |
|---|---|---|
| ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალი | 112,483 | 112,483 |
| საემისიო კაპიტალი | 72,118 | 72,118 |
| წინა პერიოდის გაუნაწილებელი მოგება | 112,731 | 84,240 |
| პირველი 9 თვის მოგება | 40,569 | 32,998 |
| სხვა კორექტირებების გამოკლებით | - | - |
| მიმდინარე წელს გადახდილი ბიუჯეტირებული დივიდენდების გამოკლებით | (42,782) | (14,500) |
| მომავალი წლის დაგეგმილი დივიდენდების გამოკლებით | (11,056) | (30,634) |
| არამატერიალური აქტივების გამოკლებით | (1,993) | (1,370) |
| **პირველადი კაპიტალი** | **282,070** | **255,335** |
| **კორექტირებული პირველადი კაპიტალი** | **282,070** | **255,335** |
| სუბორდინირებული სესხები | **14,121** | **14,395** |
| **მეორადი კაპიტალი** | **14,121** | **14,395** |
| **სულ საზედამხედველო კაპიტალი** | **296,191** | **269,730** |

'000 ლარი

| **31 დეკემბრისთვის** | **2023*** | **2022*** |
|---|---|---|
| რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები საბალანსო | 1,139,277 | 1,081,302 |
| რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები არასაბალანსო | 28,666 | 30,108 |
| რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები ღია სავალუტო პოზიციებიდან | 67 | 40 |
| რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები საოპერაციო რისკიდან | 147,255 | 130,361 |
| **სულ რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები** | **1,315,265** | **1,241,811** |

* აღნიშნული ოდენობები არ არის აუდიტირებული.

ჯგუფი და ბანკი მართავს კაპიტალს ორი მეთოდის კომბინაციით: საკუთარი კაპიტალისა და სუბორდინირებული სესხის გამოყენებით, რომელიც უმეტესწილად მშობელი კომპანიის მიერ, კაპიტალის

მართვის მიზნებისთვის, არის გაცემული.

რაც შეეხება საკუთარი კაპიტალისა და ნასესხები სახსრების თანაფარდობას (ლევერიჯი), 2011 წელს აღიარებულ და არა-აღიარებულ კრედიტებზე შემოღებულ იქნა 1 რიგის კაპიტალის ქვედა ზღვარი (1 რიგის ლევერეჯის კოეფიციენტი), რომლის მიხედვითაც ჯგუფის და ბანკის საკუთარი და მოზიდული სახსრების თანაფარდობის კოეფიციენტი არ უნდა იყოს 5%–ზე ნაკლები. 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის და ბანკის საკუთარი და მოზიდული სახსრების თანაფარდობა 10%-ს აღემატებოდა.

**შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების პროცესი ICAAP**

სავალდებულო კაპიტალის კოეფიციენტების გარდა, ჯგუფი და ბანკი საკუთარი კაპიტალის ადეკვატურობას რისკების შემცველობის მიხედვით აფასებს, ჯგუფის და ბანკის კონკრეტული რისკის პროფილის ასახვის მიზნით, მაგალითად, საქმიანობის შედეგად წარმოშობილ პოტენციურ ზარალს ადარებს მისი რისკის დასაფარად ხელმისაწვდომ მთლიან რესურსებს (RAtCR). ეკონომიკური კაპიტალის მოთხოვნა განისაზღვრება სტატისტიკური მოდელების ან სხვა პროცედურების საფუძველზე, რომლითაც გაწეული რისკები რაოდენობრივად განისაზღვრება. ბანკი თვლის, რომ ის მნიშვნელოვანი რისკები, რომელთა წინაშეც დგას, როგორიცაა საკრედიტო რისკი, კონტრაგენტის რისკი, საპროცენტო განაკვეთის რისკი, სავალუტო რისკი და საოპერაციო რისკი, რაოდენობრივად შესაფასებელია.

2022 წლის მდგომარეობით, ჯგუფისა და ბანკის რისკის შემცველი პოტენციალი განისაზღვრა, როგორც საბალანსო კაპიტალი დივიდენდების დაგეგმილი გადახდების გამოკლებით, საბალანსო არამატერიალური აქტივების გამოკლებით, გადავადებული საგადასახადო აქტივების გამოკლებით, საბალანსო სუბორდინირებული ვალის დამატებით. 2023 წლის მდგომარეობით, საბალანსო სუბორდინირებული დავალიანება არ ემატება რისკის აღების პოტენციალს. საკმარისი შიდა კაპიტალის ადეკვატურობის უზრუნველსაყოფად, რისკის აღების პოტენციალის მაქსიმუმ 60% (ლიმიტი) ხელმისაწვდომი გახდა რესურსების სახით (RAtCR) 2022 წლიდან, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას საკრედიტო, საბაზრო და საოპერაციო რისკების დასაფარავად. 2023 წლის მდგომარეობით, ლიმიტი 60%-დან 80%-მდე გაიზარდა რისკის აღების პოტენციალის გაანგარიშებიდან სუბორდინირებული ვალის ამოღებასთან დაკავშირებით. რისკის შემცველობის პოტენციალი, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 284 მილიონი ლარი იყო (2022 წელს: 264 მილიონი ლარი). რისკის დასაფარად ხელმისაწვდომი რესურსი (RAtCR) განისაზღვრა რისკის შემცველობის პოტენციალის 80%-ზე - ანუ 2023 წელს არა-აუდიტირებული 227 მილიონი ლარი (2022 წელს - 158 მილიონი, რისკის აღების პოტენციალის არა-აუდიტირებული 60%). რისკის სხვადასხვა კატეგორიაში პოტენციური დანაკარგების გამოსათვლელად გამოყენებულია შემდეგი ცნებები:

- საკრედიტო რისკი (კლიენტები): სასესხო პორტფელის სისტემატურად განახლებული მიგრაციის ანალიზის საფუძველზე გამოითვლება ისტორიული ზარალის განაკვეთები და გამოიყენება მიმდინარე სასესხო პორტფელზე, ასევე არასაბალანსო პორტფელზე პოტენციური სასესხო ზარალების გამოსათვლელად;
- კონტრაგენტის რისკი: კონტრაგენტის რისკის გამო პოტენციური დანაკარგები გამოითვლება კონტრაგენტის, ან მისი საქმიანობის ქვეყნის საერთაშორისო რეიტინგის მიხედვით განსაზღვრული დეფოლტის ალბათობის საფუძველზე;
- საბაზრო რისკები: ვინაიდან სავალუტო კურსის ისტორიულ მერყეობებზე კეთდება სტატისტიკური ანალიზი, არსებული სავალუტო პოზიციებისთვის ყველაზე მკვეთრი მერყეობის გამოყენებით (99% სანდოობის დონით), საპროცენტო განაკვეთის რისკი ფასდება ეკონომიკური ღირებულების ზემოქმედებით, რომელიც ბანკის მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების ცვლილებას წარმოადგენს, რაც გამოიწვევს საპროცენტო განაკვეთის შოკს. ეკონომიკური ღირებულების რისკს გრძელვადიანი პერსპექტივა აქვს;

- საოპერაციო რისკი: ბანკის დონეზე საოპერაციო რისკის დასაფარად საჭირო ეკონომიკური კაპიტალის გაანგარიშება (EU) No 575/2013 რეგულაციის (კაპიტალის მოთხოვნების რეგულაცია - CRR) შესაბამისად ხდება. კაპიტალის ადეკვატურობის შიდა გაანგარიშებისთვის გამოყენებული ღირებულება უდრის შეწონილ კაპიტალს სტანდარტიზებული მიდგომის მიხედვით.

საკრედიტო, კონტრაგენტის, საპროცენტო განაკვეთისა და სავალუტო რისკის ლიმიტის ათვისება დაბალ დონეზე შენარჩუნდა. საერთო ჯამში, ყველა რისკი, რომელიც რაოდენობრივად შეფასდა ჯგუფის და ბანკის ფარგლებში მოქმედი ბანკის შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების პროცესის (ICAAP) შესახებ სტანდარტების მიხედვით, ჯგუფის და ბანკის რისკის აღების საერთო პოტენციალის 80%-ზე ნაკლებია. სხვა რისკები შეფასდა როგორც ჯგუფისთვის და ბანკისთვის არასაკმარისად რელევანტური, ან რელევანტური, მაგრამ რაოდენობრივად დაუდგენელი.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია რისკის დასაფარად ხელმისაწვდომი რესურსების განაწილება რისკის სხვადასხვა კატეგორიებზე, მშობელი კომპანიის რისკების მართვის კომიტეტის თანახმად და ჯგუფის და ბანკის მიერ მათი ათვისების დონე 2023 წლის დეკემბრის ბოლოს მდგომარეობით.

| რისკის ფაქტორი | დეტალური ინფორმაცია რისკზე | ლიმიტი (%) * | ლიმიტი ('000 ლარი)* | ფაქტობრივი ('000 ლარი)* | გამოყენებული ლიმიტი (დასაშვები რისკის კოეფიციენტი)* |
|---|---|---|---|---|---|
| საკრედიტო რისკი | საკრედიტო რისკი (კლიენტები) | 44.0% | 124,988 | 50,043 | 17.6% |
| კონტრაგენტის რისკი | დამოუკიდებელი და კომერციული ბანკები | 7.0% | 19,884 | 5,489 | 1.9 % |
| საბაზრო რისკი | საპროცენტო განაკვეთის რისკი | 13.0% | 36,928 | 7,257 | 2.6% |
| საბაზრო რისკი | სავალუტო რისკი | 3.0% | 8,522 | 736 | 0.3% |
| საოპერაციო რისკი | საოპერაციო რისკი | 13.0% | 36,928 | 11,780 | 4.1% |
| **რისკის დასაფარად ხელმისაწვდომი რესურსები** | | 80.0% | 227,250 | 75,305 | 26.5% |

2022 წლის ბოლოსთვის „რისკის დასაფარად ხელმისაწვდომი რესურსის“ (RAtCR) განაწილება იყო შემდეგი:

| რისკის ფაქტორი | დეტალური ინფორმაცია რისკზე | ლიმიტი (%) * | ლიმიტი ('000 ლარი)* | ფაქტობრივი ('000 ლარი)* | გამოყენებული ლიმიტი (დასაშვები რისკის კოეფიციენტი)* |
|---|---|---|---|---|---|
| საკრედიტო რისკი | საკრედიტო რისკი (კლიენტები) | 33.0% | 87,034 | 33,993 | 12.9% |
| კონტრაგენტის რისკი | დამოუკიდებელი და კომერციული ბანკები | 5.0% | 13,187 | 4,777 | 1.8 % |
| საბაზრო რისკი | საპროცენტო განაკვეთის რისკი | 10.0% | 26,374 | 7,608 | 2.8% |
| საბაზრო რისკი | სავალუტო რისკი | 2.0% | 5,275 | 728 | 0.3% |
| საოპერაციო რისკი | საოპერაციო რისკი | 10.0% | 26,374 | 10,429 | 4.0% |
| **რისკის დასაფარად ხელმისაწვდომი რესურსები** | | **60.0%** | **158,244** | **57,535** | **21.8%** |

* აღნიშნული ოდენობები არ არის აუდიტირებული.

**(ა) საკრედიტო რისკი**

საკრედიტო რისკი განისაზღვრება როგორც იმის საშიშროება, რომ საკრედიტო ტრანზაქციის მხარე ვერ შეძლებს, ან მხოლოდ ნაწილობრივ შეძლებს ჯგუფის და ბანკის მიმართ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას. როგორც მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მომსახურე ბანკი, პროკრედიტ ბანკი არის საკრედიტო დაწესებულება, რომლის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში კლიენტებზე გაცემული სესხები დომინირებს. შესაბამისად, მომხმარებელთა საკრედიტო რისკი ყველაზე მნიშვნელოვანი რისკია, რომლის წინაშეც ჯგუფი და ბანკი დგას.

კლიენტებზე გაცემული კრედიტებიდან გამომდინარე საკრედიტო დეფოლტის რისკს ბანკი განსაზღვრავს, როგორც კლიენტის კრედიტთან დაკავშირებული ხელშეკრულების პირობების პოტენციური შეუსრულებლობის შედეგად მიღებული ზარალის რისკს.

კლიენტებზე გაცემული კრედიტებიდან გამომდინარე საკრედიტო დეფოლტის რისკის მართვა საკრედიტო საქმიანობის პრინციპების საფუძვლიან განხორციელებას ემყარება, როგორიცაა:

- მსესხებლების გადახდისუნარიანობის ანალიზი
- საკრედიტო რისკის შეფასებების დოკუმენტირება, რათა ანალიზი გასაგები იყოს მესამე მხარეებისთვის.
- ჯგუფის და ბანკის კლიენტების ზედმეტი დავალიანების თავიდან აცილება
- კლიენტთან პირადი და გრძელვადიანი ურთიერთობის დამყარება და რეგულარული კონტაქტის შენარჩუნება
- მსესხებლის კრედიტუნარიანობის რეგულარული მონიტორინგი
- სესხის დაფარვის მონიტორინგი, კოვენანტების შესრულება
- ვადაგადაცილებების ეფექტური მართვა
- გადაუხდელობის შემთხვევაში უზრუნველყოფის ამოღების პროცესის მკაცრად განხორციელება;
- ინვესტიციები მოტივირებული პერსონალის მომზადებაში, საგულდაგულოდ შემუშავებული და კარგად დოკუმენტირებული პროცესების განხორციელებით.
- ,,ოთხი თვალის პრინციპის'' გამოყენება

მნიშვნელოვან და უმნიშვნელო სესხებს შორის არსებული განსხვავებიდან გამომდინარე, სხვადასხვა ტიპის სესხებისთვის დაკრედიტების განსხვავებული პროცესები არსებობს. პროცესები ძირითადად განსხვავდება მოვალეობების განაწილების მიხედვით; კლიენტისგან მიღებული ინფორმაციის, აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების თუ თვით-დეკლარაციის ფორმების; სესხის გადაწყვეტილების ძირითადი კრიტერიუმების მიხედვით, მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის საფუძველზე. ნებისმიერ საკრედიტო გადაწყვეტილებას საკრედიტო კომიტეტი იღებს, რომელიც შედგება საოპერაციო და ბექ-ოფისის თანამშრომლებისგან.

ჯგუფის და ბანკის ძირითადი საქმიანობა – მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დაფინანსება - მოითხოვს საკრედიტო საქმიანობის მაღალი დონის სტანდარტიზაციას. საბოლოო ჯამში, ამან გამოიწვია სესხების მაღალი დივერსიფიკაცია ეკონომიკური სექტორების მიხედვით.

ჯგუფი და ბანკი ფინანსურ მომსახურებას სთავაზობენ ბიზნეს კლიენტებს, როგორც წესი, ძალიან მცირე, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს, რომლებიც მრავალი ოჯახის საარსებო წყაროს წარმოადგენენ და ქვეყანაში ეკონომიკურ ზრდას და სამუშაო ადგილების შექმნას უწყობენ ხელს. ჯგუფი ასევე თავის ფინანსურ მომსახურებას სთავაზობს აღნიშნული ქვეყნების რიგით კერძო კლიენტებს, პირველ რიგში კლიენტებს, რომლებსაც ხელფასი ბანკში ერიცხებათ, თვითდასაქმებულებს ან/და ძალიან მცირე, მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მფლობელებს.

ჯგუფმა და ბანკმა საკრედიტო ოპერაციების მძლავრი პროცესები შეიმუშავეს, რომლის ფარგლებშიც ბანკს შეუძლია წარმატებით მართოს კონკრეტული საკრედიტო რისკები. საკრედიტო რისკის მართვის სხვადასხვა

მეთოდი გამოიყენება სხვადასხვა კატეგორიის კლიენტებთან და საკრედიტო რისკებთან მიმართებაში. ბიზნეს და კერძო კლიენტების დაკრედიტების პროცესების ძირითადი მახასიათებლებია: მოვალეობების გამიჯვნა, საკრედიტო ანალიზის საინფორმაციო საფუძველი, დაკრედიტებაზე გადაწყვეტილების მიღების კრიტერიუმები (კლიენტებისთვის სესხების გაცემაზე გადაწყვეტილება ძირითადად ეფუძნება კომპანიის მართვის ხარისხისა და შესაძლებლობების შეფასებას. კრედიტუნარიანობის შეფასებას, სესხის დანიშნულებას, გირაოს (რაც მსესხებლის გადაუხდელობით დამდგარი ზარალისაგან ჯგუფისა და ბანკის დაცვას უზრუნველყოფს).

საკრედიტო პორტფელის ხარისხის მონიტორინგი რეგულარულად ხორციელდება.

ფასს 9-ის გაუფასურების მოდელის მიდგომის ძირითადი ელემენტი ჯგუფისთვის და ბანკისთვის არის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი გაუფასურების აღიარებისთვის და შეფასებისთვის.

მოდელი საწარმოს ავალდებულებს დროულად აღიაროს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და ამით უზრუნველყოს, რომ ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის აღიარებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობა ასახავს ფინანსური ინსტრუმენტების საკრედიტო რისკის ცვლილებებს.

როგორც ასეთი, აღნიშნული მოდელი მომავალზეა ორიენტირებული და საკრედიტო ზარალის აღიარება აუცილებლად პოტენციური ზარალის მოვლენის მიხედვით არ ხდება.

კერძოდ, მოდელი ითვალისწინებს ფასს 9-ის მოთხოვნებს, რომელიც უკავშირდება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებას არასაჭირო ხარჯების ან ძალისხმევის გაწევის გარეშე ხელმისაწვდომი გონივრული და დამხმარე ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც ასევე მოიცავს ისტორიულ, მიმდინარე და პროგნოზირებულ ინფორმაციას.

საკრედიტო რისკი სესხზე ზარალის ანარიცხების გამოთვლის კუთხით, რაოდენობრივად აისახება კლიენტის დეფოლტის რისკის შედეგად წარმოქმნილი მოსალოდნელი ზარალით. ზოგადად მოსალოდნელი ზარალი (EL) განისაზღვრება დეფოლტს დაქვემდებარებით (EAD), დეფოლტის ალბათობით (PD), და ზარალის განაკვეთით (LGD):

$ECL = EAD \times PD \times LGD.$

**საკრედიტო საშუალება დეფოლტისას:**

- არასაბალანსო ოდენობის მხოლოდ ნაწილი შესაძლებელია იქნას გამოყენებული დეფოლტის შემთხვევაში. აღნიშნული არის რაოდენობრივად ასახული კრედიტის კონვერტაციის ფაქტორების საშუალებით (CCF).
- მთლიანი საკრედიტო საშუალების მთლიანი ოდენობა ან მისი ნაწილი შესაძლოა იქნას ვადაზე ადრე დაფარული გათვალისწინებული დროის პერიოდის განმავლობაში. აღნიშნული სიტუაცია რაოდენობრივად არის ასახული მთლიანი ან ნაწილობრივი წინასწარი გადახდებისთვის განსაზღვრული მეთოდების საშუალებით.

**დეფოლტის ალბათობა:**

- დეფოლტის ალბათობები დაკონკრეტებულია შესაბამისი დროის პერიოდისთვის (ერთი წელი ან მთლიანი სასიცოხლო ვადა). კერძოდ, ხდება 1 წელზე ნაკლები დაფარვის ვადების შესაბამება.
- დეფოლტის ალბათობები განისაზღვრება ყველა რისკის შესაბამისი ქვე-პორტფელებისთვის (მაგალითად ბიზნეს, კერძო და რესტრუქტურიზებული კლიენტები) და დამოკიდებულია კლიენტის ზოგიერთ მახასიათებლებზე (მაგალითად რისკის კლასიფიკაცია ბიზნეს კლიენტებისთვის).

- დეფოლტის ალბათობები დაკონკრეტებულია, როგორც დროის გარკვეული მომენტის (PiT) პროგნოზები, ანუ, ითვალისწინებს მომავალი პერიოდის მაკროეკონომიკურ პროგნოზებს, და დროის ტენდენციებს.
- მომავალი პერიოდის მაკროეკონომიკური პროგნოზების თანმდევი გაურკვევლობა გადაჭრილია რამოდენიმე მაკროეკონომიკური სცენარის გათვალისწინებით და მათი, ალტერნატიული „დროის გარკვეული მომენტის“ დეფოლტის ალბათობების გამოსათვლელად გამოყენების გზით და მათი საშუალო შეწონილის გამოყენებით, როგორც LLP გამოთვლის საბოლოო პარამეტრი.

**ზარალი დეფოლტის შემთხვევაში:**

- ზარალი დეფოლტის შემთხვევაში დაზუსტებულია ისე, რომ უზრუნველყოს გირაოს და ფინანსური გარანტიების პირდაპირი ჩართვა ზარალის კოეფიციენტის გამოთვლაში. ზარალი დეფოლტის შემთხვევაში ასევე მოიცავს ლიკვიდირებული დეფოლტის ალბათობის დეტალურ მოდელირებას. გარდა ამისა, ეს პარამეტრი ითვალისწინებს იმ ფაქტს, რომ ბანკი ყველა გირაოს არ ყიდის დეფოლტის არალიკვიდირებულად კლასიფიცირების შემდეგ.
- რადგან დეფოლტის ალბათობები და ზარალი დეფოლტის შემთხვევაში დაკონკრეტებულია როგორც დროის გარკვეული მომენტის პროგნოზების საშუალო შეწონილი, მაკროეკონომიკური პერსპექტივების სხვადასხვა ვარიანტების მიხედვით.

**კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები**

კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები აღირიცხება, როდესაც ჯგუფი და ბანკი ავანსად იხდის ფულს კლიენტისგან მისაღები სესხის შესყიდვის ან წარმოშობის მიზნით. ბიზნეს მოდელიდან და ფულადი სახსრების მოძრაობის მახასიათებლებიდან გამომდინარე, ჯგუფი და ბანკი კლიენტებზე გაცემული სესხების და ავანსების კლასიფიცირებას ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულის კატეგორიაში ახდენს.

გაუფასურების რეზერვები განისაზღვრება საპროგნოზო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელების მიხედვით. 27-ე შენიშვნა გვაწვდის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლისას გამოყენებული მონაცემების, დაშვებების და შეფასების მეთოდების შესახებ ინფორმაციას, მათ შორის განმარტებას, თუ როგორ შეაქვს ჯგუფს და ბანკს საპროგნოზო ინფორმაცია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელებში.

<u>ზარალის რეზერვის ზრდა</u>

ზარალის რეზერვის აღიარებისთვის, სამეტაპიანი მოდელი გამოიყენება მოსალოდნელი საკრედიტო ზარალების მიხედვით.

- ეტაპი 1: ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას ზოგადად კლასიფიცირდება 1-ელ ეტაპზე, გარდა “შეძენილი ან შექმნილი კრედიტით გაუფასურებული აქტივებისა“, რომლებიც განხილულია და წარმოდგენილია ცალკე მე-3-ე ეტაპის ფარგლებში. ჯგუფი და ბანკი ზარალის რეზერვს განსაზღვრავს 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობის ეკვივალენტური ოდენობით, მანამ სანამ არ არსებობს საკრედიტო რისკის არსებითი ზრდა მისი თავდაპირველი აღიარების შემდეგ. 12 თვეზე ნაკლები ნარჩენი დაფარვის მქონე საკრედიტო საშუალებისთვის გამოყენებული დეფოლტის ალბათობა ასახავს ნარჩენ დაფარვის ვადას.
- ეტაპი 2: თუ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზრდება, მაშინ „მე-2 ეტაპის“ კლასიფიკაცია გამოიყენება და ზარალის რეზერვი განისაზღვრება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობის ეკვივალენტური ოდენობით.
- ეტაპი 3: დეფოლტირებული ფინანსური აქტივები „მე-3 ეტაპზე“ კლასიფიცირდება და ზარალის რეზერვი განისაზღვრება ასევე არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობის ეკვივალენტური ოდენობით (დეფოლტის 100%-იანი ალბათობის გათვალისწინებით (კრედიტით

გაუფასურებული არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკების შემთხვევაში, რისკის ანარიცხი განისაზღვრება ამოღებადი ფულადი ნაკადების მიხედვით. უმნიშვნელო საკრედიტო რისკების შემთხვევაში, ზარალის რეზერვი განისაზღვრება პორტფელის პარამეტრების მიხედვით. მე-3 ეტაპი ასევე მოიცავს ისეთ ფინანსურ აქტივებს, რომლებიც უკვე გაუფასურდა თავდაპირველი აღიარებისას („შეძენილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივები“). ეს აქტივები ფასდება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და ზარალის რეზერვის გარეშე.

აღნიშნული მოდელი განსაზღვრავს სამ ეტაპს, თავდაპირველი აღიარების თარიღიდან საკრედიტო საშუალების საკრედიტო რისკის ცვლილებების საფუძველზე.

**I ეტაპი** მოიცავს რისკის პოზიციებს, რომელთა საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ან რომლებსაც დაბალი საკრედიტო რისკი აქვთ საანგარიშგებო თარიღისთვის. აღნიშნული რისკის პოზიციები მოიცავს ასევე საკრედიტო რისკის შემცირების გამო II ეტაპიდან უკან გადმოსულ პოზიციებს. ამ რისკის პოზიციებისთვის ხდება ერთწლიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში და განისაზღვრება ზარალის რეზერვი. ერთწლიანი მოსალოდნელი ზარალი მოიცავს საანგარიშგებო თარიღის შემდეგ 12 თვის განმავლობაში მომხდარი დეფოლტის შემთხვევებით გამოწვეულ მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს.

12 თვეზე ნაკლები ნარჩენი დაფარვის მქონე სესხებზე, გამოყენებული დეფოლტის ალბათობა ასახავს ნარჩენ დაფარვის ვადას.

საკრედიტო საშუალებები არ განიხილება როგორც დაბალი საკრედიტო რისკის მქონე ამ საკრედიტო საშუალების უზრუნველყოფის სახით გამოყენებული გირაოს რაოდენობის ან ხარისხის გამო. სასესხო ხელშეკრულებები ასევე არ არის მიჩნეული როგორც დაბალი საკრედიტო რისკის მქონე მხოლოდ იმიტომ, რომ მათ აქვთ უფრო დაბალი დეფოლტის რისკი ვიდრე სხვა საკრედიტო პროდუქტებს ან იმ იურისდიქციის საკრედიტო რისკებთან მიმართებაში რომელშიც ფუნქციონირებს საწარმო.

ყველა საკრედიტო საშუალება I ეტაპზე შედგება პორტფელებისგან, რომლებიც გაზრდილი საკრედიტო რისკის არანაირ ნიშნებს ავლენს.

II ეტაპი მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომელთა საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მაგრამ არ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. აღნიშნული შეფასება ითვალისწინებს შესაბამის და დასაბუთებულ ინფორმაციას. ზარალის რეზერვები დგინდება ნარჩენი დაფარვის ვადის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ეკვივალენტური ოდენობით, ანუ არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ზარალები (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც არ არის კრედიტით გაუფასურებული).

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა დგინდება როგორც რაოდენობის, ისე ხარისხის შესახებ ინფორმაციის საფუძველზე, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის საკრედიტო საშუალების დეფოლტის ალბათობის ნარჩენი სასიცოცხლო ვადის მისი თავდაპირველი აღიარების თარიღისთვის არსებული დეფოლტის ალბათობის ნარჩენ სასიცოცხლო ვადასთან შედარებაზე დაყრდნობით. ზარალის პარამეტრები დაფუძნებულია შეფასებული საკრედიტო საშუალებისთვის შიდა რისკის კლასიფიკაციის სისტემაზე. SICR დგება მაშინ თუ დეფოლტის ალბათობაში სხვაობა აჭარბებს წინასწარ განსაზღვრულ ზღვარს (ზღვარი დაფიქსირებულია როგორც ცალკე პარამეტრი, წინასწარ განსაზღვრული ზღვარი თითოეული რისკის კლასისითვის წარმოადგენს 2.5-ს) და შესაბამისი აქტივი გადატანილი იქნება პირველი ეტაპიდან მეორეში. ამის საპირისპიროდ, გადატანა მეორე ეტაპიდან პირველ ეტაპზე შესაძლებელია, როდესაც არსებითად მცირდება დაკავშირებული საკრედიტო რისკი.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა ხდება მაშინ, როდესაც ქვემოთ ჩამოთვლილი მოვლენებიდან ერთი მაინც გამოვლინდება:

- კლიენტს დავალიანება აქვს 30 დღეზე მეტი (მათ შორის თვეში DPD 30), მაგრამ 90 დღეზე ნაკლები ხნით;
- ადგილი აქვს უპრობლემო სტანდარტული გადაუხდელი ან საყურადღებო სესხების რესტრუქტურიზაციას..
- კლიენტს მინიჭებული აქვს 6/7 რისკის კლასიფიკაცია.

მეორე ეტაპზე გადატანის შემდეგ, არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უნდა განისაზღვროს.

III ეტაპი მოიცავს ყველა იმ საკრედიტო საშუალებას, რომელიც კრედიტით გაუფასურებულია საანგარიშგებო თარიღისთვის. ზარალის რეზერვების შესაბამისი გამოთვლები ხორციელდება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე დეფოლტის 100%-იანი ალბათობის გათვალისწინებით (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, კრედიტით გაუფასურებული).

საკრედიტო საშუალება მიიჩნევა როგორც კრედიტით გაუფასურებული და გადადის მესამე ეტაპზე, როდესაც შემდეგი ან მსგავსი მახასიათებლები ვლინდება საანგარიშგებო თარიღისთვის:

- საკრედიტო საშუალება 90 დღეზე მეტი ხნით არის ვადაგადაცილებული
- რაოდენობრივი და ხარისხობრივი კრიტერუმები, რომელთა საფუძველზე ბანკს მიაჩნია, რომ ნაკლებად არსებობს იმის ალბათობა რომ კლიენტი სრულად დაფარავს დავალიანებას გირაოს რეალიზაციის გარეშე
- კლიენტს მინიჭებული აქვს რისკის კლასიფიკაციის მე-8 დონე
- ვადაგადაცილებული, გადაუხდელი (გაუფასურებული) სესხი
- გაკოტრების საქმის წარმოების დაწყება
- ბანკმა წამოიწყო სამართალწარმოება კლიენტის წინააღმდეგ
- საკრედიტო თაღლითობის შემთხვევა
- გაუფასურების სხვა ნიშნები, რომლებიც მიანიშნებს რომ სრული გადახდა კლიენტისგან აღარ არის მოსალოდნელი

მესამე ეტაპზე გადატანის შემდეგ, არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უნდა განისაზღვროს დეფოლტის 100%-იანი ალბათობის გათვალისწინებით (კრედიტი არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით გაუფასურებულია).

**ინდივიდუალურად არა-არსებითი საკრედიტო საშუალებები**

ინდივიდუალურად არა-არსებით საკრედიტო საშუალებებზე, რომლებიც გაუფასურების ნიშნებს არ ავლენენ, როგორც წესი, ინდივიდუალურად მორგებული გაუფასურებაზე ტესტირება არ ტარდება, რადგან საოპერაციო ხარჯები არ ამართლებს ფართომასშტაბიან გაუფასურებაზე ტესტირებას თითოეული აღნიშნული კლიენტისთვის. ამის მაგივრად, მოსალოდნელი ზარალის შეფასება დაფუძნებულია მეთოდოლოგიაზე რომელიც განსაზღვრულია „LLP-სთვის საკრედიტო რისკის მოდელის აღწერაში". მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში შეუძლია ბანკს ჩაატაროს გაუფასურებაზე ტესტირება თითოეული ინდივიდუალურად უმნიშვნელო საკრედიტო საშუალებისთვის, კონკრეტული ინდივიდუალური გაუფასურების შეფასების გზით.

ინდივიდუალურად მნიშვნელოვან საკრედიტო საშუალებებს შესაბამისი საკრედიტო კომიტეტი და ბიზნეს კლიენტების მრჩეველი ან საკრედიტო ანალიტიკოსი აკონტროლებს. მსგავსი საკრედიტო საშუალებისთვის,

კომიტეტი აფასებს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება არსებობს თუ არა, ანუ, ადგილი აქვს თუ არა ერთ-ერთ ქვემოთ მითითებულ შემთხვევას:

- ვადაგადაცილებული, გადაუხდელი (გაუფასურებული) სესხი
- ბანკის მიერ სასამართლო საქმის წარმოების დაწყება
- გაკოტრების საქმის წარმოების დაწყება
- 90 დღიანი ვადაგადაცილება
- საკრედიტო თაღლითობის შემთხვევა
- მცირე და საშუალო საკრედიტო რისკების მქონე ყველა კლიენტის შემთხვევაში რისკის კლასიფიკაციის შემცირება 8-მდე
- შექმნილი საკრედიტო რისკით გაუფასურებული საკრედიტო საშუალება თავდაპირველი აღიარებისას
- გაუფასურების სხვა ნიშნები

ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი საკრედიტო საშუალებების შემთხვევაში, გამოიყენება შესაბამისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშების მიზნით დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდი. მომავალში მისაღებ ფულად სახსრებთან დაკავშირებული მოლოდინები თანხობრივად და დროის თვალსაზრისითაც კონსერვატიული უნდა იყოს, მომავალში შესაძლებელი გაურკვევლობის გათვალისწინებით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას, ჯგუფი და ბანკი იყენებს სულ მცირე ორ სხვადასხვა სცენარს, რომელიც დაფუძნებულია მომავალი ტენდენციების გათვალისწინებით ინფორმაციაზე (მაკროეკონომიკური ფაქტორების ჩათვლით). ეს კლიენტისა და მისი თავმდებ(ებ)ისგან მისაღებ ნებისმიერ წმინდა მოსალოდნელ სამომავლო გადახდებს ეხება, მათ შორის გირაოს რეალიზაციიდან ამოსაღებ მოსალოდნელ წმინდა თანხებს. გირაოს ამოღებასთან დაკავშირებული მოსალოდნელი პირდაპირი ხარჯების გაანგარიშებისას გათვალისწინებულია სხვა მსგავს შემთხვევებში ფაქტობრივად გაწეული ხარჯები და გარე სტანდარტები, როგორიცაა, სასამართლოში საქმის შეტანის დადგენილი საფასური, სააღსრულებო ხარჯი გირაოს ღირებულების პროცენტული წილის სახით და ა.შ. კლიენტისა ან/და თავმდებისგან მისაღები მოსალოდნელი ფულადი სახსრების გაანგარიშებისას გათვალისწინებულია შესაბამისი კლიენტის ან თავმდების გადახდისუნარიანობა. ამასთანავე, მრავალი შესაძლო სცენარის გამოყენების შემთხვევაში, კლიენტის გადახდისუნარიანობაზე გავლენა ექნება ერთ ან მეტ შესაბამის მაკროეკონომიკურ მაჩვენებელს.
იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის ან თავდების გადახდისუნარიანობის შესაბამისი ფინანსური ანალიზი არ არსებობს, დასაშვებია მხოლოდ უზრუნველყოფის საშუალებებიდან მისაღები ფულადი სახსრების გათვალისწინება. უზრუნველყოფის საშუალების რეალიზაციიდან მისაღები თანხა და მოსალოდნელი დრო, რომელიც საჭიროა ამ თანხის ამოღებისთვის, დადგენილი იქნება ანალოგიური უზრუნველყოფის საშუალების იძულებითი წესით ამოღების სფეროში არსებული ბანკის გამოცდილების და მომავალი ტენდენციების გათვალისწინებით ინფორმაციის გათვალისწინებით, რომელიც დაფუძნებულია საპროგნოზო მაკროეკონომიკურ მონაცემებზე და გირაოს საპროგნოზო ფასზე. სულ მცირე ორი სხვადასხვა სცენარი არის გამოყენებული გირაოს გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრების შეფასებითვის.

**რისკის კლასიფიკაციის პროცესი**

რისკის კლასიფიკაცის სისტემა მცირე და საშუალო კლიენტებისთვის მოიცავს საკრედიტო რისკის ზრდის განსაზღვრის პროცესის მნიშვნელოვან ნაწილს და შესაბამისად სესხის პორტფელის კლასიფიკაციას. თავდაპირველი თანხის გაცემამდე, თითოეულ საკრედიტო საშუალებას მინიჭებული აქვს რისკის ერთ-ერთი კლასი - 1-დან 8-მდე (1 საუკეთესო, 8 ყველაზე უარესი). რისკის კლასის მინიჭება გულისხმობს მრავალი ხარისხობრივი და რაოდენობრივი კრიტერიუმის ფართომასშტაბიან ანალიზს კლიენტის დონეზე, რომლებიც რეგულარულად ფასდება კლასებს შორის საკრედიტო რისკის ზრდის გამოვლენის მიზნით.

პროკრედიტი უზრუნველყოფს ახალ სესხის ხაზებს კლიენტებისთვის რომლებიც ასრულებენ მათ მიერ ნაკისრ ვალდებულებებს. დამატებითი სესხების გაცემა კლიენტებისთვის რისკის კლასიფიკაციით 6, 7 და 8 - არ არის ნებადართული.

| | მე-2 ეტაპის სესხების პორტფელი | მე-3 ეტაპის სესხების პორტფელი და POCI |
|---|---|---|
| **2023 წლის 31 დეკემბერს** | **2.8%** | **3.1%** |
| **2022 წლის 31 დეკემბერს** | **4.2%** | **3.1%** |

ბანკის პოლიტიკის შესაბამისად, როგორც წესი მხოლოდ მოკლევადიანი საკრედიტო ხაზები შეიძლება იყოს გაცემული გირაოს გარეშე. საკრედიტო ხაზები უფრო მაღალი რისკის პროფილით ყოველთვის უნდა იყოს უზრუნველყოფილი მყარი გირაოთი, როგორც წესი უძრავი ქონება.

ჯგუფის და ბანკის პოლიტიკა დასაკუთრებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით მოითხოვს, რომ ყველა კლიენტის დეფოლტების შედეგად მოპოვებული საქონელი, იყოს გაყიდული მესამე მხარეებზე, რათა თავიდან აცილებულ იქნას ნებისმიერი ინტერესთა კონფლიქტი რომელიც გირაოს საბაზროზე დაბალი შეფასებით წარმოიშვება. ასევე, დასაკუთრებული ქონება გაყიდულია ყველაზე მაღალ შესაძლო ფასად, საჯარო აუქციონის საშუალებით, და ნებისმიერი ნარჩენი ნაშთი ძირის, პროცენტის და ჯარიმის დაფარვის შემდეგ ირიცხება კლიენტის ანგარიშზე. დასაკუთრებული ქონება ძირითადად მიწისა და შენობებისგან შედგება.

სასესხო პორტფელის სტრუქტურა რეგულარულად არის მიმოხილული საკრედიტო რისკის განყოფილების მიერ, რათა გამოვლენილი იქნას პოტენციური მოვლენები რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიონ სასესხო პორტფელის დიდ ნაწილზე (საერთო რისკის ფაქტორები) და, საჭიროების შემთხვევაში, შეიზღუდოს ეკონომიკის ზოგიერთ სექტორებზე კრედიტის გაცემა.

მაქსიმალური საკრედიტო საშუალება, რომელიც ბანკმა შეიძლება გასცეს ერთ მსესხებელზე ან დაკავშირებულ კლიენტთა ჯგუფზე, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში უნდა აღემატებოდეს ბანკის მთლიანი პირველადი კაპიტალის 10%-ს. ბანკის პირველადი კაპიტალის ტოლი ან 10%-ით აღმატებული საკრედიტო საშუალება განიმარტება, როგორც მსხვილი საკრედიტო საშუალება და ბანკი ჯგუფის რისკების მართვის კომიტეტს (ან რისკების მართვის ქვეკომიტეტს) სთხოვს პრინციპში დაუშვას საკრედიტო საშუალება შემთხვევის გაანალიზებამდე და ვიდრე საკრედიტო კომიტეტი გადაწყვეტილებას მიიღებს მოცემული საკრედიტო საშუალების შესახებ. მსხვილი საკრედიტო საშუალება არ შეიძლება აღემატებოდეს ბანკის პირველადი კაპიტალის 25%-ს.

ჯგუფი და ბანკი ხელმძღვანელობს ინსტრუქციით, რომელიც ზღუდავს კონცენტრაციის რისკს სასესხო პორტფელში და ამისათვის მოითხოვს მსხვილი სესხების (რომლებიც საზედამხედველო კაპიტალის 10%-ს აღემატება) დამტკიცებას ჰოლდინგის საკრედიტო რისკების კომიტეტის და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. არცერთი მსხვილი კრედიტი არ უნდა აღემატებოდეს ჯგუფის და ბანკის საზედამხედველო კაპიტალის 25%-ს.

შედარებით მსხვილი სესხების ანალიზსა და მონიტორინგს ახორციელებენ როგორც პასუხისმგებელი თანამშრომლები საქმიანობის რეგულარული მონიტორინგის გზით, რაც რისკების დროული აღმოჩენის საშუალებას იძლევა, ასევე საკრედიტო კომიტეტის მიერ ჩატარებული რეგულარული შემოწმებების გზით. დაკავშირებული მხარეების შესახებ ინფორმაციის მოძიება ჩვეულებრივ სესხების გაცემამდე ხდება.

**შიდა საბანკო განთავსებებიდან და ემიტენტთან დაკავშირებული რისკიდან გამომდინარე საკრედიტო რისკი**

*რისკების მართვის კონცეპტუალური საფუძველი*

კონტრაგენტის და ემიტენტის რისკის მართვის მიზანია ჯგუფისთვის და ბანკისთვის ისეთი დანაკარგების თავიდან აცილება, რომლებსაც იწვევს ფინანსური კონტრაგენტის (მაგ. კომერციული ბანკის), ან ემიტენტის მიერ ჯგუფის ან ბანკის მიმართ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უუნარობა ან შეუსრულებლობა. ამ ტიპის რისკი იყოფა შემდეგ კატეგორიებად:

- ძირითადი რისკი – ინვესტირებული თანხის დაკარგვის რისკი იმის გამო, რომ კონტრაგენტი ვერ ახერხებს ძირი თანხის დროულად და სრულად გადახდას;
- ჩანაცვლების რისკი – იმ თანხის დაკარგვის რისკი, რომელიც უდრის მიმდინარე გარიგების ეკვივალენტური გარიგებით ჩანაცვლებაზე გაწეულ ხარჯს;
- ანგარიშსწორების რისკი – დანაკარგის რისკი, რომელიც გამოწვეულია კონტრაგენტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული აქტივების გადაცემის ვალდებულების შეუსრულებლობით;
- ემიტენტის რისკი - ფასიანი ქაღალდების ემიტენტის დეფოლტისა და გადახდისუუნარობის შედეგად გამოწვეული ზარალის ალბათობა;
- საბაზრო ფასის რისკი - ფასიანი ქაღალდების საბაზრო ღირებულების ვარდნით გამოწვეული ზარალის რისკი, რადგან ამ დროს საპროცენტო განაკვეთები იზრდება.

კონტრაგენტის და ემიტენტის რისკი განსაკუთრებით წარმოიქმნება მაშინ, როცა საჭიროა ჯგუფის და ბანკის მიერ ლიკვიდური აქტივების მარაგის დაბანდება, სავალუტო ოპერაციების შესრულება, ან გარკვეული რისკების პოზიციების ჰეჯირება. ჭარბი ლიკვიდობის განთავსება ხდება ბანკთაშორის ბაზარზე მოკლევადიან, ჩვეულებრივ სამ თვემდე დაფარვის ვადის მქონე ინსტრუმენტებში. სავალუტო ოპერაციებიც მოკლე ვადებში, როგორც წესი, ორ დღეში სრულდება. წარმოებულ კონტრაქტებს, რომლებიც სავალუტო რისკისგან ჯგუფის და ბანკის დასაცავად გამოიყენება, შეძლება ერთ წლამდე ვადა ჰქონდეს. ამას გარდა, იმის გამო, რომ ჯგუფი და ბანკი ცდილობს თავისი საკრედიტო საქმიანობა დააფინანსოს ფიზიკური პირების ანაბრებით, არსებობს ასევე რისკი საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართ, რაც განპირობებულია იმით, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი ბანკებისგან მოითხოვს, რომ საქართველოს ეროვნულ ბანკში არსებულ ანგარიშზე სავალდებულო რეზერვი ჰქონდეთ, რომლის ოდენობაც დამოკიდებულია კლიენტების ანაბრების მოცულობაზე, ან სხვა სახსრებზე, რომლებსაც ჯგუფი და ბანკი თავისი საქმიანობის დასაფინანსებლად იყენებს.

კონტრაგენტის და ემიტენტის რისკები იმართება ჯგუფის და ბანკის კონტრაგენტის რისკის მართვის პოლიტიკის მიერ (რომელშიც ემიტენტის რისკიც შედის), რომელიც აღწერს კონტრაგენტის/ემიტენტის შერჩევისა და ლიმიტის განსაზღვრის პროცესს, ასევე ჯგუფის და ბანკის სახაზინო პოლიტიკის მიერ, რომელიც მიუთითებს დასაშვებ ოპერაციებს და მოიცავს მათი დამუშავების წესებს. ფაქტიურად, მისაღები კონტრაგენტები არიან მხოლოდ მსხვილი საერთაშორისო ბანკები, ხოლო ადგილობრივ ვალუტაში საქმიანობისთვის – კარგი რეპუტაციის და ფინანსური მდგომარეობის მქონე ადგილობრივი ბანკები. როგორც წესი, ჯგუფი და ბანკი საზედამხედველო კაპიტალის 10%-მდე ზღვარს აწესებს ბანკებისთვის, რომლებიც არა OECD ქვეყნებში საქმიანობენ და 25%-მდე ზღვარს - OECD ქვეყნებში მოქმედი ბანკებისთვის, 3-თვიანი მაქსიმალური ნარჩენი დაფარვის ვადით. უფრო მაღალი ლიმიტები და უფრო ხანგრძლივი ვადები უნდა დამტკიცდეს ჰოლდინგის ზოგადი რისკების მართვის კომიტეტის მიერ.

ბანკის აქტივებისა და ვალდებულებების მართვის კომიტეტი (ALCO) უზრუნველყოფს თითოეული კონტრაგენტის საგულდაგულო ანალიზს, რომელსაც, როგორც წესი, ახორციელებს ზოგადი რისკების მართვის ქვეგანყოფილება, კომპლაიენსის და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის (AML) ქვეგანყოფილებებთან თანამშრომლობით. კონტრაგენტის დამტკიცების შემთხვევაში დგინდება მაქსიმალური სესხის ლიმიტი.

კონტრაგენტის რისკის მართვის პოლიტიკის თანახმად, ჯგუფმა და ბანკმა არ უნდა შეასრულოს სპეკულაციური კომერციული საქმიანობა. თუმცა, ლიკვიდობის მართვის მიზნით ჯგუფს და ბანკს უფლება აქვს იყიდოს და მფლობელობაში იქონიოს ფასიანი ქაღალდები (სახაზინო ვალდებულებები, სადეპოზიტო სერტიფიკატები). ამასთან დაკავშირებული ემიტენტის რისკი იმართება ჯგუფის და ბანკის სახაზინო პოლიტიკის დებულებებით. სხვა მოთხოვნებთან ერთად, პოლიტიკა ითვალისწინებს, რომ ფასიანი ქაღალდები ლარში სასურველია გამოშვებული იყოს საქართველოს მთავრობის ან ეროვნული ბანკის მიერ, ხოლო უცხოური ვალუტის შემთხვევაში – საერთაშორისო და/ან მულტინაციონალური ორგანიზაციების მიერ, რომელთაც ძალიან მაღალი საკრედიტო რეიტინგი აქვთ (საერთაშორისო AA- ან კიდევ უფრო მაღალი რეიტინგი).

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კონტრაგენტების და ემიტენტების ტიპები, რომლებთანაც ჯგუფი და ბანკი ოპერაციებს ახორციელებს.

| '000 ლარი | 31 დეკემბერი 2023 | % | 31 დეკემბერი 2022 | % |
|---|---|---|---|---|
| **საბანკო ჯგუფები** | **166,012** | **32%** | **143,771** | **29%** |
| ბანკები, რომლებიც OECD ქვეყნებში საქმიანობენ | 94,570 | 18% | 105,885 | 21% |
| ბანკები, რომლებიც OECD ქვეყნებში არ საქმიანობენ | 71,442 | 14% | 37,886 | 8% |
| **სებ** | **270,955** | **51%** | **288,557** | **59%** |
| სავალდებულო რეზერვი | 170,304 | 32% | 199,513 | 40% |
| სხვა საკრედიტო საშუალებები | 100,651 | 19% | 89,044 | 18% |
| **საქართველოს მთავრობა** | **90,507** | **17%** | **60,814** | **12%** |
| სახაზინო ვალდებულებები | 90,507 | 17% | 60,814 | 12% |
| **სულ კონტრაგენტის და ემიტენტის რისკი** | **527,474** | **100%** | **493,142** | **100%** |

საქართველოს ეროვნული ბანკის მიმართ ვალდებულება ძირითადად მოიცავს სავალდებულო რეზერვის შექმნის მოთხოვნას, რომელიც ეროვნული ბანკის რისკის 63%-ს (2022 წელს: 69%) შეადგენს. საქართველოს ეროვნული ბანკისა და მთავრობის მიმართ არსებული რისკები ვალუტების მიხედვით მოცემულია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში:

'000 ლარი

| **31 დეკემბერი 2023** | **ლარი** | **ევრო** | **აშშ დოლარი** | **სულ** |
|---|---|---|---|---|
| **სებ** | **100,631** | **57,719** | **112,605** | **270,955** |
| სავალდებულო რეზერვი | - | 57,707 | 112,597 | 170,304 |
| სებ-ში არსებული ნაშთები სავალდებულო რეზერვების გარდა | 76,836 | 12 | 8 | 76,857 |
| სებ-ის სადეპოზიტო სერტიფიკატები | 23,794 | - | | 23,794 |
| **საქართველოს მთავრობა** | **90,507** | - | **-** | **90,507** |
| | **191,138** | **57,719** | **112,605** | **361,463** |

'000 ლარი

| **31 დეკემბერი 2022** | **ლარი** | **ევრო** | **აშშ დოლარი** | **სულ** |
|---|---|---|---|---|
| **სებ** | **88,971** | **59,558** | **140,028** | **288,557** |
| სავალდებულო რეზერვი | - | 59,529 | 139,984 | 199,513 |
| სებ-ში არსებული ნაშთები სავალდებულო რეზერვების გარდა | 67,299 | 29 | 44 | 67,372 |
| სებ-ის სადეპოზიტო სერტიფიკატები | 21,672 | - | | 21,672 |
| **საქართველოს მთავრობა** | **60,814** | - | **-** | **60,814** |
| | **149,785** | **59,558** | **140,028** | **349,371** |

**(b) ლიკვიდურობის რისკი**

ლიკვიდურობის რისკი არის ისეთი რისკი, რომლის დროსაც ჯგუფს და ბანკს ექმნება სირთულეები ნაკისრი ფინანსური ვალდებულებების შესრულებაში და რომელთა დასაფარად საჭიროა ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიწოდება. ლიკვიდურობის რისკი წარმოიშვება შეუსაბამობით ვადებს და ფულადი ნაკადების ოდენობებს შორის, რომელიც თან სდევს ჯგუფისა და ბანკის ოპერაციებს და ინვესტიციებს.

ჯგუფის და ბანკის ლიკვიდურობის რისკის მართვის სისტემა ჯგუფის და ბანკის კონკრეტულ მახასიათებლებს შეესაბამება. სასესხო პორტფელი შეიცავს მცირე და საშუალო ზომის ბიზნესებზე დიდი რაოდენობით გაცემულ მოკლე და საშუალო ვადიან კრედიტებს. სესხების უმეტესობა არის გრაფიკიანი ვადიანი სესხები, ხოლო დეფოლტის განაკვეთები დაბალია. ამის გამო, ფულადი სახსრების შემოდინებები საკმაოდ დივერსიფიცირებულია და პროგნოზირებადი. ფინანსური ბაზრების ინსტრუმენტების გამოყენების მაჩვენებელი დაბალია. ყველა ეს ფაქტორი ზღუდავს ლიკვიდურობის რისკის კონცენტრაციების შესაძლებლობას და ამართლებს შედარებით მარტივი და სწორხაზოვანი LRM სისტემის გამოყენებას.

ლიკვიდურობის რისკი ვიწრო მნიშვნელობით (გადახდისუუნარობის რისკი) ნიშნავს იმას, რომ ჯგუფი და ბანკი ვეღარ შეძლებს მიმდინარე და სამომავლო გადახდის ვალდებულების სრულად ან დროულად შესრულებას. ფართო მნიშვნელობით კი (დაფინანსების რისკი) გულისხმობს საფრთხეს, რომ ვერ მოხდება დამატებითი დაფინანსების მოპოვება, ან მხოლოდ გაზრდილი საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით მოხდება დაფინანსება.

ALCO განსაზღვრავს ჯგუფის და ბანკის ლიკვიდურობის სტრატეგიას და ადგენს ლიკვიდურობის რისკის ლიმიტებს. სახაზინო და ფულადი სახსრების მართვის ქვეგანყოფილება ყოველდღიურად მართავს ჯგუფის და ბანკის ლიკვიდურობას. მას ასევე ევალება ALCO-ს გადაწყვეტილებების შესრულება. სტრატეგიებთან, პოლიტიკასა და ლიმიტებთან შესაბამისობას მუდმივად აკონტროლებს ზოგადი რისკების მართვის განყოფილება.

ადგილობრივი მარეგულირებელი ორგანოების მოთხოვნების გარდა, ამ სფეროში ჯგუფი და ბანკი იყენებს ლიკვიდურობის რისკის მართვის პოლიტიკისა და სახაზინო პოლიტიკის სტანდარტებს. ორივე პოლიტიკა ჯგუფმა და ბანკმა თავდაპირველად 2009 წელს დანერგა. აღნიშნული პოლიტიკა ყოველწლიურად განახლდება და შეესაბამება ბაზელის კომიტეტის მიერ დადგენილ ჯანსაღი ლიკვიდობის რისკის მართვის პრინციპებს საბანკო ზედამხედველობის სფეროში - ევროკავშირის საბჭოს რეგულაცია 575/2013 [კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულება - CRR] და ევროკავშირის საბჭოს დირექტივა 2013/36/EU [კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დირექტივა - CRD IV]. ლიმიტიდან გადახვევა და პოლიტიკიდან გამონაკლისების დაშვება შესაძლებელია მხოლოდ ჰოლდინგის ALCO-ს და ზოგადი რისკების მართვის კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე.

ლიკვიდურობის რისკების შეფასების ძირითადი მეთოდები მოიცავს საპროგნოზო ლიკვიდურობის დეფიციტის ანალიზს, რომელიც აქტივებისა და ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადიანობის სტრუქტურას ასახავს და მომავალში დაფინანსების საჭიროებას გარკვეული დაშვებების საფუძველზე აფასებს.

დაშვებები იწყება სამომავლო ლიკვიდურობის შეფასებით ჩვეულებრივ ფინანსურ გარემოში და თანდათან უფრო მკაცრდება, რათა ჯგუფის და ბანკის ლიკვიდურობის მდგომარეობის ანალიზი მოხდეს უარყოფითი სცენარის მიხედვით (სტრეს-ტესტები). ვადებს შორის განსხვავებების ანალიზზე დაყრდნობით, ლიკვიდურობის რისკის ძირითადი მაჩვენებლები და წინასწარი გაფრთხილების ინდიკატორები გამოითვლება ყოველდღიურად და ყოველთვიურად და ექვემდებარება საფუძვლიან მონიტორინგს.

მოკლევადიანი ლიკვიდურობის მთავარი მნიშვნელოვანი მაჩვენებელი არის საკმარისი ლიკვიდურობის ინდიკატორი (SLI), რომელიც ადარებს მომდევნო 30 დღის განმავლობაში დასაფარი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობას. აღნიშნული მაჩვენებელი 1–ზე მეტი უნდა იყოს, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯგუფს და ბანკს საკმარისი სახსრები აქვს, რომ პირობითად მომდევნო 30 დღეში დასაფარი ვალდებულებები გაისტუმროს. ამას ემატება ინდიკატორები, რომლებიც დამკვიდრდა 2018 წელს - „გადარჩენის პერიოდი“, რომელიც არის დროის პერიოდი, როდესაც ბანკს შეუძლია ყველა საჭირო თანხის გადახდა დამატებითი (ანუ ჯერ კიდევ ხელშეკრულებით შეუთანხმებელი) ფულადი სახსრების გენერირების გარეშე, ანუ, პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ბანკს არ აქვს უარყოფითი ლიკვიდურობის დეფიციტი რომელიმე სააღრიცხვო პერიოდში. გადარჩენის პერიოდის განსაზღვრული მინიმალური ლიმიტებია მინიმუმ 90 დღე მთლიან სავალუტო დონეზე, ასევე მთლიან უცხოური ვალუტის დონეზე და ადგილობრივი ვალუტის დონეზე.

ჯგუფი და ბანკი ასევე აანალიზებს თავის ლიკვიდურობის მდგომარეობას უფრო სტრუქტურული თვალთახედვითაც, უფრო გვიანდელი ვადების ლიკვიდურობის დეფიციტის და პოტენციური ლიკვიდურობის დამატებითი წყაროების გათვალისწინებით. ამის შესაბამისი ძირითადი მაჩვენებელი არის ლიკვიდურობის პოზიცია.

ამ წინასწარი გაფრთხილების ინდიკატორების საგულდაგულო მონიტორინგის გარდა, ჯგუფის ლიკვიდურობის მართვის პოლიტიკა ასევე განსაზღვრავს ბანკთაშორისი საბაზრო ინდიკატორის, უარყოფითი მოკლევადიანი ლიკვიდურობის დისბალანსის, მეანაბრეების კონცენტრაციის წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტის (NSFR) და ლიკვიდურობის გადაფარვის კოეფიციენტის (როგორც დადგენილია ბაზელ III-ში), ასევე რამდენიმე გარე ინდიკატორის შესახებ ანგარიშგების მაჩვენებლებს. თუ რომელიმე საკონტროლო მაჩვენებელი გაიზრდება, სათანადო ზომებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება უნდა მოხდეს ALCO-სთან ან ზოგადი რისკების მართვის კომიტეტთან შეთანხმებით.

ჯგუფისა და ბანკის ლიკვიდურობის შესანარჩუნებლად სტრესულ სიტუაციებშიც კი, ლიკვიდურობის პოტენციური საჭიროებების სხვადასხვა სცენარი არის შედგენილი. ხდება შედეგების ანალიზი და ამის საფუძველზე ჯგუფის და ბანკის ლიკვიდურობის რეზერვის სამიზნე ოდენობა განისაზღვრება ALCO–ს მიერ. ამ სტრეს-ტესტების შედეგი ასევე გამოიყენება იმისთვის, რომ განისაზღვროს ლიკვიდურობის დამატებითი ხაზები, რომლებსაც ჰოლდინგი ჯგუფს და ბანკს გამოუყოფს საჭიროების შემთხვევაში.

ჯგუფი და ბანკი ასევე მიზნად ისახავს დაფინანსების წყაროების დივერსიფიცირებას. ხორციელდება ანაბრების კონცენტრაციის მონიტორინგი, რათა თავიდან იქნეს აცილებული რამდენიმე მსხვილ მეანაბრეზე დამოკიდებულება.

ჯგუფი და ბანკი ასევე მინიმუმამდე ამცირებს თავის ბანკთაშორის ბაზარზე დამოკიდებულებას. ჯგუფისა და ბანკის პოლიტიკა ადგენს, რომ ბანკთაშორის ვალდებულებების ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მინიმუმ ბანკის მთლიანი ვალდებულებების 4%-ს/20 მლნ ევროს. გარდა ამისა, ერთდღიანი დაფინანსების ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მინიმუმ მთლიანი ვალდებულებების 3%-ს/15 მლნ ევროს. სათავო კომპანიის აქტივებისა და პასივების მართვის კომიტეტმა (ALCO) უფრო მაღალი ლიმიტები უნდა დაამტკიცოს.

ქვემოთ ცხრილებში ნაჩვენებია არადისკონტირებული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების დარჩენილი სახელშეკრულებო ვადები. დარჩენილი სახელშეკრულებო ვადა განისაზღვრება, როგორც ანგარიშგების თარიღსა და აქტივის ან ვალდებულების ხელშეკრულებით შეთანხმებულ ვადის ამოწურვის თარიღს შორის პერიოდი, ან აქტივის ან ვალდებულების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაწილობრივი დაფარვის ვადა.

| ’000 ლარი<br>2023 წლის 31 დეკემბერს | 1 თვემდე | 1-3 თვე | 3-12 თვე | 1 -5 წელი | 5 წელზე მეტი | სულ ბრუტო თანხის შემოდინება (გადინება) | საბალანსო ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **არაწარმოებული ფინანსური აქტივები** | | | | | | | |
| ფულადი სახსრები და ნაშთები სებ-ში (სავალდებულო რეზერვის ჩათვლით) | 291,923 | 5,546 | 27,734 | 19,829 | 1,807 | 346,840 | 346,840 |
| მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ | 106,649 | - | - | - | - | 106,649 | 106,603 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები | 50,274 | 90,183 | 381,401 | 592,449 | 296,077 | 1,410,384 | 1,168,320 |
| ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში | 20,103 | 21,998 | 54,026 | 29,704 | - | 125,830 | 114,302 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 3,537 | - | - | - | - | 3,537 | 3,537 |
| შემოსული თანხები | 6,738 | | - | - | - | 6,738 | 4 |
| გასული თანხები | (6,739) | | - | - | - | (6,739) | (4) |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **472,484** | **117,727** | **463,162** | **641,982** | **297,884** | **1,993,239** | **1,739,601** |
| **არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები** | | | | | | | |
| ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ | - | - | - | - | - | - | - |
| კლიენტთა ანგარიშები | 737,310 | 33,377 | 166,909 | 119,336 | 10,876 | 1,067,808 | 1,059,767 |
| სხვა ნასესხები სახსრები | 13,747 | 9,001 | 123,590 | 291,495 | 7,587 | 445,421 | 407,742 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 1,561 | 315 | 342 | - | - | 2,217 | 2,217 |
| საიჯარო ვალდებულება | 26 | 69 | 303 | 1,361 | 160 | 1,919 | 1,818 |
| სუბორდინირებული სესხი | - | - | 893 | 18,241 | - | 19,134 | 14,886 |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **752,644** | **42,761** | **292,037** | **430,434** | **18,623** | **1,536,499** | **1,486,430** |
| **ლიკვიდურობის დეფიციტი** | **(280,160)** | **74,966** | **171,125** | **211,548** | **279,261** | | |
| **კუმულაციური ლიკვიდურობის დეფიციტი, საკრედიტო ვალდებულებების და გარანტიების გარდა** | **(280,160)** | **(205,194)** | **(34,069)** | **177,479** | **456,741** | | |
| **საკრედიტო ვალდებულებები და გარანტიები** | **171,459** | **-** | **-** | **-** | **-** | **171,459** | |

| ’000 ლარი<br>2022 წლის 31 დეკემბერს | 1 თვემდე | 1-3 თვე | 3-12 თვე | 1 -5 წელი | 5 წელზე მეტი | სულ ბრუტო თანხის შემოდინება (გადინება) | საბალანსო ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **არაწარმოებული აქტივები ფინანსური აქტივები** | | | | | | | |
| ფულადი სახსრები სალაროში და | 304,840 | 7,708 | 22,540 | 25,591 | 1,271 | 361,950 | 361,950 |
| ნაშთები სებ-ში (სავალდებულო რეზერვის ჩათვლით) | 84,795 | - | - | - | - | 84,795 | 84,713 |
| მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ | 34,864 | 93,533 | 354,914 | 625,624 | 219,311 | 1,328,246 | 1,126,068 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები | 15,023 | 11,740 | 34,467 | 8,389 | 23,451 | 93,069 | 82,486 |
| ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში | 1,790 | - | - | - | - | 1,790 | 1,790 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 9,282 | | - | - | - | 9,282 | 3 |
| - შემოსული თანხები | (9,287) | | - | - | - | (9,287) | (8) |
| - გასული თანხები | **441,307** | **112,981** | **411,921** | **659,604** | **244,032** | **1,869,845** | **1,657,001** |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **სულ ფინანსური აქტივები** | | | | | | | |
| **არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები** | | | | | | | |
| ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ | - | - | - | - | - | - | - |
| კლიენტთა ანგარიშები | 686,696 | 39,598 | 115,788 | 131,464 | 6,528 | 980,074 | 971,212 |
| სხვა ნასესხები სახსრები | 8,927 | 16,680 | 58,470 | 349,142 | 14,715 | 447,935 | 424,023 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 1,747 | 414 | 344 | - | - | 2,505 | 2,505 |
| სუბორდინირებული სესხი | 36 | 62 | 280 | 1,004 | 283 | 1,664 | 1,426 |
| საიჯარო ვალდებულება | - | - | 432 | 3,901 | 15,042 | 19,376 | 14,399 |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **697,406** | **56,754** | **175,314** | **485,511** | **36,568** | **1,451,554** | **1,413,566** |
| **ლიკვიდურობის დეფიციტი** | **(256,099)** | **56,226** | **236,607** | **174,093** | **207,463** | | |
| **კუმულაციური ლიკვიდურობის დეფიციტი, საკრედიტო ვალდებულებების და გარანტიების გარდა** | **(256,099)** | **(199,873)** | **36,735** | **219,828** | **418,290** | | |
| **საკრედიტო ვალდებულებები და გარანტიები** | **153,817** | - | - | - | - | **153,817** | |

ჯგუფის/ბანკის უნარი გაათავისუფლოს მისი ვალდებულებები დამოკიდებულია მის უნარზე მოახდინოს იგივე ოდენობის აქტივების რეალიზაცია დროის იგივე პერიოდში.

2023 წლის 31 დეკემბრისთვის, „კლიენტთა ანგარიშებში“ შეტანილი სულ მიმდინარე ანგარიშები შეადგენდა 261,913 ათას ლარს (2022 წელს: 255,004 ათასი ლარი). წინა სამი წლის პერიოდისთვის, ყოველთვიურად, კლიენტთა ანგარიშების ოდენობების ფარგლებში, მიმდინარე ანგარიშების თვის ბოლოს ნაშთები არ ყოფილა 214,332 ათას ლარზე ნაკლები. მთლიანი მიმდინარე ანგარიშების არსებითი ნაწილი წარმოადგენს ისტორიულად გრძელვადიანი ბუნების მქონე მიმდინარე ანგარიშებს იურიდიული საწარმოებისგან (დაახლოებით 81%).

მშობელი კომპანიის ფინანსური რისკის მართვის გუნდი ჯგუფის/ბანკის რისკის მართვასთან ერთად, კლიენტთა ანგარიშების ფულადი ნაკადების მახასიათებლების გამოვლენის მიზნით ყოველწლიურად ატარებს ისტორიულ ანალიზს. აღნიშნული ანალიზის შედეგების საფუძველზე, ფულადი სახსრების გადინების განაკვეთები გამოიყენება კლიენტთა ანგარიშებზე. ჯგუფი/ბანკი ახორციელებს მისი ყველა ფინანსური აქტივისთვის და ვალდებულებისთვის (კლიენტთა ანგარიშების ჩათვლით) ლიკვიდურობის პოზიციის რეგულარულ შეფასებას და სტრეს-ტესტის ანალიზს. მოსალოდნელი ლიკვიდურობის ანალიზის საფუძველზე ბანკი ინარჩუნებს მყარ ლიკვიდურობის პოზიციას წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად ნებადართვის თარიღის შემდეგ 12 თვის განმავლობაში. უფრო გრძელვადიანი ლიკვიდურობის და დაფინანსების მოთხოვნები ჩართულია 5-წლიან ბიზნეს გეგმაში.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი და ბანკი შეესაბამებოდა ლიკვიდურობის რისკის მართვის პოლიტიკის მიხედვით დამტკიცებულ საკმარისი ლიკვიდურობის მაჩვენებლის ლიმიტს, რომელიც 1–ს შეადგენს, ასევე „გადარჩენის პერიოდის“ ლიმიტს, რომელიც 90 დღეს შეადგენს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯგუფი და ბანკი ასევე მიმართავს სტრეს-ტესტის გამოთვლებს, რათა უზრუნველყოს მისი ლიკვიდურობის უსაფრთხოება. ხორციელდება მიღებული შედეგების ანალიზი და ALCO–ს მიერ განისაზღვრება ჯგუფის და ბანკის ლიკვიდურობის რეზერვის სამიზნე დონე. ამ სტრეს-ტესტების შედეგი ასევე გამოიყენება იმისთვის, რომ განისაზღვროს ლიკვიდურობის დამატებითი ხაზები, რომლებსაც ჰოლდინგი ჯგუფს და ბანკს გამოუყოფს საჭიროების შემთხვევაში.

ჯგუფის და ბანკის მიზანია დაფინანსებისთვის ძირითადად კლიენტთა ანგარიშები გამოიყენოს. დაფინანსების ამ წყაროს ემატება ისეთი საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული დაფინანსება, როგორიცაა CEB, OeEB, EIB და EBRD, რომლებიც საგანგებოდ გამოყოფენ სახსრებს მიზნობრივი ფინანსური პროგრამებისთვის (მაგ. მცირე და საშუალო ზომის საწარმოების დაფინანსება). დაფინანსების სახსრების კიდევ უფრო მეტად დივერსიფიკაციის მიზნით, ჯგუფი და ბანკი ასევე ინარჩუნებს ურთიერთობას სხვა ბანკებთან, განსაკუთრებით მოკლევადიანი ლიკვიდურობის ხაზებისთვის. გარდა ამისა, მოკლე და გრძელვადიანი დაფინანსებას მშობელი კომპანია და პროკრედიტ ბანკი გერმანია უზრუნველყოფს.

კლიენტთა ანაბრების დივერსიფიკაციის მაღალი დონის შესანარჩუნებლად, ჯგუფმა და ბანკმა შემოიღო ანაბრების კონცენტრაციის ინდიკატორი, რაც 5 უმსხვილესი არასაფინანსო მეანაბრე კლიენტის ანაბრების ან ყველა არასაფინანსო მეანაბრე კლიენტის ანაბრების წილია და რომელიც სულ არასაფინანსო კლიენტთა ანაბრების პორტფელის 1%-ზე მეტს შეადგენს, რომლის გატანა შესაძლებელია მომდევნო 30 დღის განმავლობაში. კლიენტები, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, მოიცავს ყველა კერძო ფიზიკურ და იურიდიულ პირს, გარდა კლიენტებისა ფინანსური ინსტიტუტების სახით. ფინანსური ინსტიტუტები წარმოადგენს კლიენტებს რომლებსაც მიენიჭებათ კლიენტის კატეგორია „ინსტიტუციონალური“ და ქვეკატეგორია „ფინანსური და სადაზღვევო საქმიანობები“.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ჯგუფის დაფინანსების წყაროების მიახლოებითი განაწილება 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით. ცხრილიდან ჩანს, რომ როგორც ზემოთ აღინიშნა, კლიენტთა ანაბრები დაფინანსების ყველაზე დიდი წყაროა. დაფინანსების სხვა ძირითადი წყაროებია მშობელი კომპანიის მიერ კონტროლირებული კომპანიების და საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მიმართ ვალდებულებები.

| % | 31 დეკემბერი 2023 | 31 დეკემბერი 2022 |
|---|---|---|
| კლიენტების ანაბრები | 73.3% | 69.5% |
| ვალდებულებები მშობელი კომპანიის მიერ კონტროლირებული კომპანიების მიმართ | 8.2% | 8.7% |
| ვალდებულებები საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიმართ | 18.3% | 21.6% |
| სხვა ვალდებულებები | 0.2% | 0.2% |

საერთო ჯამში, ჯგუფი და ბანკი მიიჩნევს, რომ მისი დაფინანსების წყაროები საკმარისადაა დივერსიფიცირებული, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ ჯგუფის სახსრები უმეტესწილად უზრუნველყოფილია დიდი რაოდენობით კლიენტთა ანაბრებით.

I. დაფინანსების რისკი

ბიზნეს გეგმა, რომელიც ყოველწლიურად გადაიხედება, წარმოადგენს ჯგუფისთვის და ბანკისთვის საშუალოვადიანი დაფინანსების საჭიროების განსაზღვრის საფუძველს როგორც კაპიტალის, ისე ვალის დასაფინანსებლად. საკმარისი ლიკვიდურობის უზრუნველყოფის მიზნით, მშობელ კომპანიას აქვს ლიკვიდურობის რეზერვი, რომლის გამოყენება შესაძლებელია საგანგებო შემთხვევაში.

ჯგუფი და ბანკი მიიჩნევს, რომ დაფინანსების რისკი დაბალია, კლიენტთა ანაბრებზე მნიშვნელოვანი დამოკიდებულებისა და ასევე იმ ფაქტის გამო, რომ ჯგუფს და ბანკს კვლავ მიუწვდება ხელი სხვადასხვა საერთაშორისო წყაროებიდან მიღებულ დაფინანსებაზე.

**(c)** საბაზრო რისკი

ჯგუფის და ბანკის საბაზრო ფასის რისკი განისაზღვრება როგორც სავალუტო რისკი (i) და საპროცენტო განაკვეთის რისკი (ii).

### (i) სავალუტო რისკი

ჯგუფის და ბანკის აქტივები და ვალდებულებები დენომინირებულია რამდენიმე უცხოურ ვალუტაში. თუ აქტივები და ვალდებულებები საერთო ვალუტაში არ ემთხვევა ერთმანეთს, ჯგუფს და ბანკს აქვს ღია სავალუტო პოზიცია და მას ემუქრება სავალუტო კურსში პოტენციურად არასახარბიელო ცვლილებების საფრთხე.

ჯერ კიდევ განვითარებადი ფინანსური ბაზრის, ისტორიულად მაღალი ინფლაციისა და მერყევი სავალუტო კურსის გამო საქართველოში კერძო დანაზოგების დიდი ნაწილი აშშ დოლარში ან ევროშია გამოხატული. ამასთანავე, აშშ დოლარში და ევროში ხელმისაწვდომი სესხები შედარებით დაბალი საპროცენტო (ნომინალური) განაკვეთებით და უფრო ხანგრძლივი დაფარვის ვადით (ლარში დენომინირებულ სესხებთან შედარებით) ჯერაც მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყანაში მოქმედი მრავალი ბიზნესის დაფინანსებაში. შედეგად, უცხოურ ვალუტას დიდი მნიშვნელობა აქვს ჯგუფის და ბანკის საქმიანობისთვის.

სავალუტო რისკის მართვას არეგულირებს უცხოური ვალუტის რისკის მართვის პოლიტიკა. ეს პოლიტიკა ჯგუფმა და ბანკმა პირველად 2009 წელს დანერგა და ყოველწლიურად ხდება მისი განახლება. პოლიტიკასთან შესაბამისობა მუდმივად კონტროლდება ჯგუფის დონეზე მშობელი კომპანიის საფინანსო რისკების გუნდის მიერ, ხოლო გადაწყვეტილებას პოლიტიკაში ცვლილებების შეტანისა და გამონაკლისის დაშვების შესახებ იღებს მშობელი კომპანიის ALCO ან ზოგადი რისკების მართვის კომიტეტი.

ჯგუფის და ბანკის სახაზინო და ფულადი სახსრების მართვის ქვეგანყოფილება ვალდებულია, მუდმივი მონიტორინგი გაუწიოს სავალუტო კურსების ცვლილებას და სავალუტო ბაზრების დინამიკას. სახაზინო და ფულადი სახსრების მართვის ქვეგანყოფილება ასევე ყოველდღიურად მართავს ჯგუფის და ბანკის სავალუტო პოზიციებს. როგორც წესი, ყველა სავალუტო პოზიცია უნდა შენარჩუნდეს შეძლებისდაგვარად დაბალ დონეზე დღის ბოლოსთვის; გრძელი და მოკლე პოზიციები სპეკულაციური მიზნებისთვის დაუშვებელია. სახაზინო პოლიტიკის მიხედვით, წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის გამოყენება დაშვებულია მხოლოდ ჰეჯირების მიზნით ჯგუფის და ბანკის პოზიციების დასახურად, ასევე ლიკვიდურობის მიზნებისთვის. დასაშვები უცხოური ვალუტის წარმოებული ინსტრუმენტებია ვადიანი სავალუტო ოპერაციები (მათ შორის ფორვარდული საანგარიშსწორებო ოპერაციები) და სავალუტო სვოპები. ჯგუფის და ბანკის უცხოური ვალუტის რისკებს ყოველდღიურად მართავს და აკონტროლებს სახაზინო ბექ ოფისი და ზოგადი რისკების მართვის განყოფილება.

უცხოური ვალუტის ბაზრებზე მიმდინარე მოვლენები და სავალუტო პოზიციები სისტემატურად ეცნობება ჯგუფის ALCO-ს, რომელსაც უფლება აქვს მიიღოს სტრატეგიული გადაწყვეტილებები სახაზინო საქმიანობის თაობაზე. სავალუტო პოლიტიკიდან გამონაკლისის დაშვების საჭიროების ან ლიმიტების დარღვევის შემთხვევაში, ჯგუფის და ბანკის ზოგადი რისკების მართვის ქვეგანყოფილება ამის შესახებ ატყობინებს მშობელი კომპანიის ALCO–ს ან ზოგადი რისკების მართვის კომიტეტს სათანადო ზომების რეკომენდაციით.

ჯგუფის და ბანკის მიზანია სავალუტო პოზიციების შეძლებისდაგვარად დაბალ დონეზე შენარჩუნება და იმის უზრუნველყოფა, რომ ღია სავალუტო პოზიცია ყოველთვის ლიმიტის ფარგლებში დარჩეს. სავალუტო რისკის მართვის მიზნით, ჯგუფმა და ბანკმა დააწესა ორი დონის კონტროლი: წინასწარი გაფრთხილების ინდიკატორები და ლიმიტები. როდესაც ვერ ხერხდება პოზიციების ჩამოყვანა CRR კაპიტალის 5%-ზე ქვემოთ ერთ რომელიმე ვალუტაში, ან 7.5%-ზე ქვემოთ ყველა ვალუტაში ერთობლივად, ამის შესახებ უნდა ეცნობოს ბანკის ALCO–ს და მშობელი კომპანიის ALCO–ს სათანადო ზომების მიღებასთან ერთად. ეს მექანიზმი უზრუნველყოფს, რომ ჯგუფის და ბანკის მთლიანი ღია სავალუტო პოზიცია არ გადააჭარბებს CRR კაპიტალის 10%–ს. ლიმიტებში ან სტრატეგიულ პოზიციებში გამონაკლისი უნდა დაამტკიცოს მშობელი კომპანიის ALCO–

მა ან ზოგადი რისკის მართვის კომიტეტმა.

2023 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფის ღია სავალუტო პოზიციები ზემოხსენებულ ლიმიტებს არ აჭარბებდა.

წლის განმავლობაში გამოიყენებოდა შემდეგი მნიშვნელოვანი გაცვლითი კურსები:

| ლარში | საშუალო განაკვეთი 2023 | საშუალო განაკვეთი 2022 | საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული განაკვეთი 31 დეკემბერი 2023 | საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული განაკვეთი 31 დეკემბერი 2022 |
|---|---|---|---|---|
| 1 აშშ დოლარი | 2.6235 | 2.9094 | 2.6929 | 2.6991 |
| 1 ევრო | 2.8368 | 3.0709 | 2.9757 | 2.8789 |

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ფინანსური ფულადი აქტივების და ვალდებულებების განაწილება ძირითად საოპერაციო ვალუტებზე:

| '000 ლარი<br>2023 წლის 31 დეკემბერს | ევრო | აშშ დოლარი | სხვა ვალუტები | ლარი | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | | | |
| ფულადი სახსრები და ნაშთები სებ-ში (სებ-ში ფლობილი სავალდებულო რეზერვების ჩათვლით) | 104,780 | 146,477 | 1,710 | 93,874 | 346,840 |
| ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში | - | - | - | 114,302 | 114,302 |
| მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ | 23,811 | 24,244 | - | 58,547 | 106,603 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები | 371,170 | 442,053 | - | 355,098 | 1,168,320 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 490 | 2,042 | - | 1,006 | 3,537 |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **500,251** | **614,816** | **1,710** | **622,827** | **1,739,601** |
| **ვალდებულებები** | | | | | |
| ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ | | | | | |
| კლიენტთა ანგარიშები | 148,127 | 562,446 | 1,748 | 347,446 | 1,059,767 |
| სხვა ნასესხები სახსრები | 341,128 | 51,679 | - | 14,935 | 407,742 |
| სუბორდინირებული სესხი | 14,886 | - | - | - | 14,886 |
| საიჯარო ვალდებულება | 32 | 1,786 | - | - | 1,818 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 1,157 | 61 | - | 999 | 2,217 |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **505,330** | **615,972** | **1,748** | **363,381** | **1,486,430** |
| **წმინდა პოზიცია** | **(5,079)** | **(1,157)** | **(39 )** | **259,445** | **253,171** |
| **წარმოებულების გავლენა** | **2,381** | **798** | **587** | **(3,766)** | **(1)** |
| **წმინდა პოზიცია წარმოებულების შემდეგ** | **(2,698)** | **(359)** | **549** | **255,679** | **253,170** |

| '000 ლარი<br>2022 წლის 31 დეკემბერს | ევრო | აშშ დოლარი | სხვა ვალუტები | ადგილობრივი ვალუტა | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | | | |
| ფულადი სახსრები სალაროში და ნაშთები სებ-ში (სავალდებულო რეზერვის ჩათვლით) | 93,273 | 187,867 | 1,034 | 79,776 | 361,950 |
| ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში | - | - | - | 82,486 | 82,486 |
| მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ | | 49,692 | | 35,021 | 84,713 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები | 376,986 | 403,180 | - | 345,902 | 1,126,068 |
| სხვა ფინანსური აქტივები | 125 | 1,033 | - | 632 | 1,790 |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **470,384** | **641,772** | **1,034** | **543,817** | **1,657,007** |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| **ვალდებულებები** | | | | | |
| ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ | 147,628 | 559,253 | 822 | 262,685 | 970,388 |
| კლიენტთა ანგარიშები | 305,705 | 92,115 | - | 26,203 | 424,023 |
| სხვა ნასესხები სახსრები | | | | | |
| სუბორდინირებული სესხი | 14,399 | | | | 14,399 |
| საიჯარო ვალდებულება | 84 | 1,342 | - | - | 1,426 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | 1,460 | 146 | - | 900 | 2,506 |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | **469,276** | **652,856** | **822** | **289,788** | **1,412,742** |
| **წმინდა პოზიცია** | **1,108** | **(11,083)** | **211** | **254,029** | **244,265** |
| **წარმოებულების გავლენა** | **-** | **9,087** | **(177)** | **(8,915)** | **(5)** |
| **წმინდა პოზიცია წარმოებულების შემდეგ** | **1,108** | **(1,996)** | **34** | **245,114** | **244,260** |

ვალუტის კურსის ცვალებადობასთან (აშშ დოლარი და ევრო) დაკავშირებული მაქსიმალური მოსალოდნელი ზარალის დადგენის მიზნით, ხორციელდება შვიდი წლის სიძველის ისტორიული სავალუტო ცვლილებების სტატისტიკური ანალიზი და გონივრულად შესაძლებელად არის მიჩნეული საანგარიშგებო თარიღისთვის. ცვლილებების ისტორიული განაკვეთი გამოიყენება 99% და 95%-იან სანდოობის დონეებს დაქვემდებარებული წმინდა უცხოური სავალუტო პოზიციის გამოკვეთის მიზნით.

მიმდინარე სავალუტო პოზიციებზე გამოიყენება 1-წლიანი ფლობის პერიოდი.

| '000 ლარი<br>**2023 წლის 31 დეკემბერს** | **95%-იანი სანდოობა** | **99%-იანი სანდოობა** |
|---|---|---|
| მაქსიმალური ზარალი (VaR) | (804) | (936) |
| საშუალო ზარალი სანდოობის ინტერვალის გადაჭარბების შემთხვევაში | (718) | (799) |

| '000 ლარი<br>**2022 წლის 31 დეკემბერს** | **95%-იანი სანდოობა** | **99%-იანი სანდოობა** |
|---|---|---|
| მაქსიმალური ზარალი (VaR) | (51) | (128) |
| საშუალო ზარალი სანდოობის ინტერვალის გადაჭარბების შემთხვევაში | (116) | (148) |

2023 წლის განმავლობაში, ადგილობრივი ვალუტა ევროსთან მიმართებაში 3.3%-ით, ხოლო აშშ დოლართან მიმართებაში 0.2%-ით გაუფასურდა. ბანკი ინარჩუნებს "დახურული პოზიციების" პოლიტიკას, უცხოური ვალუტის ბაზრებზე ნებისმიერ რყევას მცირე გავლენა ექნება ბანკის ფინანსურ შედეგებზე.

### ii. საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი, რომ მოძრაობას საბაზრო საპროცენტო განაკვეთებში ექნება უარყოფითი გავლენა ბანკის ეკონომიკურ ღირებულებაზე და მის საპროცენტო შემოსავლებზე და საბოლოოდ კაპიტალზე. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადებს შორის არსებული სტრუქტურული განსხვავებების გამო. სესხების საშუალო დაფარვის ვადა ჩვეულებრივ უფრო ხანგრძლივია, ვიდრე კლიენტთა ანაბრების ვადა, რის გამოც, როგორც ზემოთ აღინიშნა, ჯგუფს ექმნება საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკის მისაღებ დონეზე შენარჩუნების მიზნით, ჯგუფის მოკლევადიანი სესხების უმრავლესობა ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთებით, ხოლო გრძელვადიანი სესხები მცოცავი საპროცენტო განაკვეთებით გაიცემა. იმის გათვალისწინებით, რომ საპროცენტო განაკვეთის რისკების შემცირებისთვის (ჰეჯირებისთვის) განკუთვნილი ფინანსური ინსტრუმენტები ხელმისაწვდომია მხოლოდ მყარ ვალუტაში, მაგ. ევროსა და აშშ დოლარში, ჯგუფი იძულებულია მკაცრად აკონტროლოს საპროცენტო განაკვეთის რისკები.

ჯგუფი და ბანკი საპროცენტო განაკვეთის რისკს აფასებს და მართავს ბანკის საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვის პოლიტიკის შესაბამისად.

არსებობს ორი მაჩვენებელი, რომელსაც ბანკი საპროცენტო განაკვეთის რისკის სამართავად იყენებს: ეკონომიკური ღირებულების გავლენა და საპროცენტო შემოსავლების მაჩვენებელი.

*ეკონომიკური ღირებულების რისკი*

ბანკის ეკონომიკური ღირებულება წარმოადგენს ყველა სამომავლო მოსალოდნელი ფულადი ნაკადების წმინდა მიმდინარე ღირებულებას, ანუ აქტივებიდან მოსალოდნელი ფულადი შემოდინებების მიმდინარე ღირებულებას გამოკლებული ვალდებულებებიდან მოსალოდნელი ფულადი გადინებების მიმდინარე ღირებულება. იმ მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება რომლებიც დამოკიდებულია ბანკის არასაბალანსო ერთეულების საპროცენტო განაკვეთებზე, ასევე არის გათვალისწინებული. ეკონომიკური ღირებულების რისკი არის რისკი, რომ უკვე შეთანხმებული, საპროცენტო განაკვეთზე მგრძნობიარე აქტივებიდან და ვალდებულებებიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების წმინდა მიმდინარე ღირებულება შემცირდება.

ეკონომიკური ღირებულების რისკი ფასდება ეკონომიკური ღირებულების გავლენით, რომელიც წარმოადგენს ბანკის სამომავლო ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების ცვლილებას, რომელიც გამოიწვევდა საპროცენტო განაკვეთის შოკის შემთხვევას. ეკონომიკური ღირებულების რისკს აქვს უფრო გრძელვადიანი პერსპექტივა და შესაბამისად გამოავლენს რისკს რომელიც გრძელვადიანი გადაფასებიდან წარმოიქმნება. ეკონომიკური ღირებულების გავლენის ზომა დამოკიდებულია გადაფასების სტრუქტურაზე და პროცენტის მიმართ მგრძნობიარე აქტივების და ვალდებულებების სტრუქტურასა და მახასიათებლებზე, ასევე ნაკისრი საპროცენტო განაკვეთის ცვლილებაზე.

*საპროცენტო შემოსავლების რისკი*

საპროცენტო შემოსავლის რისკი ითვალისწინებს თუ რა გავლენა ექნებოდა საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას ბანკის მომგებიანობაზე, განსაზღვრული დროის ინტერვალში, მისი მიმდინარე გადაფასების სტრუქტურის გათვალისწინებით. საპროცენტო შემოსავლის რისკს აქვს მოკლე-ვადიანი პერსპექტივა (დაახლოებით ერთ წლამდე) და ავლენს უფრო მოკლევადიანი გადაფასების შეუსაბამობებიდან წარმოქმნილ რისკს. ის ფასდება საპროცენტო შემოსავალზე ზემოქმედებით, აგრეთვე ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების ცვლილებით გამოწვეული შედეგის გათვალისწინებით.

ევროსთვის და აშშ დოლარისთვის, საპროცენტო განაკვეთის მრუდის პარალელური ცვლილება +/- 200 საბაზისო პუნქტით არის ნავარაუდები. ადგილობრივი ვალუტისთვის, შოკის განმარტება წარმოიშვება ისტორიული საპროცენტო განაკვეთის არასტაბილურობიდან ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის რისკის პოლიტიკიდან უკანასკნელი შვიდი გადახვევის განმავლობაში და საპროცენტო განაკვეთის ლიმიტების დარღვევა უნდა დამტკიცდეს მშობელი კომპანიის ზოგადი რისკების მართვის კომიტეტის მიერ.

ჯგუფის საპროცენტო განაკვეთის რისკის პოზიციას მონიტორინგს ზოგადი რისკების მართვის კომიტეტი და ALCO უწევს. ეს მაჩვენებლებიც ეცნობება მშობელი კომპანიის ზოგადი რისკების მართვის კომიტეტს.

გადაფასების რისკის თვალსაზრისით, საპროცენტო განაკვეთის რისკის მონიტორინგისა და შეზღუდვის გარდა, ჯგუფი ასევე მიზნად ისახავს საპროცენტო შემოსავლისა და საპროცენტო ხარჯების მქონე თავისი აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადების შესაბამისობაში მოყვანას.

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ჯგუფის და ბანკის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჯამური თანხები საბალანსო ღირებულებებით, რომლებიც კლასიფიცირდება სახელშეკრულებო პროცენტის გადაფასების, ან დაფარვის ვადის თარიღის მიხედვით, რომელიც უფრო ადრე დადგება.

| '000 ლარი<br>2023 წლის 31 დეკემბერს | 1 თვემდე | 1-3 თვე | 3-6 თვე | 6-12 თვე | 1-5 წლამდე | 5 წელი | უპროცენტო | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | | | | | | |
| ფულადი სახსრები და ნაშთები სებ-ში (სებ-ში ფლობილი სავალდებულო რეზერვების ჩათვლით) | 277,088 | - | - | - | - | - | 69,752 | 346,840 |
| მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ | 106,542 | - | - | - | - | - | 61 | 106,603 |
| ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში | 19,905 | 21,693 | 27,127 | 23,221 | 22,354 | - | - | 114,302 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები | 34,827 | 261,047 | 188,392 | 285,059 | 375,603 | 15,698 | 7,694 | 1,168,320 |
| სხვა ფინანსური აქტივები | | | | | | | 3,537 | 3,537 |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **438,362** | **282,740** | **215,520** | **308,280** | **397,958** | **15,698** | **81,044** | **1,739,601** |
| | | | | | | | | |
| **ვალდებულებები** | | | | | | | | |
| კლიენტთა ანგარიშები | 484,225 | 33,985 | 46,904 | 117,598 | 96,968 | 9,723 | 270,365 | 1,059,767 |
| სხვა ნასესხები სახსრები | 62,725 | 44,851 | 100,243 | 77,648 | 116,663 | - | 5,613 | 407,742 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | - | - | - | - | - | - | 2,217 | 2,217 |
| საიჯარო ვალდებულება | - | - | - | - | - | - | 1,818 | 1,818 |
| სუბორდინირებული სესხი | - | - | - | - | - | 14,879 | 7 | 14,886 |
| **სულ ვალდებულებები** | **546,950** | **78,835** | **147,147** | **195,246** | **228,509** | **9,723** | **280,020** | **1,486,430** |
| **წმინდა საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისადმი მგრძნობელობა** | **(108,588)** | **203,905** | **68,373** | **113,034** | **169,449** | **5,976** | | |

| '000 ლარი<br>2022 წლის 31 დეკემბერს | 1 თვემდე | 1-3 თვე | 3-6 თვე | 6-12 თვე | 1-5 წელი | 5 წელზე მეტი | უპროცენტო | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | | | | | | |
| ფულადი სახსრები სალაროში და ნაშთები სებ-ში (სავალდებულო რეზერვის ჩათვლით) | 81,757 | - | - | - | - | - | 279,435 | 361,192 |
| მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ | 84,712 | - | - | - | - | - | 1 | 84,713 |
| გასაყიდად ხელმისაწვდომი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები | 14,880 | 11,740 | 33,419 | - | 22,401 | - | 47 | 82,486 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები | 223,899 | 113,280 | 155,601 | 219,117 | 366,252 | 40,444 | 7,475 | 1,126,068 |
| სხვა ფინანსური აქტივები | | | | | | | 1,790 | 1,790 |
| **სულ ფინანსური აქტივები** | **405,247** | **125,020** | **189,020** | **219,117** | **388,653** | **40,444** | **288,748** | **1,656,249** |
| | | | | | | | | |
| **ვალდებულებები** | | | | | | | | |
| კლიენტთა ანგარიშები | 433,460 | 37,645 | 26,593 | 89,903 | 88,240 | 34,995 | 260,376 | 971,212 |
| სხვა ნასესხები სახსრები | 81,272 | 32,860 | 35,773 | 32,688 | 223,238 | 14,395 | 3,798 | 424,024 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | - | - | - | - | - | - | 2,505 | 2,505 |
| საიჯარო ვალდებულება | - | - | - | - | - | - | 1,426 | 1,426 |
| სუბორდინირებული სესხი | - | - | - | - | - | 14,395 | 5 | 14,399 |
| **სულ ვალდებულებები** | **514,731** | **70,506** | **62,366** | **122,591** | **311,478** | **63,784** | **268,110** | **1,413,566** |
| **წმინდა საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისადმი მგრძნობელობა** | **(109,484)** | **54,514** | **126,654** | **96,527** | **77,175** | **(23,340)** | | |

რაოდენობრივი თვალსაზრისით, საპროცენტო განაკვეთის მერყეობასთან დაკავშირებული რისკები ამჟამად შეზღუდულია იმის დაშვებით, რომ ჯგუფის და ბანკის საპროცენტო განაკვეთის რისკი (ეკონომიკურ ღირებულებაზე ზეგავლენა მიმდინარე ღირებულებით), რომელიც გამოწვეულია საპროცენტო განაკვეთის შოკით +/- 200 საბაზისო პუნქტით ევროში/აშშ დოლარში და ყველაზე უარესი ისტორიული სცენარით ადგილობრივ ვალუტაში, არ უნდა აღემატებოდეს სულ კაპიტალის 15%-ს ყველა ვალუტაში. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი და ბანკი ამ მოთხოვნებს შეესაბამებოდა. ახალი მოდელის მიხედვით, პოზიტიური შედეგები განიხილება როგორც ნულის ტოლი. კუმულაციურ საპროცენტო შემოსავლებზე გავლენა 12 თვის განმავლობაში, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შემდეგ მაჩვენებლებს იძლევა:

| '000 ლარი | **გავლენა მოგებაზე ან ზარალზე (ტოლია კაპიტალზე ზეგავლენისა)** | | | |
|---|---|---|---|---|
| | სავარაუდო მოვლენათა უარყოფითი განვითარების შემთხვევა | | სტრესულ მოვლენათა განვითარების შემთხვევა | |
| | 2% | -2% | 5% | -5% |
| ევრო | - | (1,180) | - | (2,800) |
| აშშდ | - | (615) | - | (2,520) |
| ლარი | - | (6,327) | - | (14,462) |
| | **-** | **(8,122)** | **-** | **(19,782)** |

კუმულაციურ საპროცენტო შემოსავლებზე ზეგავლენა, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, იყო შემდეგი:

| '000 ლარი | **გავლენა მოგებაზე ან ზარალზე (ტოლია კაპიტალზე ზეგავლენისა)** | | | |
|---|---|---|---|---|
| | სავარაუდო მოვლენათა უარყოფითი განვითარების შემთხვევა | | სტრესულ მოვლენათა განვითარების შემთხვევა | |
| | 2% | -2% | 5% | -5% |
| ევრო | - | (943) | - | (1,991) |
| აშშდ | - | (920) | - | (3,738) |
| ლარი | - | (5,512) | - | (13,532) |
| | - | (7,375) | - | (19,261) |

საპროცენტო განაკვეთის მგრძნობელობის გამოთვლის ვარიანტები აღებულია ბაზელის რეგულაციებიდან.

ჯგუფი და ბანკი აკონტროლებს საპროცენტო განაკვეთებს თავისი ფინანსური ინსტრუმენტებისთვის თითოეული ძირითადი ვალუტის მიხედვით. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში მოცემულია საშუალო საპროცენტო განაკვეთები წამყვანი ხელმძღვანელობის მიერ განხილულ ანგარიშებზე დაყრდნობით:

**2023 წლის 31 დეკემბერს**

| % წლიური | **ევრო** | **აშშ დოლარი** | **ლარი** |
|---|---|---|---|
| **ფინანსური აქტივები** | | | |
| მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ | 3.00 | 4.00 | 9.73 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები | 6.42 | 6.83 | 13.06 |
| **ფინანსური ვალდებულებები** | | | |
| კლიენტთა ანგარიშები | 0.66 | 1.98 | 4.72 |
| სხვა ნასესხები სახსრები | 3.45 | 6.70 | 8.45 |
| სუბორდინირებული სესხი | 5.94 | - | - |

**2022 წლის 31 დეკემბერს**

| % წლიური | **ევრო** | **აშშ დოლარი** | **ლარი** |
|---|---|---|---|
| **ფინანსური აქტივები** | | | |
| მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ | - | 4.10 | 11.10 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები | 5.61 | 6.52 | 14.03 |

| | | | |
|---|---|---|---|
| **ფინანსური ვალდებულებები** | | | |
| კლიენტთა ანგარიშები | 0.50 | 1.58 | 4.80 |
| სხვა ნასესხები სახსრები | 2.22 | 4.19 | 9.47 |
| სუბორდინირებული სესხი | 5.94 | - | - |

### i. ქვეყნის რისკი

ქვეყნის რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ჯგუფმა და ბანკმა შეიძლება ვერ მოახერხოს გარკვეულ აქტივებზე უფლების განხორციელება უცხოურ ქვეყანაში (ქონების ჩამორთმევის რისკი), ან რისკი იმისა, რომ უცხო ქვეყანაში მოქმედი კონტრაგენტი ვერ მოახერხებს ვალდებულების დაკმაყოფილებას ამ უცხო ქვეყანაში არსებული კონკრეტული პოლიტიკური, ეკონომიკური, ან სოციალური რისკების გამო, რაც უარყოფით გავლენას მოახდენს საკრედიტო რისკზე (გადაცემის და კონვერტაციის რისკი). ჯგუფის და ბანკის საქმიანობის ხასიათიდან და ჯგუფის და ბანკის სამოქმედო ქვეყნების სპეციფიკიდან გამომდინარე, ჯგუფი/ბანკი უფრო ფართო მნიშვნელობით განმარტავს ქვეყნის რისკს, რომელიც ითვალისწინებს, რომ ქვეყნისთვის დამახასიათებელმა მნიშვნელოვანმა გარე მაკროეკონომიკურმა, საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა, ან მარეგულირებელმა ფაქტორებმა შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს ჯგუფის/ბანკის მოგებაზე, კაპიტალსა თუ ლიკვიდობაზე. კერძოდ, ის მოიცავს ჯგუფის და ბანკის საქმიანობაში მთავრობის პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩარევის რისკს ნაციონალიზაციის ან ქონების კონფისკაციის ფორმით, ან მნიშვნელოვან საბაზრო თუ მარეგულირებელი ორგანოების ჩარევას.
ჯგუფის/ბანკის ბიზნეს სტრატეგია არის ადგილობრივ ბაზარზე მცირე და საშუალო ზომის ბიზნესების სესხებზე მოთხოვნის დაკმაყოფილება. მაშასადამე, იგი ჩვეულებრივ არ მონაწილეობს საერთაშორისო ტრანზაქციებში და არ იღებს თავის თავზე ქვეყნის რისკებს. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, ფინანსური რისკის მართვისთვის ჯგუფს/ბანკს შეიძლება დასჭირდეს საერთაშორისო ტრანზაქციების განხორციელება, მაგ. მაღალრეიტინგული საერთაშორისო და მულტინაციონალური ორგანიზაციების ობლიგაციებში ჭარბი ლიკვიდობის დაბანდების მიზნით.

ფართო მნიშვნელობით ქვეყნის რისკის საკითხები განხილულია ჯგუფის/ბანკის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდურობის, კონტრაგენტის/ემიტენტის და საოპერაციო რისკების მართვის პოლიტიკასა და მეთოდოლოგიებში. საერთაშორისო რისკებს აკონტროლებენ ჯგუფის/ბანკის და მშობელი კომპანიის რისკების მართვის თანამშრომლები, ჯგუფს/ბანკს ქვეყნის რისკი მხოლოდ შეზღუდულად ემუქრება.

### (j) საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი განისაზღვრება როგორც ზარალის რისკი შეუსაბამო ან წარუმატებელი შიდა პროცესებისგან, ადამიანებისგან ან სისტემებისგან ან გარე მოვლენებისგან. აღნიშნული განმარტება მოიცავს თაღლითობის რისკს, IT და ინფორმაციული უსაფრთხოების რისკებს, იურიდიულ რისკებს, რეპუტაციისა და აუთსორსინგის რისკებს. საოპერაციო რისკის მართვის პოლიტიკები 2009 წლიდან დაინერგა; ისინი დამტკიცებულია ბანკის ხელმძღვანელობის მიერ და ყოველწლიურად არის განახლებული. პოლიტიკებში მოცემული პრინციპები შეესაბამება საოპერაციო რისკზე სტანდარტიზებული მიდგომის მოთხოვნებს, CRR-ის, საქართველოს ეროვნული ბანკის საოპერაციო რისკების მართვის რეგულაციების, საქართველოს ეროვნული ბანკის კიბერუსაფრთხოების სტრუქტურის და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკების შესაბამისად.

საოპერაციო რისკის მართვის მიზანი არის რისკების ადრეულ ეტაპზე გამოვლენა და ზარალის შემთხვევების განმეორების თავიდან აცილება. ჯგუფის ფარგლებში გამოყენებული ძირითადი ინსტრუმენტები არის შემდეგი: „რისკის შემთხვევის მონაცემთა ბაზა (RED)“, საოპერაციო და თაღლითობის რისკების ყოველწლიური შეფასება, დადგენილი „ძირითადი რისკის მაჩვენებლები (KRI)“ და ყველა ახალი მომსახურების და პროცესების „ახალი რისკის დამტკიცების პროცესის“ (NRA) სტრუქტურირებული პროცედურის საშუალებით ანალიზი.

„რისკის შემთხვევის მონაცემთა ბაზა“ შეიქმნა იმისათვის, რომ პროკრედიტ ჯგუფში გამოვლენილი ყველა საოპერაციო რისკის შემთხვევა იყოს დოკუმენტირებული, გაანალიზებული და მისი ეფექტური კომუნიკაცია მოხდეს. პროკრედიტის ყველა ბანკი დოკუმენტურად ასახავს მის რისკის შემთხვევებს არსებული სტრუქტურის გამოყენებით, რაც უზრუნველყოფს რომ შესაბამისი ყურადღება დაეთმოს აუცილებელი მაკორექტირებელი და პრევენციული ზომების დანერგვას საოპერაციო და თაღლითობის რისკების შესამცირებლად ან თავიდან ასაცილებლად.

რისკების შემთხვევების შემდგომი ანალიზისგან განსხვავებით, როგორც ეს აღრიცხულია რისკების შემთხვევების მონაცემთა ბაზაში, ყოველწლიური რისკის შეფასებები სისტემატიურად ხორციელდება ძირითადი რისკების გამოვლენის და შეფასების და კონტროლის გარემოს შესაბამისობის შეფასების მიზნით. აღნიშნული ორი ინსტრუმენტი ავსებს ერთმანეთს და უზრუნველყოფს პროკრედიტ ბანკის საოპერაციო რისკის პროფილის საერთო სურათს.

რისკის მაჩვენებლები ასევე გამოიყენება საბანკო ოპერაციების კონკრეტულ სფეროებში თაღლითობის გაზრდილი რისკის ან კონკრეტული წერტილების გამოსავლენად, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნას პოტენციური თაღლითების მიერ. აღნიშნული მაჩვენებლების ანალიზი რეგულარულად ხორციელდება და საჭიროების შემთხვევაში ხდება პრევენციულ ზომებზე შეთანხმება.

საოპერაციო რისკის მართვის დასრულებისთვის, ყველა ახალი მომსახურება დანერგვამდე უნდა იყოს გაანალიზებული, პოტენციური რისკების გამოვლენის და მართვის მიზნით (NRA პროცესი).

IT რისკების შეზღუდვის მიზნით, პროკრედიტ ჯგუფს დადგენილი აქვს IT ინფრასტრუქტურის, ბიზნესის უწყვეტობის და ინფორმაციული უსაფრთხოების უზრუნველყოფის სტანდარტები. ბანკის დონეზე, პროკრედიტ ბანკს IT/ინფორმაციული უსაფრთხოების რისკის მართვის სტრუქტურაში სებ-ის მიერ დაწესებული მოთხოვნები აქვს ჩართული. ინფორმაციული უსაფრთხოების და ბიზნეს უწყვეტობის რეგულარული კონტროლი არსებული პროცესების და პროცედურების ნაწილს წარმოადგენს. ბანკი ახორციელებს მისი საინფორმაციო აქტივების კლასიფიკაციას და ატარებს მისი ძირითადი ინფორმაციული აქტივების ყოველწლიურ რისკის შეფასებას. ბანკში დანერგილი ბიზნეს უწყვეტობის სტრუქტურა უზრუნველყოფს, რომ ყველა თანამშრომელმა გაიგოს აღნიშნული რისკები, ძირითადი პროცესები იყოს გამოვლენილი და რესურსები იყოს განაწილებული ოპერაციების აღსადგენად, პროცესების უპირატესობის განსაზღვრის შესაბამისად.

**(e) ფულის გათეთრების საწინააღმდეგო საქმიანობა**

პროკრედიტ ბანკისთვის ძალიან მნიშვნელოვანია გამჭირვალე და სოციალურად პასუხისმგებლიანი საბანკო მომსახურების უზრუნველყოფა. ჯგუფის/ბანკის ქცევის კოდექსი და გამონაკლისების სია, ერთად ქმნის სავალდებულო სტრუქტურას რომელსაც ყველა თანამშრომელი უნდა დაემორჩილოს. ის დოკუმენტურად ასახავს პროკრედიტის უარს წამოიწყოს საქმიანი ურთიერთობები პირებთან ან კომპანიებთან, რომელთა საქმიანობა არ შეესაბამება პროკრედიტის ჯგუფის ან ბანკის ეთიკურ ღირებულებებს.

პროკრედიტ ბანკი ემორჩილება ჯგუფის/ბანკის ფულის გათეთრების წინააღმდეგ ერთიანი პოლიტიკის სტრუქტურას (ჯგუფის „ფულის გათეთრების საწინააღმდეგო“ პოლიტიკა) და ჯგუფის თანმდევ სტანდარტებსა და სახელმძღვანელო მითითებებს, რომლებიც შესაბამისობაშია გერმანიის და ევროკავშირის მარეგულირებელ მოთხოვნებთან და ასევე ბაზელის კომიტეტის მიერ „საბანკო ზედამხედველობაზე“ და „ფინანსური ღონისძიებების სამოქმედო ჯგუფის“ (FATF) ფულის გათეთრების წინააღმდეგ გამოშვებულ სახელმძღვანელო მითითებებთან. ფულის გათეთრების წინააღმდეგობის სფეროში საერთაშორისო სტანდარტების და საუკეთესო პრაქტიკების გამოყენების გარდა, პროკრედიტ ბანკი ეროვნულ წესებსა და რეგულაციებს, ასევე საერთაშორისო სანქციებს ემორჩილება.

ჯგუფის/ბანკის ფულის გათეთრების საწინააღმდეგო სტრუქტურა მოიცავს შემდეგ ძირითად ელემენტებს:

- ჯგუფის/ბანკის ფულის გათეთრების საწინააღმდეგო გუნდი პროკრედიტ ჰოლდინგში მოქმედებს როგორც პროკრედიტის ჯგუფის ფარგლებში ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსების და თაღლითობის თავიდან აცილების ძირითადი განყოფილება. ჯგუფის პოლიტიკის სტრუქტურის უზრუნველყოფის და ფულის გათეთრების საწინააღმდეგო ტრენინგების ჩატარების გარდა, ფულის გათეთრების საწინააღმდეგო გუნდი რეგულარულად ატარებს მაკონტროლებელ ოპერაციებს პროკრედიტის ბანკებში, ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკის დანერგვის მონიტორინგის მიზნით.
- ბანკი ნიშნავს ფულის გათეთრების წინააღმდეგობაზე პასუხისმგებელ თანამშრომელს, რომელიც რეგულარულად აბარებს ანგარიშს ბანკის ხელმძღვანელთა საბჭოს (ან საზედამხედველო საბჭოს, აუცილებლობის შემთხვევაში) და ჯგუფის ფულის გათეთრების წინააღმდეგობაზე პასუხისმგებელ თანამშრომელს პროკრედიტ ჰოლდინგში.
- მუდმივად ტარდება ფულის გათეთრების საწინააღმდეგო ტრენინგები ბანკის თანამშრომლებისთვის, როდესაც თანამშრომლები უერთდებიან ბანკს, და უწყვეტ საფუძველზე, ბანკის ტრენინგების გეგმის სტრუქტურის ფარგლებში, ჯგუფის ფულის გათეთრების საწინააღმდეგო პოლიტიკის შესაბამისად.
- "ჯგუფის კლიენტების დიუ-დილიჯენსის (CDD)" სტანდარტის შესაბამისად, პროკრედიტ ბანკი მისი კლიენტების „დიუ-დილიჯენსის" პროცედურებში იყენებს მკაცრ „იცნობდეთ თქვენს კლიენტს (Know Your Customer (KYC))" წესებს.
- ბანკი ინარჩუნებს რისკის კლასიფიკაციის სისტემას მისი კლიენტებისთვის და შესაბამისად იყენებს „დიუ-დილიჯენსის" და მონიტორინგის პროცედურებს.
- ბანკის ყველა კლიენტი და გარიგება შესაბამისი საერთაშორისო სანქციების და ემბარგოების, ისევე როგორც „პოლიტიკურად დაუცველი პირების (PEP)" ეროვნული და შიდა სიების, საპირწონედ შემოწმებას ექვემდებარება.
- ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსების, თაღლითობის და სხვა ფინანსური დანაშაულის რისკი ყოველწლიურად ფასდება მთლიანი პროკრედიტის ჯგუფისთვის, რაც იძლევა საშუალებას რომ გამოვლენილი რისკები იყოს აღმოფხვრილი და შემსუბუქებული კონკრეტული ზომების საშუალებით.
- ბანკი თანამშრომლობს ქვეყანაში არსებულ სისხლის სამართლის გამოძიების ორგანოებთან. ყველა საქმიანობა რომელიც ფულის გათეთრების, ტერორიზმის დაფინანსების ან სხვა ფინანსური დანაშაულის ეჭვს იწვევს ანგარიშგებულია პასუხსიმგებელ „ფინანსური დაზვერვის განყოფილებებში (FIU)", ისევე როგორც ჯგუფის ფულის გათეთრების წინააღმდეგობაზე პასუხისმგებელ ოფიცერთან. ჯგუფის დონეზე, ჯგუფის ფულის გათეთრების წინააღმდეგობაზე პასუხისმგებელი თანამშრომელი თანამშრომლობს სისხლის სამართლის გამოძიებასთან და გერმანიაში და საზღვარგარეთ არსებულ სამართალდამცავ ორგანოებთან.

პროკრედიტ ბანკს დადგენილი აქვს შესაბამისობის განყოფილება, რომელიც პასუხისმგებელია ეროვნულ საბანკო რეგულაციებთან შესაბამისობაზე და რომელიც რეგულარულად აბარებს საგანგებო ანგარიშს ბანკის ხელმძღვანელობას და ჯგუფის შესაბამისობაზე პასუხისმგებელ თანამშრომელს.

ბანკი არის სრულ შესაბამისობაში ყველა მარეგულირებელ მოთხოვნასთან, რომელიც ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების თავიდან აცილებას ეხება. ამასთანავე, ბანკს ჯგუფის ფარგლებში, დანერგილი აქვს სახელმძღვანელო მითითებები ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების თავიდან ასაცილებლად, რაც ბევრ შემთხვევაში უფრო მკაცრია ვიდრე ქვეყანაში მოქმედი იურიდიული მოთხოვნები.

## 28. ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

ჯგუფის და ბანკის გარკვეული სააღრიცხვო პოლიტიკა და ინფორმაცია საჭიროებს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრას. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა შეფასებისა და განმარტების მიზნებისათვის. ჯგუფი სამართლიან ღირებულებას განსაზღვრავს ქვემოთ მოცემული სამართლიანი ღირებულების იერარქიის მიხედვით, რომელიც აღნიშნული შეფასებების ფორმირებისას გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას ასახავს:

- დონე 1: კოტირებული საბაზრო ფასი (კორექტირების გარეშე) აქტიურ ბაზარზე ანალოგიური ფინანსური ინსტრუმენტისთვის.
- დონე 2: მონაცემები გარდა პირველ დონეში შემავალი მონაცემებისა, რომლებიც დაკვირვებადია როგორც პირდაპირ (ფასები), ასევე ირიბად (ფასებისაგან წარმოებული). ამ კატეგორიაში შედის ინსტრუმენტები, რომლებიც ფასდება შემდეგი მეთოდების გამოყენებით: აქტიურ ბაზარზე ანალოგიური ინსტრუმენტების კოტირებული საბაზრო ფასები; ნაკლებად აქტიურ ბაზრებად მიჩნეულ ბაზრებზე ანალოგიური ინსტრუმენტების კოტირებული ფასები; ან სხვა შეფასების მეთოდები, რომლებშიც ყველა არსებითი შეტანილი მონაცემი პირდაპირ ან ირიბად არის დაკვირვებადი საბაზრო მონაცემებიდან.
- დონე 3: არადაკვირვებადი მონაცემები. ამ კატეგორიაში შედის ყველა ის ინსტრუმენტი, რომლის შეფასების მეთოდები მოიცავს არადაკვირვებად საბაზრო მონაცემებზე დაფუძნებულ საწყის პარამეტრებს და არადაკვირვედად საწყის პარამეტრებს, რომლებსაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვთ ინსტრუმენტის შეფასებაზე. ამ კატეგორიაში შედის ინსტრუმენტები, რომლებიც ფასდება ანალოგიურ ინსტრუმენტებზე კოტირებული ფასების მიხედვით, რისთვისაც საჭიროა მნიშვნელოვანი არადაკვირვებადი კორექტირებების თუ დაშვებების გამოყენება ინსტრუმენტებს შორის არსებული სხვაობების ასახვის მიზნით.

ჯგუფი და ბანკი აფასებს ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების სამართლიან ღირებულებას 2023 წლის და 2022 წლების 31 დეკემბრისთვის. შედეგები მოცემულია შემდეგ ცხრილში:

| '000 ლარი | | 2023 | | 2022 | |
|---|---|---|---|---|---|
| | დონე | საბალანსო ღირებულება | სამართლიანი ღირებულება | საბალანსო ღირებულება | სამართლიანი ღირებულება |
| **ფინანსური აქტივები** | | | | | |
| ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები | დონე 2 | 176,536 | 176,536 | 162,437 | 162,437 |
| სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტები სებ-ში | დონე 2 | 170,304 | 170,304 | 199,513 | 199,513 |
| მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ | დონე 2 | 106,603 | 106,603 | 84,713 | 84,713 |
| მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები | დონე 2 | 4 | 4 | 3 | 3 |
| ინვესტიციები სავალო ფასიან ქაღალდებში | დონე 2 | 114,302 | 115,078 | 82,486 | 83,403 |
| კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები | დონე 3 | 1,168,320 | 1,167,566 | 1,126,068 | 1,105,470 |
| სხვა ფინანსური აქტივები | დონე 3 | 3,537 | 3,537 | 1,790 | 1,790 |
| **სულ ფინანსური აქტივები** | | **1,739,605** | **1,739,628** | **1,657,010** | **1,637,330** |

| '000 ლარი | | 2023 | | 2022 | |
|---|---|---|---|---|---|
| | დონე | საბალანსო ღირებულება | სამართლიანი ღირებულება | საბალანსო ღირებულება | სამართლიანი ღირებულება |
| **ფინანსური ვალდებულებები** | | | | | |
| ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ | დონე 2 | - | - | - | - |
| კლიენტთა ანგარიშები | | | | | |
| მიმდინარე ანგარიშები | დონე 2 | 261,913 | 261,913 | 254,180 | 254,180 |
| შემნახველი ანგარიშები | დონე 2 | 474,159 | 474,159 | 413,507 | 413,507 |
| ვადიანი ანაბრები | დონე 3 | 320,914 | 318,199 | 300,583 | 297,241 |
| სხვა ვალდებულებები კლიენტების მიმართ | დონე 2 | 2,781 | 2,781 | 2,118 | 2,118 |
| სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები | დონე 3 | 4 | 4 | 8 | 8 |
| სხვა ნასესხები სახსრები | დონე 3 | 407,742 | 401,642 | 424,024 | 410,381 |
| სხვა ფინანსური ვალდებულებები | დონე 3 | 2,217 | 2,217 | 2,505 | 2,505 |
| სუბორდინირებული სესხი | დონე 3 | 14,886 | 10,350 | 14,399 | 10,252 |
| **სულ ფინანსური ვალდებულებები** | | **1,484,617** | **1,471,266** | **1,411,324** | **1,390,192** |

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის დადებულ სტანდარტულ ოპერაციაში აქტივის გაყიდვიდან მიღებული ან ვალდებულების გადაცემისთვის გადახდილი ფასის მიახლოება. თუმცა, გაურკვევლობებიდან და სუბიექტური მსჯელობის გამოყენებიდან გამომდინარე, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული როგორც რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებელი გაყიდვისას ან ვალდებულებების გადაცემისას.

ჯგუფმა განსაზღვრა სამართლიანი ღირებულებები შეფასების ტექნიკების გამოყენებით. შეფასების ტექნიკის მიზანს წარმოადგენს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა, რომელიც ასახავს იმ ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვით ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადაცემით შეფასების თარიღისთვის ბაზრის მონაწილეებს შორის სტანდარტულ ოპერაციაში. გამოყენებული შეფასების ტექნიკა წარმოადგენს დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელს.

ცვალებადი საპროცენტო განაკვეთების მქონე ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება, რომელთა კოტირება არ ხდება აქტიურ ბაზარზე, ტოლია მათი საბალანსო ღირებულებისა. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთების მქონე არაკოტირებული ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება შეფასდა სავარაუდო ფულადი ნაკადების მიხედვით, რომელთა მიღება მოსალოდნელია, დისკონტირებული მიმდინარე საპროცენტო განაკვეთებით, მსგავსი საკრედიტო რისკის და ნარჩენი ვადიანობის მქონე ახალი ინსტრუმენტებისთვის. იმ შემთხვევაში თუ დაკვირვებადი საბაზრო განაკვეთები არ არის ხელმისაწვდომი ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვის, მაშინ გამოიყენება მშობელი კომპანიის სახაზინო განაკვეთები დისკონტირებული ფულადი ნაკადების მოდელში შეტანილი მონაცემის სახით. მშობელი კომპანიის სახაზინო განაკვეთები განისაზღვრება კაპიტალის ღირებულების გათვალისწინებით, რომელიც დამოკიდებულია ვალუტებსა და დაფარვის ვადებზე, დამატებული რისკის მარჟა, რომელიც, თავის მხრივ, თითოეული ბანკისთვის დადგენილი შიდა რისკის რეიტინგზეა დამოკიდებული. ეს შიდა განაკვეთები რეგულარულად უნდა შედარდეს მესამე მხარეების გარიგებების შემთხვევაში გამოყენებულს.

შესაძლებლობის შემთხვევაში, სესხების და ავანსების სამართლიანი ღირებულება დაკვირვებად საბაზრო გარიგებებზე არის დაფუძნებული. იმ შემთხვევაში როდესაც დაკვირვებადი საბაზრო გარიგებები არ არის ხელმისაწვდომი, სამართლიანი ღირებულება ფასდება ჯგუფის საკუთარი სამართლიანი ღირებულების მოდელის გამოყენებით, როგორიც არის დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდი.

შეტანილი მონაცემები შეფასების მეთოდის გამოყენებით, მოიცავს მოსალოდნელ არსებობის მანძილზე საკრედიტო ზარალებს, საპროცენტო განაკვეთებს და წინასწარი დაფარვის განაკვეთებს. ბანკების და კლიენტების დეპოზიტების სამართლიანი ღირებულება ფასდება დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდების გამოყენებით, მსგავსი დაფარვის ვადების და პირობების მქონე დეპოზიტებისთვის შეთავაზებული განაკვეთების გამოყენებით. მოთხოვნამდე დეპოზიტების სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს საანგარიშგებო თარიღისთვის გადასახდელ ოდენობას.

## 29. პირობითი ვალდებულებები

ჯგუფს/ბანკს აქვს კრედიტის გაცემის დაუკმაყოფილებელი ვალდებულება. აღნიშნული ვალდებულებები ითვალისწინებს საკრედიტო რესურსების გაცემას დამტკიცებული სესხების ან ოვერდრაფტების სახით. ჯგუფი/ბანკი გასცემს ფინანსურ გარანტიებს და აკრედიტივებს თავისი კლიენტების მიერ მესამე მხარეების წინაშე ნაკისრი ვალდებულებების უზრუნველყოფის მიზნით. აღნიშნულ ხელშეკრულებებში გათვალისწინებულია ფიქსირებული ლიმიტი და მათი ვადა, როგორც წესი ხუთ წლამდე გრძელდება.

საკრედიტო ვალდებულებების, ფინანსური გარანტიების და აკრედიტივების გაცემისას ჯგუფი/ბანკი იყენებს საკრედიტო რისკების მართვის იგივე პოლიტიკასა და პროცედურებს, რაც კლიენტებზე კრედიტებისა და ავანსების გაცემის შემთხვევაში.

’000 ლარი

| 31 დეკემბრისთვის | 2023 | 2022 |
|---|---|---|
| ფინანსური გარანტიები და სარეზერვო აკრედიტივები | 9,873 | 10,616 |
| ვალდებულებების შესრულების გარანტიები | 69,268 | 53,178 |
| სესხის გაცემის ვალდებულებები: | | |
| -ერთწლიანი ან ნაკლები თავდაპირველი დაფარვის ვადით | 91,202 | 87,801 |
| - ერთ წელზე მეტი თავდაპირველი დაფარვის ვადით | 1,116 | 2,223 |
| **სულ** | **171,459** | **153,817** |

2022 წლის 31 დეკემბრისთვის, ჯგუფი/ბანკი მის ვალდებულებებს გასცეს კრედიტი, ფინანსური გარანტიები და სარეზერვო აკრედიტივები პირველ და მეორე ეტაპებში ანაწილებს (აღნიშნული საკრედიტო საშუალებების ძირითადი ნაწილი ეტაპი 1-ში არის განაწილებული), ფასს 9-ის ფარგლებში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დადგენის მიზნებისთვის (2022 წლის 1 იანვარი: ეტაპი 1 და 2). ჯგუფი/ბანკი ითვლის ვალდებულებების შესრულების გარანტიების ანარიცხს ბასს 37-ის მიხედვით. საანგარიშგებო თარიღებისთვის, ხელმძღვანელობა ამტკიცებს, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის არა-არსებითი. ცხრილში წარმოდგენილია პირობითი ვალდებულებების და გარანტიების ნომინალური ძირი თანხები, ანუ რისკს დაქვემდებარებული ოდენობები, თუ ხელშეკრულებები სრულად იქნება გამოყენებული და კლიენტები დეფოლტირებული. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ გარანტიების და ვალდებულებების მნიშვნელოვან ნაწილს ვადა გაუვა მათი გამოყენების გარეშე; შესაბამისად სახელშეკრულებო ოდენობების ჯამი არ წარმოადგენს მომავალი ლიკვიდურობის მოთხოვნების ამსახველ მაჩვენებელს.

### საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ ბუნდოვანი და ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთისგან განსხვავებული ინტერპრეტაციების საშუალებას იძლევა. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია დააკისროს არანაირი დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ეს ვითარება ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც, სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში გაცილებით უფრო საგრძნობია. ხელძღვანელობა თვლის, რომ საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურია მოქმედი საგადასახადო კოდექსის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციისა. თუმცა, საგადასახადო ორგანოების მიერ აღნიშნული კანონების ინტერპრეტირება შეიძლება განსხვავდებოდეს კომპანიისეული ინტერპრეტაციისაგან და მათ მნიშვნელოვანი გავლენა იქონიონ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუ საგადასახადო ორგანო შესძლებს საკუთარი ინტერპრეტირების არგუმენტირებას.

**სასამართლო დავა**

ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ჯგუფის/ბანკის წინააღმდეგ შეიძლება აღიძრას სასამართლო საქმე ან სარჩელი. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ სასამართლო საქმეებისა ან სარჩელებისგან გამომდინარე საბოლოო პასუხისმგებლობა არ მოახდენს მნიშვნელოვან ზეგავლენას ჯგუფის/ბანკის ფინანსურ მდგომარეობაზე და მის სამომავლო საქმიანობის შედეგებზე.

## 30. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ჯგუფის და ბანკის პირდაპირი მშობელი კომპანიაა ს.ს. პროკრედიტ ჰოლდინგი AG, რომელიც ამზადებს საჯაროდ ხელმისაწვდომ ფინანსურ ანგარიშგებას.

მხარეები, როგორც წესი, დაკავშირებულ მხარეებად ითვლებიან, თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან, ან თუ ერთ მხარეს შესწევს მეორე მხარეზე კონტროლის, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენის უნარი ფინანსური ან საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. თითოეული შესაძლო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას, გათვალისწინებულია ურთიერთობის არსი და არა მხოლოდ მისი იურიდიული ფორმა. წამყვანი ხელმძღვანელობა მოიცავს ჯგუფის და ბანკის აღმასრულებელ დირექტორებსა და მათ ახლო ოჯახის წევრებს.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს და ბანკს დაკავშირებულ მხარეებთან შემდეგი დაუფარავი ნაშთები აქვს:

| '000 ლარი<br>**31 დეკემბრისთვის** | **სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთი, p.a.** | **2023** | **2022** |
|---|---|---|---|
| **აქტივები** | | | |
| **მოთხოვნები სხვა ბანკების მიმართ და ფულადი სახსრები** | | | |
| - საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები | (0.25%) -დან 3.25 %-მდე | 46,460 | 55,809 |
| **კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები** | | | |
| - წამყვანი ხელმძღვანელობა | 4.3%-12 % | 484 | 501 |
| **ვალდებულებები სხვა ბანკების მიმართ** | | | |
| - საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები | | - | - |
| **კლიენტთა ანგარიშები** | | | |
| - წამყვანი ხელმძღვანელობა | 0.0%-6% | 158 | 152 |
| **სხვა ნასესხები სახსრები** | | | |
| - მშობელი კომპანია | 2.78%-3.97% | 45,886 | 44,393 |
| - საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები | 2.28%-3.2% | 79,974 | 77,033 |
| **სუბორდინირებული სესხი** | | | |
| - მშობელი კომპანია | 5.93% | 14,886 | 14,399 |

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლის მოგებაში ან ზარალში შეტანილია დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული გარიგებების შედეგად წარმოშობილი შემდეგი თანხები:

| '000 ლარი | 2023 | 2022 |
|---|---|---|
| **საპროცენტო ხარჯი** | | |
| - მშობელი კომპანია | 2,095 | 2,890 |
| - საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები | 3,062 | 2,396 |
| - წამყვანი ხელმძღვანელობა | 5 | 6 |
| **საკომისიო ხარჯები** | | |
| - მშობელი კომპანია | 3,014 | 3,833 |
| - საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები | 1,798 | 1,769 |
| **პერსონალის ხარჯები** | | |
| - წამყვანი ხელმძღვანელობა | 876 | 809 |
| **სხვა ადმინისტრაციული ხარჯები** | | |
| - მშობელი კომპანია | 2,820 | 2,820 |
| - საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები | 6,598 | 7,201 |

გარიგებები, რომელთა შედეგად შეიქმნა ზემოაღნიშნული ნაშთები, განხორციელებულია ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში და არსებითად იგივე პირობებზე, რაც შესადარისი გარიგებები ანალოგიური სტატუსის მქონე იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ან შესაბამისობის შემთხვევაში, სხვა თანამშრომლებთან. გარიგებები დაკავშირებული იყო მხოლოდ და მხოლოდ გადახდების შეუსრულებლობის ჩვეულებრივ რისკებთან და არ მოიცავდა სხვა არასასურველ მახასიათებლებს.

ბანკს ჰქონდა შემდეგი დაუფარავი ნაშთები მის შვილობილ კომპანიასთან 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრისთვის:

'000 ლარი

| **31 დეკემბრისთვის** | 2023 | 2022 |
|---|---|---|
| **აქტივები** | | |
| **ინვესტიცია შვილობილ კომპანიებში** | | |
| - შვილობილი კომპანია | 6,100 | 6,100 |
| **ვალდებულება** | | |
| **კლიენტთა ანგარიშები** | | |
| -შვილობილი კომპანია | 8,630 | 6,337 |

## 31. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

- **EBRD-ისგან მიღებული ახალი ფულადი სახსრები**
  9 თებერვალს ბანკმა EBRD-ისგან მიიღო 10 მილიონი აშშ დოლარის სესხის პირველი ტრანშე, „მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის პროგრამის“ ფარგლებში, 5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით.
- **მმართველი საბჭოს ახალი წევრი**
  იანვრიდან მმართველ საბჭოს ახალი წევრი დაემატა, რომელიც სათავეში უდგას ფინანსების, საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების, ფინანსური ანალიზისა და ბიუჯეტირების, ადმინისტრაციის, საკორესპონდენტო ურთიერთობების და ცენტრალიზებული ბექ ოფისის განყოფილებებს.